ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
№ 024 (12 094)
31 იანვარი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



რალფ მინგე

## თურქეთის ახალგაზრდული ეთამაშება, მომავლის გუნდი მოიცდის

ინტერვიუ 3

ფეხბურთი



## ნაკრები კარგია, მაგრამ შვედებთან კონტრაქტი მაქვს

ინტერვიუ ზაურ სვანაძესთან 2

## საპნის ოპერის დასასრული

რონალდო 2008 წლის 30 ივნისამდე მილანელია 6

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

რაგბი. რუმინეთი-საქართველო. 3 თებერვალი

# გია ლაბაძე გამოგვაკლდა

## შემცვლელად მაგრაქველიძე გამოიძახეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ, ბუქარესტში, სტუდენტური სპორტული კომპლექსის სარაგბო სტადიონ "ტეიზე" პირველი ვარჯიში გამართა. ბორჯღალოსნები 3 თებერვალს რუმინელებთან ერთა თასის პირველ მატჩს გამართავენ და თბილისში ანთიმოზ ივერიელის თასის დაბრუნებასაც შეეცდებიან. გუშინ ბუქარესტში დავუკავშირდით რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი გვენეტაძეს, რომელმაც უსიამოვნო ინფორმაცია მოგვაწოდა:

- "ტულონის" კაპიტანმა გია ლაბაძემ ბოლო შეხვედრაში, "კოლომიეს" წინააღმდეგ, ტრავმა მიიღო და რუმინეთში ვერ ჩამოვიდა, მის ნაცვლად მწვრთნელებმა მამუკა მაგრაქველიძე იხმეს.

**- მაგრაქველიძე ხომ პირველხაზელია?**

- დიახ, ასეა, თუმცა მას საჭიროების შემთხვევაში მეორე ხაზშიც შეუძლია თამაში. თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, რომელიმე მესამეხაზელი დაშავდა, ერთი მეორეხაზელი მესამეში გადავა, მის ადგილს კი მაგრაქველიძე დაიკავებს.

**- თამაშისწინა შეკრება უშუალოდ რუმინეთში არასდროს გაგიმართავთ. რაიმე პრობლემას ხომ არ წაწყდომიხართ?**

- არა, სტუდენტური სპორტული კომპლექსი "ტეი" შუაგულ ბუქარესტში მდებარეობს. შესანიშნავი კომპლექსია. ერთი ეგ იყო, ღამით თოვლი მოვიდა და ამან, ცხადია, პრობლემები შეგვიქმნა, თუმცა ვარჯიშისთვის ხელი არ შეუშლია. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. დილას თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოს ხუთი საათიდან. მასპინძლები ჯერჯერობით ყურადღებას არ გვაქცევენ. არც აეროპორტში დაგვხვედრიან - ამბობენ, ჩვენ ვალდებულნი ვართ მხოლოდ ხუთშაბათიდან გიმასპინძლოთო.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ორი თვე საფრანგეთში იმყოფებოდნენ სტაჟირებაზე... ეს ვარჯიშს ხომ არ დასტყობია?**

- დიახ, ვარჯიშებზე ახალი ელემენტები გამოჩნდა, მათთან საუბრისასაც ნათლად ვხედავ, რომ ბევრი სასარგებლო ნახეს და შეითვისეს.



გია ლაბაძის ლელო რუმინეთთან, 2005

**- 10 ნომრად ნაკრებში "პოში" ახლახანს გადასული მერაბ კვირიკაშვილია გამოძახებული. ის ძირითადში დაიკავებს ადგილს?**

- ვერაფერს გეტყვით. ვარჯიშებზე 10 ნომრად ხან მეკო დგას, ხან პალიკო ჯიმშელაძე. ვნახოთ, რომელს ანდობენ ამ ძალზედ მნიშვნელოვან პოზიციაზე თამაშს.

**- ჯიმშელაძე 15 ნომრად ხომ არ ითამაშებს?**

- ვარჯიშებზე ჯერ ასე არ ყოფილა. მგონი, ნაკლებად სავარაუდოა.

საქართველოს წინააღმდეგ სათამაშოდ რუმინეთის ნაკრები 28-კაციანი შემადგენლობით ემზადება. პირველ ვარჯიშში სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობა არ მიუღიათ **პეტრუ ბალანს, ლუჩან სირბუს, ქრისტიან პეტრესა** და **მარიუშ ტინკუს**. უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ მესამეხაზელები **ალექსანდრუ მანტა** და **ოვიდიუ ტონიცა**.

მატჩს განსჯის ირლანდიელ არბიტრთა ბრიგადა: **კოლინ სტენლი, ალენ როგანი** და **დევიდ ვილკინსონი**. სტენლიმ საქართველოს ნაკრებს ერთხელ უკვე უმსაჯა, 2006 წლის 10 ივნისს, რუიჩანში, ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ. ის შეხვედრა ბორჯღალოსნებმა 24:3 მოიგეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს ნაკრები:**

I ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბურგუენი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **მამუკა მაგრაქველიძე** (მეტრო რასინგი), **დავით გასვიანი** (ექსი), **ავთო კოპალიანი** (მონტობანი);

II ხაზი: **ილია ზედგინიძე** (ოში), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი);

III ხაზი: **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **ილია მაისურაძე** (ნანტი)

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო), **პავლე ჯიმშელაძე** (არასი); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები); 11-14, 15: **ირაკლი მაჩხანელი** (ბეზიე), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **გიორგი ელიზბარაშვილი** (მატორუ).



გიორგი ლომაიას სადებიუტო მატჩში გოლი არ გაუშვია

# აშვეთიამ გაიტანა, ლომაიამ არ გაუშვა

**მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ლომაიას** დებიუტი "კარლ ცაისში" წარმატებული გამოდგა. რეგიონალლიგის "აილენბურგთან" შეხვედრაში, "ილბურგშტადიონზე", ანგარიში სწორედ 34-ე ნომრით მოთამაშე ქართველმა ფორვარდმა გახსნა. მართალია, მეტოქემ მალევე მოახერხა გათანაბრება, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს "კარლ ცაისმა" მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა - 2:1. "კარლ ცაისის" 35-ე ნომერი, მეკარე გიორგი ლომაია შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში და იენელთა კარი გოლის გაუშვებლად დაიცვა.

აშვეთია და ლომაია გუშინ ჩაფრინდნენ გერმანიაში და იენელთა გუნდს ლაიფციგში შეუერთდნენ. ლაიფციგში ჩასვლის მიზეზი მწვრთნელის გადაწყვეტილება გახდა - **ჰაიკო ვებერს** სურდა ქართველი და სხვა ახალწვეულები "აილენბურგთან" ამხანაგურ მატჩში გამოეცადა.

*"ხისტი თამაში იყო. მეტოქეს ვაჯობეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. მეტის გატანაც შეგვეძლო. რაც შეეხება გოლს, ფლანგიდან მოწოდებულზე მცველს დავასწარი და შევაგდე. 43-ე წუთზე მეტოქის მცველმა ფეხში ჩამარტყა, თითი დამიზიანდა და შეცვლა ვითხოვე. საგანგაშო არაფერია, კიოლნში თამაშს შევძლებ. ლომაიამ ყველა სატრანსფერო ფორმალობა მოაგვარა და მასაც შეუძლია თამაში. დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია".* - გვითხრა **მიხეილ აშვეთიამ**, რომელსაც წუხელ, თამაშის შემდეგ გერმანიაში დავუკავშირდით.

"კიოლნი"-"კარლ ცაისის" მატჩი მეორე ბუნდესლიგაში კვირას, 4 თებერვალს გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ყაზბეგი
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექს მაკლიში

მეტოქე. შოტლანდია

# მაკლიში: არველაძე ჩინებულია

## შოტლანდიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა შემადგენლობა უკვე დაასახელა. მაკლიში მიიჩნევს, რომ მისი გუნდისთვის ამ ჯგუფში მესამე ადგილიც წარმატება იქნება

**ალექს მაკლიში** მუშაობას შეუდგა. გუშინ მან დაასახელა იმ 30 მოთამაშის ვინაობა, რომელთაც მომავალ კვირას ტერნბერის გოლფის კომპლექსში შეკრებს და შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს. მაგრამ პირველ რიგში, მაკლიში ფინეთთან ამხანაგურ მატჩზე (7 თებერვალი) ფიქრობს. ოფიციალურად, ამ შეხვედრაში შოტლანდიის B ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ მასში რამდენიმე ისეთი მოთამაშეც იქნება, რომელიც 24 მარტს საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. საქმე ისაა, რომ დისკვალიფიკაციების გამო, სკოტებს ოთხი წამყვანი მოთამაშე დააკლდებათ და ბუნებრივია, მაკლიშმა მათი შემცვლელები უნდა მოძებნოს. მან ნაკრებში უკვე დააბრუნა **სტივენ კოლდუელი, კევინ მაკნაფტონი, რიჩარდ ჰიუზი, იან მიურეი** და **სტივენ ტომპსონი**. შეკრებაზე იქნებიან "ევერტონის" ფორვარდი **ჯეიმს მაკფადენი** და "ვიგანის" მცველი **ენდი უებსტერიც**, რომლებიც ახლა ტრავმირებულები არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაკრებში მწვრთნელმა უკეთ გაცნობის მიზნით უხმო. ჯერჯერობით, მაკლიშმა იგნორირება გაუკეთა მოსკოვის "ლოკომოტივის" ფორვარდ **გარი ო'კონორს**, რომელიც შემოდგომაზე, უკრაინასთან მატჩისთვის მოსამზადებლად, ბაზაზე დაგვიანებით გამოცხადდა და ნაკრებს კიევში ვერ გაჰყვა. ეტყობა, ო'კონორთან მიმართებაში მაკლიშმა ეს ფაქტი გაითვალისწინა. სხვათა შორის, ეს ბიჭი იმ "ჰიბერნიანში" თამაშობდა, რომელსაც ადრე მაკლიში წვრთნიდა. დებიუტანტი გახლავთ მეკარე **ალან მაკგრეგორი**, რომელიც "რეინჯერსის" ღირსებას იცავს.

სიის გამოქვეყნების შემდეგ მაკლიშმა პრესისთვის მცირე კომენტარი გააკეთა: *"მოდით, რეალისტები ვიყოთ. შოტლანდიის ნაკრები მესამე ადგილზეც რომ გავიდეს, ესეც პროგრესი იქნება. ნახეთ, რა ჯგუფში ვართ: საფრანგეთი, იტალია... შოტლანდია ამ გრანდებს შორის სენდვიჩივითაა. მაგრამ ჩვენ უნდა დავარწმუნოთ გულშემატკივარი, რომ ნაკრები არც ერთ მეტოქესთან თავს არ დაზოგავს".*

გუშინ "ჰერალდ თრიბუნში" გამოქვეყნდა მაკლიშის მცირე ინტერვიუ, რომელშიც ის **შოთა არველაძეზეც** საუბრობს. ეს ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას მოჰყვა: *"შოთა არველაძე ჩინებული ფეხბურთელია. "რეინჯერსში" მუშაობისას მისი შენარჩუნება მინდოდა, მაგრამ "ალკმაარმა" კარგი წინადადება შესთავაზა... რამდენადაც ვიცი, არველაძე საქართველოს ნაკრების ყველა მატჩში არ მონაწილეობს, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, შოტლანდიის წინაამდეგ სიამოვნებით ითამაშებს".*

ახლა კი შოტლანდიის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

**მეკარეები** - ნილ ალექსანდერი (კარდიფ სიტი), პოლ გალაჰერი (ნორვიჩი), კრეიგ გორდონი (ჰართსი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი);

**მცველები** - გრემ ალექსანდერი (პრესტონი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი (სელტიკი), სტივენ კოლდუელი (სანდერლენდი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი), სტივენ მაკმანუსი (სელტიკი), კევინ მაკნაფტონი (კარდიფ სიტი), გრემ მერტი (რედინგი), გარი ნეისმიტი (ევერტონი), რობი ნილსონი (ჰართსი), სტივენ პრესლი (სელტიკი), ენდი უებსტერი (რეინჯერსი), დევიდ უეირი (რეინჯერსი);

**ნახევარმცველები** - ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ჰარტლი (ჰართსი), რიჩარდ ჰიუზი (პორტსმუთი), ლი მაკქალოჰი (ვიგანი), იან მიურეი (რეინჯერსი), ნაიჯელ ქუაში (ვესტ ჰემი), სკოტ სევერინი (აბერდინი), გარი ტილი (დერბი);

**თავდამსხმელები** - კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი), კენი მილერი (სელტიკი), სტივენ ტომპსონი (კარდიფ სიტი).

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები

# ვიქტორია-საქართველო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები19 მარტიდან გერმანიაში ათდღიან შეკრებას დაიწყებს. ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი ქალაქ ბიტბურგში, საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდება და ორის ნაცვლად სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 21 მარტს გერმანიის 19 წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდება. ასევე გადაწყვეტილია ისიც, რომ ჩვენი ჭაბუკები 29 მარტს ლუქსემბურგის 19 და 21 წლამდელთა ნაკრებების გაერთიანებულ გუნდს ეთამაშებიან. გუშინ კი გაირკვა, რომ ჭაბუკები კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, ფეხბურთის ფედერაციაში მოსული ფაქსის თანახმად ლუქსემბურგის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე "ვიქტორია როსსპორტი" თანახმაა, ჩვენს 19-წლამდელებს გაეჯიბროს. ეს თამაში ლუქსემბურგში 25 მარტს გაიმართება და თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ზაურ სვანაძესთან

# ნაკრები კარგია, მაგრამ გამომიშვებენ?

## ყველაფერი თებერვალში გადაწყდება

**ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ზაურ სვანაძის შესაძლო მოსვლის შესახებ გუშინდელ "სპორტში" ვწერდით. სვანაძესთან მოლაპარაკებათა მსვლელობა ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც დაგვიდასტურა. გუშინწინ, შვედეთში ზაურ სვანაძესთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. გუშინ კი შევძელით მალბრაინტის GMFF-ის მწვრთნელთან გასაუბრება.**

**- გავიგეთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა სანაკრებო შტაბში თქვენი დასაქმებითაა დაინტერესებული...**

- ვერაფერს გეტყვით...

**- ეს თავად ნოდარ ახალკაცმა დაგვიდასტურა. უარყოფას აზრი არ აქვს...**

- ...დიახ, არის ასეთი წინადადება, მაგრამ...

**- მაგრამ რა?**

- კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის ვადაც, სეზონის ბოლოს, ნოემბერში იწურება.

**- ახალკაცმა ისიც გვითხრა, რომ თქვენ ფედერაციას სანაკრებო შტაბში წარმოუდგენიხართ. ბუნებრივია, პრესტიჟული და საპატიო საქმეა...**

- რა თქმა უნდა. ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობა საპატიო მისიაა. მოქმედი კონტრაქტი რომ არ მქონდეს, ხვალვე გამოვფრინდებოდი, მაგრამ ხელშეკრულებას ვერ დავარღვევ...

**- ნოდარ ახალკაცმა ისიც გვითხრა, რომ ფედერაციიდან ოფიციალურ მიწვევას გამოგიგზავნით...**

- ძალიან კარგი. თუ ასეა, მაშინ ვნახოთ, რას იტყვის კლუბის ხელმძღვანელობა.

**- თავად როგორ ფიქრობთ, გამოგიშვებენ?**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ბუნებრივია, მინდა სანაკრებო შტაბში მუშაობა, მაგრამ, ვნახოთ, რა გადაწყდება.

**- რომ მოითხოვოთ, კონტრაქტს არ გაგიწყვეტენ?**

- საამისო შანსს თანაბრად გავანაწილებდი. 7 თებერვალს კლუბის ხელმძღვანელობა შეიკრიბება. თუკი მანამდე მომივა მიწვევა ფედერაციიდან, მაშინ ხელმძღვანელობა ამაზეც იმსჯელებს და ვნახოთ, რა გადაწყდება.

**- ახლა თქვენს გუნდზეც ვთქვათ...**

- ამჟამად ახალი სეზონისთვის ვემზადებით, რომელიც აპრილის მეორე ნახევარში იწყება. ახლა აქ ძალიან ცივა და ჯერჯერობით, მხოლოდ დარბაზში ვვარჯიშობთ. მარტში ალბათ მოსამზადებელ შეკრებაზე წავალთ ფინეთში.

**- ახალ სეზონში რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- მესამიდან მეორეში ალზევება გვინდა. ეს შარშანაც შეგვეძლო, მაგრამ ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ჩვენ და "ლულეომ" მეორე-მესამე ადგილები გავიყავით. "ლულეოს" ბურთების შეფარდება 41-21-თან ჰქონდა, ჩვენ კი 40-20-თან... ასე რომ, მეორე ლიგაში გადასასვლელად მხოლოდ ერთი გოლი დაგვაკლდა.


ზაურ სვანაძე

**- თქვენს გუნდში ქართველ ფეხბურთელსაც ხომ არ ვიხილავთ?**

- კარგ ფეხბურთელზე არავინ ამბობს უარს, მაგრამ ახალი ფეხბურთელების დამატებაზე თებერვალში იქნება მსჯელობა.

**- გაძლიერება რა პოზიციებზე გესაჭიროებათ?**

- დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. კარგი ფეხბურთელის დამატება არცერთ რგოლში არ გვაწყენდა.

**- დაბოლოს, თქვენი კლუბი ფინანსურად რამდენადაა მზად მეორე ლიგაში ალსაზევებლად სათანადოდ რომ გაძლიერდეთ?**

- ფინანსები მწვრთნელების და ჩემი საქმე არაა, ეს კლუბის ხელმძღვანელობის კომპეტენციაა. თუმცა, რამდენადაც ვიცი, ამ მხრივ პრობლემა არ უნდა გვქონდეს.

**დავით ცაბაძე**

გამოკითხვა

# პოსტსაბჭოეთის სიმბოლურში მხოლოდ კალაძეა

უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ინტერნეტ-ვერსია გულშემატკივართა გამოკითხვას ატარებს, რომლის მიზანიც პოსტსაბჭოეთის სიმბოლური ნაკრების დადგენაა.

წინასწარ განისაზღვრა გუნდის განლაგება, რომელიც დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია - 4-1-3-2. თითოეულ პოზიციაზე პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ექვს-ექვსი საუკეთესო აირჩიეს, ინტერნეტმომხმარებელი კი მათ შორის საუკეთესოს დაასახელებს.

ნომინაციებში სულ შვიდი ქართველი მოხვდა: მარჯვენა და მარცხენა ცენტრალური მცველები - **ზურაბ ხიზანიშვილი** და **მალხაზ ასათიანი**, მარცხენა მცველებში ერთბაშად ორი ჩვენებურია - **კახა კალაძე** და **დავით კვირკველია**. მარცხენა ნახევარმცველებშია **ლევან კობიაშვილი**, ფლეიმეიკერებში - **დათო მუჯირი**, ცენტრალურ თავდამსხმელებში კი - **შოთა არველაძე**.

მათგან, ჯერჯერობით, სიმბოლურში მოხვედრის საუკეთესო შანსი "მილანის" მოთამაშე კახა კალაძეს გააჩნია, რომელიც მარცხენა მცველებს შორის დიდი უპირატესობით დაწინაურდა. კახას რეიტინგი 70 პროცენტს უტოლდება.

მალხაზ ასათიანი მარცხენა ცენტრალურ მცველებში შახტარელ **დმიტრი ჩიგრენსკის** ჩამორჩება. მას მხარი გამოკითხულთა 16 პროცენტმა დაუჭირა.

ცოტა უცნაური კი არის მარცხენა ნახევარმცველებში ლევან კობიაშვილის მეორე ადგილი. ცსკა-ს ფლანგელი **იური ჟირკოვი** რომ უდავოდ ძლიერი მოთამაშეა, ორი აზრი არ არსებობს,


კახა კალაძე

მაგრამ ქართველისა (16,1პროცენტი) და რუსის (29,0 პროცენტი) პროცენტულ მაჩვენებლებს შორის განსხვავება სუბიექტური ფაქტორებით უფრო აიხსნება.

პირველ თავდამსხმელთა შორის **ანდრეი შევჩენკოს** დაწინაურება არავის გაუკვირდება. თუმლა ღიმილისმომგვრელია უკრაინული ვებგვერდის მკითხველთა გემოვნება, როდესაც შეიტყობთ, რომ ამ ნომინაციაში "ალკმაარის" ქართველ ფორვარდს უსწრებენ კიევის დინამოელი **მაქსიმ შაცკიხი** და პეტერბურგის "ზენიტში" წლეულს "ტომიდან" გადასული **პაველ პოგრებნიაკი**.

მწვრთნელების ნომინაციაში ქართველებიდან არავინ მოხვედრილა.

წინასწარი მონაცემებით, სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

აკინფეევი (ცსკა, რუსეთი) - ვ. ბერეზუცკი (ცსკა, რუსეთი), რუსოლი (დნეპრი, უკრაინა), ჩიგრინსკი (შახტარი, უკრაინა), კალაძე (მილანი, საქართველო), ტიმოშჩუკი (შახტარი, უკრაინა) - გუსევი (დინამო კიევი, უკრაინა), ა. გლები (არსენალი, ბელორუსია), ჟირკოვი (ცსკა, რუსეთი) - შევჩენკო (ჩელსი, უკრაინა), ვორინინი (ბაიერი, უკრაინა).

გამოკითხვა გრძელდება და მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სასურველ კანდიდატურას მხარი დაუჭირონ მისამართზე:

http://football.ua/default.aspx?menu_id=referendum

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლაშა მინდელს**

**დედის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი უსამძიმრებენ ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელ რამაზ შენგელიას**

**დედის**

**გარდაცვალების გამო**

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რალფ მინგესთან

# თურქეთს ახალგაზრდული ეთამაშება, მომავლის გუნდი მოიცდის

## მინგე ფარერებზე წასვლას არ ნანობს

რალფ მინგე თბილისში გუშინ გამთენიისას ჩამოვიდა. კლაუს ტოპმიოლერის მარჯვენა ხელსა და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს გერმანიიდან გამოფრენამდე რამდენიმე საათით ადრე დავუკავშირდით და ინტერვიუზე შევითანხმეთ.

მინგემ პირობა შეასრულა და ფეხბურთის ფედერაციაში "ლელოს" შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა. მასთან საუბარმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოჰფინა ნათელი.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- უკვე ერთი წელია, რაც საქართველოში მოღვაწეობთ. ჩვენს ქვეყანაში გატარებულ პერიოდს როგორ რეზიუმეს გაუკეთებდით?**

- დავიწყოთ იმით, რომ ეს ერთი წელი უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. ჩემთვის, კლაუსისა და ჰაინცისთვის ეს ადაპტაციის პერიოდიც იყო. გავიცანით ჩვენთვის აქამდე უცხო

> **ყველანი შევთანხმდით, რომ ახალგაზრდულზე პასუხისმგებლობას ლიტვაში კობა ჟორჟიკაშვილი იტვირთავდა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.**

ხალხი, კულტურა, მენტალიტეტი, ენა, ტრადიციები. ერთი სიტყვით, ახალი სამყარო აღმოვაჩინეთ.

ვფიქრობ, ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები საგრძნობლად განვითარდა და გარკვეული პროგრესი განიცადა. რა თქმა უნდა, მეტის მიღწევაც იყო შესაძლებელი, მაგრამ მთავარია, სანაკრებო საქმე ერთ სისტემაში მოექცა, რაც წარმატებების საწინდარია.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნულ გუნდს უკეთესი შედეგის ჩვენების პოტენციალიც ჰქონდა, მაგრამ არც ისაა ცოტა, რომ ნაკრებმა თამაშის ხარისხის მხრივ, წინ მნიშვნელოვნად წაიწია. გუნდის თამაში უფრო ორგანიზებული და დისციპლინებულია, ვიდრე უწინ, თუმცა, ბუნებრივია, ამ კუთხით იდეალურისგან ჯერ კიდევ შორს ვართ.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემოდგომაზე საქმე მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებთან გვქონდა. ეროვნული ნაკრების პლუსებად თანდათან იქცევა ბრძოლისუნარიანობა, სწრაფი, კომბინაციური თამაში და ტაქტიკურად გამართული ფეხბურთი.

ჩვენს სამწვრთნელო გუნდს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია და სტრატეგია აქვს, რომელიც სწორად და მიზანმიმართულად ხორციელდება.

უნდა გავააქტიუროთ მუშაობა ტალანტების მოძიების საქმეში, შევეცადოთ და ნიჭიერი ყმაწვილების აღმოსაჩენი ახალი გზები ვიპოვოთ. რა დასამალია და, სამწუხაროდ, საქართველოს ბევრი ტალანტი არ ჰყავს, ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, არსებულ კადრებს მივხედოთ და მაღალი მიზნებისთვის მათი მეშვეობით ვიბრძოლოთ.

**- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის რა უნდა გაკეთდეს?**

- საქმე ბევრია, მაგრამ საქართველოში არსებულ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე გავამახვილებდი ყურადღებას: რაიმე სახით უნდა შეიზღუდოს 16-17 წლის ფეხბურთელთა საზღვარგარეთ შეუზღუდავად გადინება, რაც მათ კარიერაზე უარყოფითად ან სულაც დამანგრეველად მოქმედებს. ამ ასაკის მოთამაშეს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, რა არის მისთვის კარგი და ცუდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მომავალი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება.

**- 2006 მიწურულს გამოცხადდა, რომ თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებს საქართველოს "მომავლის გუნდი" შეხვდებოდა. თქვენ კი ამ მატჩისთვის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს უხმეთ. რომელი ნაკრები დაუპირისპირდება თურქეთის ახალგაზრდულს?**

> **გაუმართლებელი იქნებოდა, თურქთა წინააღმდეგ ჩვენს 21-წლამდელებს რომ არ ეთამაშათ.**

- საქართველოს ახალგაზრდული, იგივე 21-წლამდელთა ნაკრები. "მომავლის გუნდს", ანუ B ნაკრებს რაც შეეხება, მას საქმეში სხვა დროს აუცილებლად იხილავთ. ამ გუნდში მხოლოდ 21-წლამდელებს არ ვუხმობთ. თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მიეცემათ იმ ფეხბურთელებსაც, რომლების 21-ს გადაცილებულნი არიან და ეროვნული ნაკრების უახლოეს რეზერვად მოიაზრებიან. "მომავლის გუნდს" აუცილებლად კლუბების მწვრთნელებთან კონსულტაციების საფუძველზე დავაკომპლექტებთ.

სასურველი იქნება, რომ ნაკრებების სამწვრთნელო შტაბსა და ქართულ კლუბებს კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ. როცა საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება, შიდა კონკურენცია ყველამ უნდა დაივიწყოს და საერთო საქმისთვის არაფერი დაიშუროს. კლუბებთან თანამშრომლობას მას შემდეგ გავაღრმავებთ, როცა "მომავლის გუნდი" დაარსდება.

13 თებერვალს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრაა. ოფიციალურ მატჩებამდე არცთუ დიდი პერიოდია, დასაკარგი დრო არ გვაქვს და გაუმართლებელი იქნებოდა, თურქთა წინააღმდეგ ჩვენს 21-წლამდელებს რომ არ ეთამაშათ.

როგორც იცით, უეფამ საფლეიოფო სისტემა გააუქმა და ახალგაზრდული ნაკრებები კვლავ ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათი ტურნირი ეროვნული გუნდების კალენდრისგან დამოუკიდებლად ჩატარდება, ქვეჯგუფში 5 ან 6 გუნდი ითამაშებს.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ძალიან კარგი ახალგაზრდული გვყავს. ამ გუნდის წევრები ეროვნულს მალე გაუშინაურდებიან, ზოგიერთი მათგანი კი უკვე მისი შეუცვლელი წევრია. სასიხარულოა, რომ ღვინიანიძესა და კანკავას ჯერ კიდევ აქვთ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის უფლება.

**- სიტყვამ მოიტანა და კანკავას დისკვალიფიკაციის გამო, შოტლანდიაში თამაშის უფლება არ აქვს. მისი ეროვნულში არგამოძახების მიზეზი ეს ხომ არაა?**

> **რაიმე სახით უნდა შეიზღუდოს 16-17 წლის ფეხბურთელთა საზღვარგარეთ შეუზღუდავად გადინება, რაც მათ კარიერაზე უარყოფითად ან სულაც დამანგრეველად მოქმედებს**

- დიახ, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. ისე კი, სანაკრებო სიის წევრთა შესახებ კლაუს ტოპმიოლერი პარასკევს ვრცლად ისაუბრებს.

**- მოდით, ის შემთხვევა გავიხსენოთ, რისთვისაც ბევრი გაკრიტიკებთ. გასული წლის აგვისტოში თქვენ ახალგაზრდულ ნაკრებს ლიტვაში, უმნიშვნელოვანეს მატჩზე არ გაჰყევით და ფარერებზე კლაუს ტოპმიოლერს ამოუდექით გვერდში. ხომ არ ფიქრობთ, რომ იმ დღეს ახალგაზრდულს უფრო სჭირდებოდით?**

- კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა ისიც ცხადია, რომ კრიტიკა ობიექტური უნდა იყოს და არა უადგილო. როცა გაირკვა, რომ ლიტვასა და ფარერებზე ერთ დღეს ვითამაშებდით, გადაწყდა, რომ პრიორიტეტი ეროვნულ ნაკრებს მიენიჭებოდა და ვფიქრობ, ეს სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო. ყველანი შევთანხმდით, რომ ახალგაზრდულზე პასუხისმგებლობას ლიტვაში კობა ჟორჟიკაშვილი იტვირთავდა.

**- ესე იგი, მიიჩნევთ, რომ თქვენ ფარერებზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა იქნებოდით, ვიდრე ლიტვაში?**

- საკუთარ თავს სულაც არ მივიჩნევ მნიშვნელოვან პერსონად (იცინის). უბრალოდ, ვემსახურები ქართულ ფეხბურთს და მისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებ. ვიმეორებ, პრიორიტეტი ეროვნულ ნაკრებს მიენიჭა და სავსებით მართებულადაც.

**- გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შესაძლოა, ზაურ სვანაძე რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში დაინიშნოს მწვრთნელად.**

- გაზეთებში ბევრი რამ იწერება... თუ რაიმე გეგმა არსებობს, ჩამოვა ნოდარ ახალკაცი, ალბათ, ყველანი ერთად დავსხდებით და ამ საკითხზე არგუმენტირებულად გავისაუბრებთ.

**გოტფრიდ ლენცი**
**ლევან ჯანეზაშვილი**

*P.S. მინგემ ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე საუბრისგან თავი შეიკავა, ეს კლაუსის კომპეტენციააო. უახლოეს მომავალში "ლელოში" მთავარი ტოპმიოლერის მოსაზრებებსაც გაეცნობით.*


ვიტალი დარასელია

მეორე წრის წინ

# სილაგაძე და დარასელია სიონში?

## ექსდინამოელი ლანსის იმედად იყო

თანამეგობრობის თასიდან ბოლნისის "სიონი" **ლევან სილაგაძისა** და **ვიტალი დარასელიას** გარეშე დაბრუნდა. ისინი რუსეთში დარჩნენ და დაინტერესებულ გუნდებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

ლევან სილაგაძეზე უკვე ვწერდით, რომ მისმა მენეჯერმა რუსეთის პირველი ლიგის მახაჩკალის "ანჟისთან" მოლაპარაკება დაიწყო და ფეხბურთელს რუსეთში დაბრუნების იმედი გაუჩნდა. თუმცა შეთანხმება ვერ მოხერხდა და ლევანი თბილისში დაბრუნდა.

მისი თქმით, რუსთავის "ოლიმპი" და ბოლნისის "სიონი" იწვევენ, თუმცა ჯერ საბოლოო არჩევანი არ გაუკეთებია.

ბოლნისელები კი იმედოვნებენ, რომ არა მარტო მას, არამედ ვიტალი დარასელიასაც დაიყაბულებენ და მეორე წრეში სოლიდურად გაძლიერდებიან.

თუმცა თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა საბოლოოდ უნდა შეიტყოს ფრანგული კლუბის პოზიცია, რომელიც მისით დაინტერესდა. როგორც შევიტყვეთ, საუბარია "ლანსზე". ინტერესი ერთია, მაგრამ როგორ დამთავრდება მოლაპარაკება, ძნელი სათქმელია.

"ლანსის" რა გითხრათ, "სიონი" კი ამ დუეტით ძალიანაა დაინტერესებული. დარასელიამ და სილაგაძემ მოსკოვში თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს და **კახა ცხადაძეს** გამოცდილი ფეხბურთელების თავის გუნდში ხილვა სურს.

თუკი, ამ დუეტის დამატება ჯერაც საკითხავია, ფაქტობრივად, გადაწყდა, რომ მეორე წრეში "სიონში" ითამაშებს მარჯვენა მცველი **ზურაბ ექონია**, რომელიც ბოლოს ბათუმის "დინამოში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

### მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადებიდან 45 წელს ულოცავს ეროვნული სტადიონის გენერალურ დირექტორ ირაკლი მეძმარიაშვილს და უსურვებს ყოველივე კარგს.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ოლიმპი

# ძამსაშვილი ოლიმპშია

ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში "ზესტაფონმა" და რუსთავის "ოლიმპმა" თითო მოთამაშის გაცვლა მოახერხეს.

დეკემბერში რუსთაველებთან კონტრაქტი **როინ ონიანს** დაუმთავრდა და მის კონკურენტ "ზესტაფონში" გადაბარგდა.

ახლა კი "ოლიმპმა" დაიმატა იმერელთა ფეხბურთელი. მცველ **ზურაბ ძამსაშვილს** გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა, თავისუფალი აგენტი გახდა და "ოლიმპის" წინადადებასაც უყოყმანოდ დათანხმდა.

*"თავისუფალი აგენტი გავხდი და კომპენსაციის გარეშე წამოვედი. რუსთაველების წინადადება ჩემთვის მისაღები იყო, ამბიციური გუნდია და ბევრი არც მიფიქრია"* - გვითხრა ძამსაშვილმა.

"ზესტაფონმა" შეინარჩუნა მცველი **სევასტი თოდუა**, მასაც კონტრაქტი უმთავრდებოდა, მაგრამ დარჩენა გადაწყვიტა და ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ბათუმი

# საქმეები კარგად იქნება

ქართული საკლუბო ფეხბურთის სიდუხჭირის გამო, სამწუხაროდ, ჩვენში წესად დამკვიდრდა - ფინანსებზე წრეებს შორის პაუზის დროსაც მიდის საუბრები. ბათუმის "დინამო" ავიღოთ. გუნდმა პირველ წრეში კი ითამაშა, მაგრამ გააგრძელებდა თუ არა ჩემპიონატში ასპარეზობას, არავინ იცოდა. ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, აჭარელთა მთავარი გუნდის დაფინანსებაზე ბათუმში გუშინ შედგა მსჯელობა და დღეისათვის თანხებიც უნდა გამოიყოს. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ამირან გოგიტიძეს** დავუკავშირდით.

*"დღეს ვარჯიშს ვატარებდი და გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. როგორც გავიგე, ჩვენი კლუბის სასარგებლოდ მიდის საქმე და ნორმალური დაფინანსება გვექნება. ისიც მითხრეს, რომ ჩვენი საკითხი ხვალ საბოლოოდ დადებითად გადაწყდება. სჯობს, ამის თაობაზე აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრე ახვლედიანს ან კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მევლუდ ცინარიძეს დაუკავშირდეთ"*, - მხოლოდ ეს გვითხრა გოგიტიძემ.

**ალექსანდრე ახვლედიანს** მართლაც დავუკავშირდით, მაგრამ ტრაბზონში ყოფილა, ხვალ ჩამოვალ, დამიკავშირდით და ყველაფერს გეტყვითო.

რაც შეეხება **მევლუდ ცინარიძეს,** მან შემდეგი გვითხრა:

*"მეც ასე ვიცი, ყველაფერი ხვალ გადაწყდება. ისე კი, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. დღეს მეტს ვერაფერს გეტყვით, სჯობს ხვალ დამიკავშირდეთ".*

**დავით ცაბაძე**

გაგრა

# ბოსკამპი დათანხმდა

რამდენიმე დღის წინ კიევში დასრულდა კიევის "დინამოს" ყოფილი მეკარის, **ოლეგ მაკაროვის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

შეჯიბრი უკრაინის ფედერაციის პატრონაჟით ჩატარდა და მასში ძირითადად ტრანსფერზე დაყენებული "დინამოს" მოთამაშეებისგან დაკომპლექტებული რამდენიმე გუნდი, აგრეთვე უკრაინის ჩემპიონატის პირველლიგელები მონაწილეობდნენ. ერთადერთი "უცხოელი" საქართველოდან იყო მიწვეული - "გაგრა".

გამარჯვებული "დინამო 2" გახდა, რომელმაც ფინალში "დინამო 4" 3:1 დაამარცხა.

"გაგრას" ჯგუფში მოხვდნენ "დინამო 2", "დინამო 4", კიევის ცსკა და კიევის "დინამოს" საფეხბურთო აკადემია.

ჯგუფური მატჩებიდან "გაგრამ" მხოლოდ კიევის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიასთან მოიგო (6:0), დანარჩენ შეხვედრებში კი დამარცხდა - "დინამო 2-თან" (0:1), ცსკასთან (1:2), "დინამო 4-თან" (1:5) და ტურნირს გამოეთიშა.

27 იანვარს გუნდი თბილისში დაბრუნდა, გუშინ საღამოს ანთალიაში გაემგზავრა, სადაც მესამე მოსამზადებელ ეტაპს გაივლის.

გამგზავრებამდე "გაგრის" მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძეს** გავესაუბრეთ და ბევრი საინტერესო სიახლე შევიტყვეთ.

**- "გაგრამ" პირველ წრეში ის შედეგი არ აჩვენა, რასაც ველოდით. რა იყო ამის მიზეზი?**

- ახლა მშენებლობის პროცესში ვართ, ეს კი ნებისმიერი გუნდისთვის რთული პერიოდია. ჩვენი მოთამაშეების საშუალო ასაკი 18,5 წელი იყო და ახლა კიდევ შემცირდა. შვიდი მოთამაშე წავიდა და "გაგრა 2-ის" ხუთი წევრი დავიმატეთ. ჩვენ ამ ბიჭების გაზრდა გვსურს და ამიტომაც ვცდილობდით, მაქსიმალურად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან გვეთამაშა. სულ სხვა სისწრაფეებთან ადაპტაცია მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კიევის ტურნირი ამით იყო მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ თამაშზე იმავეს ვერ ვიტყვი. პირველი ტაიმი არც ერთთან არ წაგვიგია, "დინამო 4-თან" სრულ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ კაცი გაგვიგდეს და დაგვამარცხეს. ასევე იყო კიევის ცსკა-სთან, სანამ გავძელით უკეთ ვთამაშობდით.

**- თქვენი აზრით, "გაგრა" უმაღლესში გადასასვლელად მზადაა?**

- ჩვენ მაქსიმალურ ამოცანებს ვისახავთ და ეს ფუჭი სიტყვები არაა. ჩამოყალიბებულია კლუბების თანამშრომელთა ისეთი სტრუქტურა, რომლის მსგავსიც ბევრ კლუბში არაა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ორ უცხოურ შეკრებას ატარებს პირველი ლიგის გუნდი, "გაგრის" ამბიციაზე მეტყველებს. ვფიქრობ, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად დიდი სამუშაოა ჩატარებული.

სხვათა შორის, ანთალიაში 9 თებერვალს იოჰან ბოსკამპი შემოგვიერთდება, იგი "გაგრის" ხელმძღვანელობისა და ჩემი თხოვნით გვესტუმრება, რჩევებით დაგვეხმარება, ვარჯიშებს ჩაატარებს და რამდენიმე დღე ჩვენთან ერთად იცხოვრებს.

თუმცა, 10 თებერვლიდან რამდენიმე დღით მე სხვა სასტუმროში მომიწევს გადასვლა, უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია სასტუმრო "კრემლში" პროფლიცენზიის ალების მსურველთათვის სემინარს ატარებს. ანთალიაში იქნება დნეპროპეტროვსკის "დნეპრი", მოსკოვის "ლოკომოტივი". მათ ვარჯიშებს დავესწრები და იქნება თითოეული დეტალის გარჩევა. ეს ჩემთვის სწავლების მესამე ეტაპია.

**- დაბოლოს, ანთალიაში რამდენ საკონტროლო მატჩს ჩაატარებთ?**

- ექვსი შეხვედრა სასურველი იქნება. ოთხი მეტოქის ვინაობა და მატჩის დღე შეთანხმებულია: 3 თებერვალს ზაპოროჟიეს "მეტალურგს" შევხვდებით, 6-ში - "ხარკოვს", 10-ში - მაკედონიის ჩემპიონ "რაბოტნიჩკის", 13 თებერვალს კი სპარინგზე "კრივბასს" შევუთანხმდით. ამას გარდა, კიდევ ორ სუსტ მეტოქეს ჩასვლის შემდეგ მოვძებნით.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო. ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

# მოლაპარაკების ბოლო სტადია

## ზოგიერთი ახალწვეულის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია



ბუბა ტყავაძე

**ბრაზილიაში ვოიაჟის შემდეგ "დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე ანთალიაში შეკრებაზე მყოფ გუნდს შეუერთდა. სამხრეთამერიკაში სტუმრობის შედეგი ისაა, რომ "დინამოში" ბრაზილიელი ფორვარდი ფაბიო მარკუშ დოს სანტოსი გამოჩნდა.**

**სეზონის განახლებამდე მცირე დრო რჩება, "დინამოს" კი პოტენციურ ახალწვეულებად შერაცხულ ექვს ფეხბურთელთან კონტრაქტები ჯერ არ გაუფორმებია. ბუბა ტყავაძეს სწორედ ამაზე სასაუბროდ დავუკავშირდით ანთალიაში:**

- შეკრება ბევრ რამეს წარმოაჩენს, შედეგები კი სეზონის მეორე ნახევარში გამოჩნდება. მოსამზადებელ ეტაპზე გამართული ამხანაგური მატჩები გუნდის შეთამაშებასა და ახალი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებაზეა გათვლილი. ასეთ შეხვედრებში დაფიქსირებულ შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. მთავარია, თამაშები ნაყოფიერად გამოვიყენოთ.

**- საინტერესოა, კლუბის პოზიცია ახალ ფეხბურთელებთან დაკავშირებით. მოდით ჯერ ნედ ზელისა და მიროსლავ კრშკოზე ვთქვათ...**

- შეიძლება ითქვას, რომ ამ ფეხბურთელებთან მიმართებაში მოლაპარაკების დასკვნით ფაზაში ვართ. ისინი მწვრთნელებს მოსწონთ და ალბათ მალე კონტრაქტებსაც გავაფორმებთ.

**- კონტრაქტზე ხელმოწერა თბილისში დაბრუნების შემდეგ მოხდება?**

- შესაძლოა, ეს მანამდეც მოხდეს.

**- ბელორუს მცველ რომან გარკუშაზე რას გვეტყოდით?**

- ის ჩვენს გუნდში ტესტირებას გადის. ამ ეტაპზე უკმაყოფილო არ ვართ, კიდევ დავაკვირდებით და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

**- გარკუშასგან განსხვავებით მეტი იცით გიორგი ფეიქრიშვილის შესაძლებლობებზე...**

- დიახ, ასეა. შემიძლია გითხრათ, რომ მისი აყვანა თითქმის გადაწყვეტილია.

**- ანთალიაში გამგზავრებამდე "დინამოში" ტანმაღალი ფორვარდი ირაკლი სირბილაძე გამოჩნდა...**

- დიახ, სირბილაძეც ჩვენს გუნდში ვარჯიშობს. ის თავისუფალი აგენტია და ამ ფეხბურთელის მიმართ გარკვეული ინტერესიც გვაქვს. თუკი ამ ინტერესს ირაკლის კარგი თამაშიც დაემატება, მაშინ მისი საკითხი დადებითად გადაწყდება.

**- დოს სანტოსი შეძლებს "დინამოს" მაისურის მორგებას?**

- ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ჩვენმა პარტნიორმა "კორინთიანსმა" გვირჩია მასზე დაკვირვება. ის თავისუფალი აგენტია, ასე რომ, თუკი ეს ფორვარდი თავს მოგვაწონებს, მასთან კონტრაქტი ჩვენთვის ფინანსურადაც ხელმისაწვდომი იქნება.

**- ახლა მათზე ვთქვათ, ვინც გუნდს ანთალიაში არ ახლავს - დავით გიგაურისა და გიორგი ნერგაძეზე...**

- მათ "დინამოსთან" მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ. თუმცა ამ ეტაპზე მათი კონდიციები დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ისინი თბილისში განაგრძობენ მომზადებას.

**- თუკი მათ მთხოვნელები გამოუჩნდებათ, "დინამო" რა პოზიციას დაიკავებს?**

- ყველა საინტერესო წინადადებას განვიხილავთ. თუკი წინადადება ორმხრივად მომგებიანი იქნება, ამ საკითხს შესდაბამისად გადავწყვეტთ.

**დავით ცაბაძე**

# ზელიჩმა ვარჯიში განაახლა

## დღეს ვორსკლას ვეთამაშებით

ანთალიურ შეკრებაზე მყოფი თბილისის "დინამოს" დღეს მორიგი საკოტროლო მატჩი აქვს. **უგრინის** გუნდი უკრაინის ჩემპიონატის მე-11 ადგილოსან პოლტავის "ვორსკლას" დაუპირისპირდება, რომელიც პროგრესს განიცდის და მეორე ბუნდესლიგის "კარლსრუეს" შემდეგ, "დინამოს" მძეველი "ილიჩევეცი" 3:1 დაამარცხა. შეხვედრა თბილისის დროით 16:30 საათზე დაიწყება.

გუშინ „დინამო" მხოლოდ ვარჯიშებით შემოიფარგლა. წვრთნაში ყველა დინამოელი მონაწილეობდა, მათ შორის ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მცველი **ნედ ზელიჩიც,** რომელსაც მარიუპოლის "ილიჩევეცთან" გრიპის გამო არ უთამაშია. ზელიჩმა ინდივიდუალური პროგრამით, მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გორში სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს



მიხეილ ლურსმანაშვილი

დილა

# ბრძოლა ღირსების დასაბრუნებლად

## ამ ქალაქს კარგი საფეხბურთო გუნდი უნდა ჰყავდეს

წლების განმავლობაში უფულობით და უპატრონობით განამებულ „დილას" ერთთავად ყოფნა-არყოფნის პრობლემა ჰქონდა. საუბარია რიგიანი და ნორმალური გუნდის არსებობაზე, თორემ „დილამ" წლეულსაც კი განვლო პირველი წრე, მაგრამ იმდენი და ისეთი სამარცხვინო წაგებები იწვნია, თავმოყვარე გუნდს რომ არ ეკადრება.

ახალი მეპატრონის, **მიხეილ ლურსმანაშვილის** მოსვლის მერე, ბევრი რამ შეიცვალა. მას ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა აქვს. აპირებს გააკეთოს მომავლის გუნდი. ისეთი, რომელიც ევროტურნირებისათვის იბრძოლებს და სტადიონი, რომლითაც გორელები თავს მოიწონებენ.

ქალაქში რადიკალურად შეცვლილია საფეხბურთო ამინდი. უწინდელისაგან განსხვავებით „დილა" ამჟამად სრულფასოვან შეკრებას გადის, ფეხბურთელები მთლიანად ვარჯიშზე არიან კონცენტრირებულნი, მწვრთნელები კი ენერგიულად ცდილობენ ახალი გუნდის გაკეთებას. ცხადია, ეს ყველაფერი ნორმალური საფეხბურთო კლუბისთვის ჩვეულებრივი მომენტია, მაგრამ „დილისთვის", ბოლო წლებიდან გამომდინარე, უცხო ხილი გახლავთ.

გუნდის თავკაცებისთვის დღესდღეობით უპირველესი საზრუნავი მეორე წრისთვის მოსამზადებელი ეტაპის რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოყენებაა. პირველ წრეში მხოლოდ სამი ქულის მომგროვებელ გუნდს, საკმაოდ ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი - უმაღლეს ლიგაში შენარჩუნება. საამისოდ შემადგენლობის გაძლიერება რასაკვირველია, აუცილებელი პირობაა და ისინჯება კიდეც ამ ეტაპზე რამდენიმე ფეხბურთელი. მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდული ნაკრების მეკარის **რევაზ თევდორაძის** გადმობირება. შესაძლებელია მეორე წრეში, გუნდში ვიხილოთ ის ადგილობრივი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, რომლებმაც უხელფასო და უმოტივაციო მშობლიურ გუნდში ასპარეზობა არ ისურვეს.

სტადიონზე დაწყებულია სარემონტო სამუშაოები. აქაურ ფეხბურთში დასრულდა ბრძოლა არსებობისათვის, ახლა ღირსებისათვის ბრძოლა დაიწყო.

თავად ლურსმანაშვილი სტადიონსაც და გუნდსაც დღეში რამდენჯერმე სტუმრობს და უშუალოდ აკვირდება სიტუაციას. მას ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას გავესაუბრეთ:

**- გორის „დილა" უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია და გვარიან სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული თქვენი მიზნების განხორციელება.**

- მე და ჩემს მეგობრებს წინასწარი გათვლის გარეშე არანაირი საქმისთვის არ მოგვიკიდია ხელი. ამ შემთხვევაშიც, სანამ მოვიდოდით, კარგად შევისწავლეთ სიტუაცია და ისე მივიღეთ გადაწყვეტილება. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ნავარაუდევზე უფრო მეტი საქმე დაგვხვდა გასაკეთებელი, მაგრამ არც ამას შევუშინებივართ. გორს აუცილებლად უნდა ჰყავდეს კარგი საფეხბურთო კოლექტივი. ჩვენ ვაკეთებთ მომავლის გუნდს. უცებ რაღაც სასწაულებს რასაკვირველია ვერ მოვახდენთ, ყველაფერი ეტაპობრივად განვითარდება. „დილა" უნდა იყოს ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა და იბრძოლოს ევროტურნირებზე გასასვლელად. გახსოვთ ალბათ, რამდენიმე წლის წინათ „დილამ" ითამაშა ევროტურნირებზე. თუნდაც აქედან გამომდინარე ვერ ჩაითვლება ჩვენი გეგმები საფუძველსმოკლებულად.

**- ამჟამინდელ მდგომარეობაში მყოფი „დილას" უმაღლეს ლიგაში დატოვება ნებისმიერი მწვრთნელისთვის ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა, ისევე, როგორც ამ შემთხვევაში იქნება მამუკა ვარდოსანიძისათვის.**

- გათამაშების ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნამდვილად რთულადაა საქმე. პირველი წრის შემდეგ მოგროვილი სამი ქულით უმაღლეს ლიგაში დარჩენის რაიმე რეალურ იმედზე ფიქრი ძნელია, გარდა ამისა, კალენდარიც დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე არაა სასურველი, თუმცა არც ბედს ვართ შეგუებულნი და მაქსიმალურად შევეცდებით გაისადაც უმაღლეს ლიგაში ვითამაშოთ. მამუკა ვარდოსანიძის იმედი მაქვს და ვფიქრობ, მისი მუშაობა წაადგება „დილას", თუმცა ისიც კარგად მაქვს გათავისებული, რომ შესაძლოა სეზონის ბოლოს მაინც დავქვეითდეთ ლიგიდან და მიუხედავად ამისა, არაა გამორიცხული მწვრთნელი დარჩეს თანამდებობაზე. მთავარია, ის სწორად და თავდაუზოგავად მუშაობდეს.

**- სეზონის განახლებამდე სად აპირებთ შეკრების გავლას?**

- შესაძლებელია შეკრება გავიაროთ ბაკურიანში, მაგრამ ეს ჯერ გადაწყვეტილი არაა.

**- სტადიონზე რას იტყვით?**

- ის დანგრევის პირას იყო მისული. უამრავი სამუშაოა შესასრულებელი. ამჟამად მიმდინარეობს ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. გაკეთდება ფასადი. ამინდმაც თუ შეგვიწყო ხელი მუშაობის რიტმი უფრო სწრაფი იქნება, ოღონდ რაც არ უნდა იყოს ჩემპიონატის განახლებამდე სტადიონი ნორმალურ მდგომარეობაში იქნება. ცოტა ხანში ტრიბუნის დამატებასაც ვაპირებთ, გვინდა, ტაბლოც დავამონტაჟოთ. მოედნის საფარსაც უფრო უკეთესს გავხდით და გვაქვს ამბიცია, რომ გორის სტადიონი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესოდ იქცეს. ამ ქალაქს უნდა დაუბრუნდეს კარგი გუნდი !

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

რეგიონები. გურია

# გამგებელი გურიის ისტორიას წერს

რამდენიმე დღეც და „გურიამ" ახალი სეზონისათვის მზადება უნდა დაიწყოს. გუბერნატორი **მიხო სვიმონიშვილი** „გურიისთვის" კარგი სპონსორის ნახვას გეგმავდა. საუბარი იყო თურქ ბიზნესმენზე, ვინც ამასწინათ გუბერნატორმა ჯიხეთის დედათა მონასტერში მონათლა და ვისაც რამდენიმე დღით თურქეთშიც სტუმრობდა. როგორც ითქვა, ახალგაქრისტიანებული ბიზნესმენი გურიაში ინვესტიციების ჩადებას გეგმავდა და ერთ-ერთი „გურია" უნდა ყოფილიყო. სვიმონიშვილი ბაზაზეც ჩავიდა და დეტალებში გაერკვა. თუმცა, მოგვიანებით, კულუარებში გავრცელდა ხმები, რომ სიტუაცია შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, იმაზე ალაპარაკდნენ, რომ არანაირ სპონსორზე ლაპარაკი არ არის და გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა იყიდება. რა თქმა უნდა, საუბარი იყო პროფილის შენარჩუნების გარეშე, თორემ კლუბის გაყიდვას იმ ერთადერთი პირობით, რომ მყიდველმა „გურიას" უპატრონოს, კარგა ხანია ამაოდ ელის ლანჩხუთელი ქომაგი.

გასული წლის მეორე ნახევარი **თემურ ლორიას** შეგირდებმა უხელფასოდ ითამაშეს და არც ელოდნენ, რომ გასამრჯელოს თუნდაც დაგვიანებით მიიღებდნენ. მაშინ ფეხბურთელებმა „გურიის" სიყვარულით მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. თუმცა იმავეს გაგრძელება შეუძლებელია, მით უმეტეს, კლუბის შენახვა მარტო ხელფასი და პრემია არ არის, მგზავრობასა და სხვა ხარჯებს საკმაო თანხა სჭირდება. კლუბის პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე არ მალავდა, რომ თუ ხელშეწყობა არ იქნა, კლუბი ლიკვიდაციას გამოაცხადებსო.

საკრებულოს თავმჯდომარედ ფეხბურთის მოყვარული **დავით პეტრიაშვილის** (საფეხბურთო წრეებში ცნობილი ამ გვარ-სახელის ადამიანებში არ აგერიოთ) არჩევისას, ლანჩხუთის პირველ პირს არ დაუმალავს, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტი „გურიისთვის" დახმარების გაწევაა.

ლანჩხუთის ფეხბურთის მესვეურები და ქომაგები დიდი სიხარულით შეხვდნენ გამგებლად **ლევან გიორგაძის** დანიშვნას, რადგანაც ეს უკანასკნელი „გურიის" გამორჩეული გულშემატკივარია და სისტემატურად ესწრება შეხვედრებს. მეტიც, ის აწარმოებს ბოლო ათწლეულების „გურიის" სტატისტიკას ანუ, ფაქტობრივად, კლუბის ისტორიას ქმნის. სწორედ მისი ფეხბურთისადმი ასეთი სიყვარულის გამო გურული ქომაგის სიხარული და იმედი გასაგებია, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ" გახლავთ მნიშვნელოვანი - ლანჩხუთის ბიუჯეტით კლუბის შენახვა კვლავაც შეუძლებელია.

ამ დროს მშველელად კლუბს სვიმონიშვილი მოევლინა. „უმაღლესი ლიგა, კარგი გუნდი და ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი პრობლემა" - ასეთი ყოფილა გუბერნატორის დევიზი. მოკლედ „გურიის" არსებობას საფრთხე აღარ დაემუქრება. ბოლო წლებში ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, რაც საკმარისი არ იყო და ბოლოს ეს დოტაციაც შეუწყვიტეს. ბიუჯეტიდან კლუბებისთვის დახმარება „ზემოდან" არის აკრძალული და გიორგაძესაც ზემდგომის, თუგინდ გუბერნატორის დასტური სჭირდებოდა. მიხო სვიმონიშვილმაც „გურია" არ გაწირა და როგორც შევიტყვეთ, კლუბს ბიუჯეტიდან 12 ათას ლარს გამოუყოფენ. ეს თანხა სავარაუდოდ 2 თვის სამყოფია. სწორედ ამ ხნის მანძილზე უნდა მოიძებნოს სპონსორი, რითაც ხსენებული თანამდებობის პირები სერიოზულად არიან დაინტერესებული. „გურია" თებერვლის პირველ რიცხვებში შეიკრიბება. კლუბი ყოფილ წევრებს იბრუნებს. „გურიაში" ერთი სიახლეცაა — მთავარი მწვრთნელის, თემურ ლორიას დისკვალიფიკაციის გამო, მეორე წრეში გუნდს ვეტერანი ფეხბურთელი **ზვიად ენდელაძე** უთავკაცებს.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

## გვაზავას სპარტაკიდან წასვლა არ სურდა

ქართველი ნახევარმცველი **ლევან გვაზავა**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი ნალჩიკის "სპარტაკში" გაატარა, თურქეთში სამარის "კრილია სოვეტოვთან" ერთად იმყოფება და **დავით მუჯირის** კლუბში დამკვიდრებას ცდილობს. ლევანმა პავლოდარის "ირტიშთან" მატჩში 65 წუთი ითამაშა, მეორე დღეს კი უკრაინულ "ზარიასთან" მოედანზე აღარ გამოჩენილა. ორივე შეხვედრა სამარელებმა ერთნაირი ანგარიშით, 1:0 მოიგეს. არ უთამაშია დავით მუჯირს, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. დიდი შანსია, "კრილიამ" ახალი სეზონი ორი ქართველი ნახევარმცველით დაიწყოს. თურქეთში ლევანს რუსული "სპორტ ექსპრესის" წარმომადგენლები გაესაუბრნენ:

**- თქვენ ჩმესამე სეზონს, მესამე რუსულ კლუბში დაიწყებთ, რას მივაწეროთ კლუბების ასეთი ხშირი ცვლა?**

- თავადაც მიკვირს, ასე რომ ხდება. სულ ასეა - კლუბი მომწონს, სიტუაციაც, მაგრამ მიზეზების გამო იქიდან წასვლა მიწევს. 2005-ში, როცა "ალანიაში" ვიყავი, კლუბს პრობლემები შეექმნა, ჩემი სხვა რუსულ კლუბში მოწყობა დროში ველარ მოესწრო, ასე ავლმოჩნდი საქართველოში. ცოტა ხანი ვითამაშე ბათუმის "დინამოს" რიგებში. იქიდან ნალჩიკის "სპარტაკში" მიმიწვიეს, ახლა ამ კლუბსაც აქვს პრობლემები.

**- კვლავ სამშობლოში ხომ არ დაბრუნდებით?**

- არა, საქართველოში მე ისედაც ძალიაც ცოტა ხანი მაქვს ნათამაშები. ახალი დაწყებული მქონდა თამაში მშობლიურ ხობში, რომ მოლდოვაში წასვლა მომიწია. მაშინ 17 წლის ვიყავი. "ზიმბრუს" შემადგენლობაში ჩემპიონი გავხდი და თასიც მოვიპოვე. შემდეგ იყო უკრაინა, ზაპოროჟიეს "მეტალურგი" და ბოლოს რუსეთი.

## რუმინელებთან ათამაშეს, რუსებთან არა

უკრაინის ჩემპიონატში მე-15 ადგილზე მყოფი ლუგანსკის "ზარია" თურქეთში საკონტროლო მატჩებს მართავს. გუნდში ბევრი სავარაუდო ახალწვეულია, ასე რომ მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ კოსევიჩი** ხშირად დღეში ორ მატჩსაც მართავს. გუშინ "ზარია" ჯერ რუმინულ "გალაკტიკს" შეხვდა და 1:1 ეთამაშა. ამ მატჩში სასტარტოში იყო დინამოელი **მიხეილ ბობოხიძე**, რომელიც "ზარიაში" სინჯებზე იმყოფება. დღის მეორე მატჩში "ზარია" 0:1 დამარცხდა სამარის "კრილია სოვეტოვთან", ამ შეხვედრაში ქართველ ფორვარდს აღარ უთამაშია.

## დემეტრაძე დამარცხდა

თურქეთის ქალაქ ლარაში მყოფი დონეცკის "მეტალურგი" მოულოდნელად სუსტ მეტოქეებთან დამარცხდა. აზერბაიჯანულ "ქარვანთან" 1:2 წაგების შემდეგ, **კო ადრიაანსეს** გუნდმა რუსულ "სკა-ენერგიასთან" შეხვედრა 0:2 დათმო. ამ მატჩში კვლავ გამოჩნდა ქართველი ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე**, რომელსაც აზერბაიჯანელებთან სპარინგში არ უთამაშია. დემეტრაძემ პირველი ტაიმი ითამაშა, შემდეგ ის ადრიაანსემ **მიტუთი** შეცვალა. გიორგი შეტევის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, უკვე მეცხრე წუთზე სწორედ მისი კარგი პასი გაანიავა **პაულო ეოგმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეორე წრის წინ. საკონტროლო მატჩები

# სერიალი გრძელდება

**ოლიმპი-სიონი 1:0**

რუსთავის "ოლიმპმა" და "სიონმა" მოსამზადებელ ეტაპზე ბევრი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, ერთმანეთს კი მეოთხედ დაუპირისპირდნენ.

ოლიმპი: მერლანი - მახვილაძე, ონიანი, ხუბუა - სეთურიძე, ქებაძე, არზიანი, აფციაური - კახელიშვილი, გოცირიძე, დვალიშვილი.
შეცვლაზე შევიდნენ: ალავიძე, ბერუაშვილი, ჩხარტიშვილი, ძამსაშვილი.
სიონი: მამალაძე - რაქვიაშვილი, სვანიძე, ფრიდოლინი - უგრეხელიძე, ზ. ჭელიძე, სანიკიძე, გაბრიჭიძე, კობაური - ჩასემი, ცხადაძე.
შეცვლაზე შევიდნენ: ევოჩე, ჩხეტიანი, ლ. ჭელიძე.

შეხვედრა რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა – 1:0. მატჩის ერთადერთი გოლი **ვლადიმერ დვალიშვილმა** გაიტანა მშვენიერი დარტყმით. მართალია, ორივე გუნდის მწვრთნელები დღემდე აგრძელებენ სელექციას, თუმცა აშკარაა, რომ **რევაზ ძოძუაშვილმა** შემადგენლობა უკვე დაწმინდა.

"ოლიმპს", ალბათ, დაემშვიდობება ნახევარმცველი **მურთაზ ბურნაძე**, რომელიც მიხვდა, რომ ძოძუაშვილთან ძირითადში მოხვედრის მცირე შანსი აქვს. თუმცა, ფორმის აღდგენის შემდეგ, არაა გამორიცხული, მათი თანამშრომლობა განახლდეს. მანამდე კი ბურნაძე, რომელიმე სხვა კლუბში ითამაშებს. გორელი ფეხბურთელი ოლიმპელებს მოსამზადებელ პერიოდში ორი კვირის დაგვიანებით შეუერთდა.

**დათო მეფარიშვილი**


რონალდო

დიდი გარიგება

# მორჩა, რონალდო მილანელია!

## მიატოვიჩმა გალიანი აეროპორტიდან მოაბრუნა, ოლივეირა მადრიდში წავა, მილანი კიდევ ერთ ფორვარდს ეძებს...

დიახ, გაჭიანურებული საპნის ოპერა გუშინ დასრულდა. როგორც იცით, **ადრიანო გალიანი** მადრიდში **რონალდოს** შესაძენად ორშაბათს დილით ჩაფრინდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მხარეები შეთანხმებას პირველივე შეხვედრისას მიაღწევდნენ. გალიანი, წესით, მხოლოდ ფორმალობისთვის უნდა შეხვედროდა **რამონ კალდერონს**, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, სიტუაცია, სატრანსფერო თანხაზე შეუთანხმებლობის გამო, გართულდა. სინიორ ადრიანო მხოლოდ 8 მილიონ ევროს იხდიდა, მადრიდელები კი 9.3 მილიონს ითხოვდნენ. მილანელმა სტუმარმა ხელები გაასავსავა და შეხვედრა დატოვა.

ბუნებრივია, ყველაფერი ასე ვერ დასრულდებოდა. "ნერაძურის" ფორვარდი სჭირდება, **ფაბიო კაპელოს** კი რონალდოს დანახვაც აღარ უნდა. ჩვენი კოლეგების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, **პრედრაგ მიატოვიჩმა** გალიანი, ფაქტობრივად, აეროპორტიდან მოაბრუნა. ისინი დღეს დახურულ კარს მიღმა კიდევ ერთხელ დასხდნენ და ყველაფერი მოაგვარეს.

გადაწყდა, რომ "მილანი" 7.5 მილიონ ევროს (9.73 მლნ. დოლარი) გადაიხდის, სანაცვლოდ კი, არენდის წესით, ასევე ბრაზილიელ ფორვარდ **რიკარდო ოლივეირას** მიიღებს. 2008 წლის 30 ივნისამდე რონალდო "როსონერო" იქნება. ასე წერია კონტრაქტში. იქაური დროით 18 საათზე "ფენომენი" მილანში გალიანისთან ერთად გაფრინდა.

მაშ ასე, რონალდოს მადრიდული ეპოქა დასრულებულია. **ფლორენტინო პერესის** მიერ მილანური "ინტერისგან" ზარზეიმით ნაყიდი ფორვარდი კალდერონმა და კაპელომ, პრაქტიკულად, ნიხლით გააგდეს... ისევ მილანში, ოღონდ "ინტერის" მოსისხლე "მილანში". რონალდო მილანს ადრიანო გალიანისთან ერთად გაფრინდა.

რაკი ოლივეირა მადრიდის გზას გაუდგა, გამოდის, რომ "მილანს" მაინც დასჭირდება კიდევ ერთი ფორვარდი. იტალიური სააგენტოების ცნობით, "როსონერის" ხელმძღვანელობა რამდენიმე ვარიანტზე მუშაობს. სიაში **დავიდე დი მიკელე, ანტონიო დი ნატალე, ვალერი ბოჟინოვი, ანდრეა კარაჩოლო** და **ემილიანო ბონაცოლი** არიან. ცნობილი გახდა, რომ **კარლო ანჩელოტი** ბოჟინოვს ანიჭებს უპირატესობას. "იუვენტუსის" ბულგარელი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ხვდება და უკმაყოფილოც გახლავთ. მას შანსი აქვს, სერია A-ში ამ ზამთარსვე დაბრუნდეს, ვიდრე ზაფხულს უცადოს...

## ინტერი უკვე ჩემპიონია?

იტალიის ერთ-ერთმა უდიდესმა საბუქმეკერო კანტორა სნაიმ მოგებული თანხის გაცემა დაიწყო იმ მოთამაშეებზე, რომლებსაც ფული "ინტერის" ჩემპიონობაზე ჰქონდათ დადებული. სერია A-ს დასრულებამდე 17 ტურია დარჩენილი. "ნერაძური" უახლოეს მდევარ "რომას" 11 ქულით უსწრებს და ზედიზედ 14 მატჩი (იტალიის ჩემპიონატის რეკორდი) აქვს მოგებული. სნაის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ "ინტერს" სკუდეტოში ველარავინ შეეცილება. მისი გადაწყვეტილება უპრეცენდენტოა და ამითაც იპყრობს ყურადღებას.

სნაის ქმედებას მცდარი უნოდა მილანელთა პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ**: *"მათი საქმეა, თუკი თვლიან, რომ ყველაფერი დასრულდა. "ინტერს" კი სიფრთხილისკენ მოვუწოდებ, რადგან კიდევ არა ერთი ძნელი მატჩი გველის."*

იმედიანადაა რომაელთა გენერალური მენეჯერი **დანიელე პრადეც**. თუ კვირას "ჯალოროსი" "ინტერს" "სან სიროზე" დაამარცხებს, სხვაობას 8 ქულამდე დაიყვანს. პრადე ამბობს, რომ მისი ფეხბურთელები სკუდეტოს მოსაგებად ძალ-ღონეს არ დაიშურებენ: *"ჩამორჩენა, რა თქმა უნდა, სოლიდურია, მაგრამ "სან სიროზე" გამარჯვება ყველაფერს ძირეულად შეცვლიდა."*

## ტერი ჩარლტონთან დაბრუნდება

**ჯონ ტერი** მინდორზე დასაბრუნებლად მზადაა. ის "ჩარლტონთან" მომდევნო ტურში ითამაშებს. "ჩელსის" კაპიტანი "ნიუკასლთან" 13 დეკემბრის მატჩში დაშავდა. დეკემბრის მიწურულს ხერხემალზე ოპერაციაც გაუკეთეს. ტერის "ბექბერნთან" გუშინდელ შეხვედრაშიც უნდა ეთამაშა, მაგრამ **ჟოზე მოურინიომ** არ გარისკა და შაბათისთვის შემოინახა. ლონდონელთა ექიმი **ბრაიან ინგლიში** ამბობს, რომ ჯონს გაუმართლა. მისი მსგავსი ტრავმებით ფეხბურთელები გაცილებით დიდხანს ვერ ახერხებენ ვარჯიშის განახლებას.

## ბეილი ტოტენჰემს რჩება?

"მანჩესტერ იუნაიტედმა" **გარეთ ბეილის** ტრანსფერზე მუშაობა შეწყვიტა. "მირორის" ცნობით, **სერ ალექს ფერგიუსონმა** საბოლოოდ გადაიფიქრა 17 წლის უელსელი მცველის შეძენა, რადგან 10 მილიონი გირვანქის გადახდა მიზანშეუწონლად მიიჩნია. მანჩესტერელთა გადაწყვეტილება ხელს აძლევს "ტოტენჰემსა" და "არსენალს". ისინი "საუთჰემპტონის" ხელმძღვანელობასთან გამალებულ მოლაპარაკებას აწარმოებენ. გადაწყვეტილება ტრანსფერის შესახებ, შეიძლება, დღესაც მიიღონ, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ "წმინდანები" სეზონის ბოლომდე მოიცდიან და ბეილს მხოლოდ აგვისტოში გაუშვებენ. მიმომხილველების მტკიცებით, ორ ლონდონურ კლუბს შორის ფავორიტი "ტოტენჰემია", რადგან ეს უკანასკნელი ყმაწვილს ძირითადში მოხვედრის გარანტიას აძლევს.

## დეპორტივო: მინუს ორი ვარსკვლავი?

"დეპორტივოს" ორი საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვა ემუქრება. "ბარსელონა" 7 მილიონ გირვანქას ამზადებს თავდამსხმელ **ხავიერ არისმენდის** სანაცვლოდ. 22 წლის არისმენდის გალისიელებთან კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. საინტერესოა ერთი პუნქტი, რომელიც ფეხბურთელის ხელშეკრულებაში ამ უკანასკნელის კატეგორიული მოთხოვნით ჩადეს. არისმენდი აღიარებს, რომ მისი ოცნების კლუბი მადრიდის "ატლეტიკოა", ამიტომ თუ დედაქალაქელები თანამშრომლობას შესთავაზებენ, "დეპორტივო" ვალდებული იქნება, ის 2 მილიონ გირვანქად გაყიდოს.

რაც შეეხება ლაკორუნიელთა მეორე შესაძლო დანაკლისს, საუბარია 28 წლის მცველ **ხოან კაპდევილაზე**, რომელმაც "სევილიის" ყურადღება მიიპყრო. კაპდევილას "დეპორთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. თუ ის გალისიელებთან თანამშრომლობას არ გააგრძელებს, თავისუფალი აგენტი გახდება. უფასო ფეხბურთელისთვის კი "ვილიარეალი", "სარაგოსა" და "ესპანიოლიც" იბრძოლებენ.

## ბაიერნმა პანტელიჩი შეიგულა

ბერლინელმა თავდამსხმელმა **მარკო პანტელიჩმა** "ბაიერნის" ყურადღება მიიპყრო. რეკორდმაისტერი თავდასხმის გაძლიერებას ცდილობს. მიუნხენელი სელექციონერების აზრით, 28 წლის სერბი ფორვარდი საუკეთესო კანდიდატია. მოგეხსენებათ, სეზონის ბოლოს **კლაუდიო პისაროს** კონტრაქტი უმთავრდება. ის "ბაიერნიდან" წასვლას აპირებს. პანტელიჩი, რომელმაც მიმდინარე სეზონში უკვე 11 გოლი გაიტანა, შეიძლება, პერუელი ვარსკვლავის მემკვიდრე გახდეს.

## დავიდსი უფასოდ აიაქსში

**ედგარ დავიდსი** "აიაქსში" ჩაირიცხა. 33 წლის ნახევარმცველმა მშობლიურ კლუბთან 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. ამსტერდამელებს "ტოტენჰემისთვის" ერთი ცენტიც არ გადაუხდიათ. დავიდსი ლონდონელებს ხელშეკრულების გაწყვეტაზე შეუთანხმდა და ჰოლანდიას თავისუფალი აგენტის რანგში მიაშურა. დავიდსმა პროფესიული კარიერა "აიაქსში" დაიწყო და 1991-96 წლებში მის შემადგენლობაში 149 მატჩი ჩაატარა. ამავე პერიოდში ედგარი სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1994, 1995, 1996), ერთხელ დაეუფლა უეფას თასსა (1992) და ერთხელ ჩემპიონთა თასს (1995).

მწვრთნელი

# ჰიდინკი სასამართლოში

## განაჩენი, შეიძლება, ჰოლანდიასთან ამხანაგური მატჩის წინ გამოუტანონ...


გუუს ჰიდინკი

გუშინ, დილის 12-ის ნახევარზე, **გუუს ჰიდინკი** ჰოლანდიის ქალაქ დენ ბოსხის მართლმსაჯულების წინაშე წარდგა. რუსეთის ნაკრების თავკაცს გადასახადების დამალვაში სდებენ ბრალს. პროკურატურის მტკიცებით, კორეიდან დაბრუნების შემდეგ ჰიდინკმა ქვეყნის საგადასახადო ორგანოები შეცდომაში შეიყვანა. 2002-03 წლებში მან საკუთარ საცხოვრებელ ადგილად ბელგიის ქალაქი ახელი მიუთითა, სინამდვილეში კი ჰოლანდიაში ცხოვრობდა და გადასახადებს ურცხვად არიდებდა თავს. ჰიდინკი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ის ამბობს, რომ ნამდვილად ბელგიაში ცხოვრობდა და გადასახადებსაც იმ ქვეყნის ბიუჯეტში პირნათლად იხდიდა. სახელგანთქმული მწვრთნელის სიტყვებით, მას არასოდეს არც ერთი სახელმწიფოს ხელისუფლებასთან პრობლემა არ შექმნია, უცხოეთში კი დაახლოებით ათი წელი აქვს გატარებული. ჰიდინკი დღევანდელ პრობლემებს ადმინისტრაციული გაუგებრობებით ხსნის.

სასამართლოს მომდევნო სხდომა 2 თებერვალს შედგება. იმ დღეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებს მოუსმენენ. არაა გამორიცხული, 6 თებერვალს განაჩენიც გამოიტანონ. საინტერესო ისაა, რომ ერთი დღის შემდეგ ჰიდინკის რუსეთს ჰოლანდიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ელის. თამაში ამსტერდამში გაიმართება.


კრისტოფ მეტცელდერი

მოსალოდნელი გარიგება

# იუვე: ორი ტრანსფერი გერმანიიდან

"იუვენტუსმა" **კრისტოფ მეტცელდერს** კონტრაქტი შესთავაზა. "ტუტოსპორტის" ცნობით, თუ გერმანელი მცველი ტურინში გადავა, 4 წელიწადში 7 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ეს ხელფასი ბევრად აღემატება იმას, რომელსაც მეტცელდერი დორტმუნდში იღებს. ფეხბურთელს "ბორუსიასთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება.

"იუვენტუსში" გადასვლა სურს ბაიერნელ **კლაუდიო პისაროსაც**. პერუელ თავდამსხმელს იტალიური პასპორტი აქვს. მისი ბაბუა ტურინშია დაბადებული. ბუნდესლიგის პირველ წრეში პისაროს ბავარიული კლუბის ხელმძღვანელობასთან პრობლემები ჰქონდა. მას გუნდიდან გაგდებითაც კი დაემუქრნენ. მართალია, კონფლიქტი ამოიწურა, მაგრამ კლაუდიო კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებს. ივნისში ისიც თავისუფალი აგენტი გახდება. პისარომ "ქალბატონს" საკუთარი სამსახური უკვე შესთავაზა: *"სიამოვნებით ვითამაშებდი ჩემი წინაპრების ქალაქში, თანაც მომავალი სეზონიდან "იუვეს" ღირსებას ჩემი მეგობარი, ჰასან სალიჰამიჯიჩიც დაიცავს."*

არსენალი

# ვენგერის მორიგი აღმოჩენები?



არსენ ვენგერი

**არსენ ვენგერი** დაშავებული **რობინ ვან პერსის** შემცვლელს ეძებს. ის მშობლიურ სტრასბურგში გაემგზავრა და ადგილობრივი კლუბის დირექტორებს 17 წლის **მორგან შნაიდერლინზე** ელაპარაკა. შნაიდერლინი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. გასულ ზაფხულს ის ქვეყნის უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბმა მიიწვია. დაინტერესებული იყო "ჩელსიც". ვენგერს "სევილიის" გარემარბის **ანტონიო პუერტას** იჯარით წაყვანაც სურდა, მაგრამ მოლაპარაკებებს შედეგი არ გამოუღია.

მოსიე არსენის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "სენტ ეტიენი" თანახმაა, 28 წლის თავდამსხმელი **ფრედერიკ პიკიონი** "არსენალს" დაუთმოს. ფეხბურთელი 5 მილიონი გირვანქა ღირს. "ნიუკასლს", "ლიონსა" და "სელტიკს" ამ ბიჭის იჯარით წაყვანა სურდათ, მაგრამ უარი მიიღეს. გადაწყვეტილია საფრანგეთის მეორე ლიგის კლუბ "შატორუს" 15 წლის თავდამსხმელის **ჟილ სუნუს** "არსენალში" ტრანსფერის საკითხიც. ის "მეთოფეებს" მაშინვე მიაშურებს, როგორც კი 16 წელი შეუსრულდება და პირველ პროფესიულ კონტრაქტსაც ლონდონში მოაწერს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარჩელო ლიპი

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ოქროს ბურთი იბრაჰიმოვიჩს

## აძურის ექსმწვრთნელი იტალიის ჩემპიონატსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე საუბრობს...

**მარჩელო ლიპი ნახევარი წელია მწვრთნელი აღარაა, მაგრამ პრიზების მიღებას დღემდე განაგრძობს. ორშაბათს ევროპის წამყვანი სპორტული გამოცემების ასოციაცია ESM-მა ლიპი ევროპის 2006 წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. „ჩემთვის ყველანაირი აღიარება მნიშვნელოვანია, ის საჩუქარიც კი, რომელსაც ბავშვები ქუჩაში მჩუქნიან ხოლმე, მაგრამ ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს,“ – თქვა დიდმა მაესტრომ პრიზის მიღების შემდეგ. აღნიშნულ გამოკითხვაში მეორე ადგილზე ფრანკ რიიკაარდი, მესამეზე კი ჟოზე მოურინიო გავიდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მსოფლიო ჩემპიონ მწვრთნელს „გაძეტა დელო სპორტმა“ ინტერვიუ ჩამოართვა. საუბარი, რაღა თქმა უნდა, ლიპის მომავლით დაიწყო: „წარმოდგენა არ მაქვს, სად გაგრძელდება ჩემი კარიერა, თუმცა სავარაუდოდ, უფრო კლუბში ვიმუშავებ, ვიდრე რომელიმე ნაკრებში, რადგან დიდი და ტრადიციული ნაკრებები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უცხოელ მწვრთნელებს არ იწვევენ“.**

**- თქვენთვის პრობლემას უკვე აღარც უცხო ენა წარმოადგენს?**

- ადრე ვფიქრობდი, რომ ეს დიდი პრობლემა იყო, მაგრამ ახლა ასე აღარ ვფიქრობ. ინგლისურად რაღაც მესმის, აღმოვაჩინე, რომ მე და ფერგიუსონს ფრანგულადაც შეგვიძლია ერთმანეთს სათქმელი გავაგებინოთ. ესპანურს რაც შეეხება, საკმარისია, იტალიურ სიტყვას ბოლოში „ს“ დაამატო, ასე არ არის?

**- ესპანეთი, ინგლისი, იტალია... იქნებ ყოფილი გუნდიც?..**

- არაფერს გამოვრიცხავ.

**- რომელიმე ნაკრების წარმომადგენლები თუ დაგიკავშირდნენ?**

- ლიბიის, მექსიკის. მაგრამ ამის დრო არ იყო.

**- იტალიაში ჩემპიონატი დასრულებულია?**

- ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდით: სწორედ ისეთი წარმომედგინა სატურნირო ცხრილი ზაფხულში, როგორიც დღესაა. „ინტერი“ მეტისმეტად ძლიერია და, მრავალი წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული.

**- შეუძლია ამ „ინტერს“, რომ წარმატებული ციკლი გახსნას?**

- შეუძლია. თუმცა მახსოვს, რომ 1994-ში ჩემმა „იუვემაც“ სკუდეტოთი დაიწყო, მაგრამ უცბად „მილანმა“ თავი წამოყო და მომდევნო წელს ჩემპიონი გახდა. კონკურენტი გუნდები ზაფხულში გაძლიერდებიან და ამიტომ მომავალი სეზონი „ინტერისთვის“ უფრო რთული იქნება.

**- ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც შეუძლია მანჩინის გუნდს?**

- ევროპულ გრანდებს შორის „ინტერი“ ერთადერთია, რომელსაც ჯერჯერობით პრობლემები არ აქვს. მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის სპეციალურად ამ ტურნირისთვის გათვლილ მომზადებაზე.

**- რომელი გუნდი მოგწონთ ევროპაში ყველაზე მეტად?**

- „მანჩესტერ იუნაიტედი“. ჩემი მეგობარი ალექს ფერგიუსონი გუნდს ყოველ ჯერზე ახლიდან ქმნის და სწორადაც იქცევა.

**- ვინ არის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი ამ მომენტისთვის?**

- იბრაჰიმოვიჩი. სერია A-ში ის უდავოდ საუკეთესოა. თუ გუნდთან ერთად რომელიმე მნიშვნელოვან ტიტულს მოიგებს, მაშინ ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება, რომ წლის ბოლოს კანავაროს ტიტულების მემკვიდრე გახდეს. ვან ბასტენი არაა, მაგრამ ფიზიკურად ძალიან ჰგავს და მასსავით ეტყობა, „აიაქსის“ სკოლა რომ აქვს გავლილი.

**- ვინ არის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი?**

- ბოლო ოც წელიწადში ზიდანი, ყოველ შემთხვევაში, მარადონას შემდეგ. უკანასკნელ სამ სეზონში კი საუკეთესო რონალდინიოა. მაგრამ ნურავინ შეეხება კანავაროს ჯილდოებს.

**- ზიდანთან საუბარი არ გქონიათ?**

- უკანასკნელად ფინალის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ველაპარაკე. ვუთხარი, სანამ არ დაკოჭლდები, მანამდე ფეხბურთიდან არ უნდა წახვიდე-მეთქი. ამის შემდეგ აღარ გვილაპარაკია.

**- რონალდოს „მილანში“ გადასვლა დიდი გარიგებაა ბერლუსკონის კლუბისთვის?**

- ვერ ვხვდები, რატომ აძლევს „რეალი“ წასვლის უფლებას. მაგრამ „მილანი“ სწორად იქცევა, მის აყვანას რომ ცდილობს: რონალდოს მოტივირებული და რევანშის მაძიებელი გუნდი სჭირდება. მე მას კარგად ვიცნობ, შესანიშნავი ბიჭია.

**- „ინტერში“ თქვენთან ერთად იყო.**

- მსოფლიოს საუკეთესო შემტევი წყვილი მყავდა, რონალდო-ვიერი, მაგრამ ერთად მხოლოდ სამ შეხვედრაში ითამაშეს. რონის ცხოვრებამ ყველაფერი მისცა, მაგრამ ცოტას თუ შემთხვევია ისეთი უიღბლობა, როგორიც მას ტრავმის გამო შეემთხვა.

**- რონალდოს გარდა, „რეალში“ ადგილი ვერც კასანომ მოძებნა.**

- მოვიდა დრო, როცა ანტონიომ საკუთარ თავს ასეთი კითხვა უნდა დაუსვას: „რატომ არის, რომ ვერასდროს ვთამაშობ?“ ვისი ბრალია, მისი თუ კლუბის? თუ ამ კითხვაზე პასუხს იპოვის, მაშინ დრო საკმარისად აქვს, დაკარგული რომ დაიბრუნოს. მაგრამ უნდა ითამაშოს, ეს აუცილებელი პირობაა.

**- შევჩენკოს რა სჭირს?**

- ის, რაც პლატინის დაემართა, როცა „იუვენტუსში“ გადავიდა. ან კიდევ ფალკაოს. ახალ გარემოსთან ადაპტაცია სჭირდება. და არა მგონია, რომ თანაგუნდელები ომს უცხადებდნენ: ყველამ კარგად დავინახეთ, „ნოტინგემთან“ გატანილი გოლის შემდეგ დროგბა როგორ გადაეხვია, ასეთ მომენტებში ფეხბურთელები არ თვალთმაქცობენ.

**- მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტი გახდა. რას ნიშნავს?**

- იმას, რომ რაღაც სასიკეთოდ შეიცვლება, თუკი სათავეში მისნაირი ან ბეკენბაუერისნაირი ხალხი იქნება. ვგულისხმობ იმათ, ვინც ფეხბურთს საფუძვლიანად იცნობს, მას გლობალურად უყურებს და ამასთან, მენეჯერული გამოცდილებაც აქვს.

**- პლატინი ხშირად ლაპარაკობს ჩემპიონთა ლიგაზე. ვინ იცის, როდის დაბრუნდება იქ „იუვენტუსი“...**

- „იუვენტუმა“ მხოლოდ სერია B-ზე უნდა იფიქროს. მას შემდეგ, რაც A-ს საგზურს მოიპოვებს, საშუალება ექნება, რომ იმუშაოს ახალ პროექტზე, რომელიც ნელ-ნელა ძველ სიმაღლეებზე დააბრუნებს.

**- დეშამის თაობაზე რას ფიქრობთ?**

-ფეხბურთელობისას უკვე მწვრთნელი იყო: თამაშის დიდებული ხედვა ჰქონდა, თანაგუნდელებს რჩევებს აძლევდა. მას ახლა უმძიმესი მოვალეობა აკისრია: იოლი არაა, ამხელა სკანდალის შემდეგ B-ში იძულებით დარჩენილ ვარსკვლავებთან მუშაობა. მაგრამ საქმეს თავს კარგად ართმევს.

**- თქვენგან რა ისწავლა?**

- ვინც დეშამს კარგად იცნობს, მეუბნება, რომ ბევრი რამ გვაქვს საერთო: გუნდის მომზადებისა და თამაშის წინ დავალებების მიცემის სტილი და არა მხოლოდ ეს.

**- ლუჩანო მოჯიმ თქვა, რომ სკადალის დღეებში ისეთი განადგურებული იყო, თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა.**

- ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდი. მართლაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო.

**- კარიერაში ყველაზე ცუდად რა გახსენდებათ?**

- როცა თანამდებობიდან მითხოვდნენ, უფრო სწორად კი პირველი დათხოვნა სერია C-ში. ცუდად დავიწყე და გავიფიქრე: „ჩემს კარიერას დაღი დაესვა“. მაგრამ მერე მივხვდი, რომ რამდენიმე დათხოვნას სიკეთეც მოაქვს, გაძლევს დროს, რომ ენერგიით ხელახლა დაიმუხტო და ისწავლო.

**- წლევანდელმა ჩემპიონატმა ბევრი ახალი სახე წარმოაჩინა.**

- ემპოლელები მომწონს: ალმირონი, პრატალი, მორო. არაჩვეულებრივი ფორვარდია ასევე პაოლუჩი: ის ჩემი „იუვეს“ ახალგაზრდული გუნდიდან მახსოვს. ძალიან მონდომებულია, ერთი კვირის წინათ „ატალანტას“ წინააღმდეგ მარტო იბრძოდა და თავისი ორიგინალური კომენტარებითაც მომხიბლა.

**გოგა ახალაძე**

რობერტო დონადონის კომენტარები

# კასანოსთვის პატარა გუნდი აჯობებს

## იტალიელთა დამრიგებელს ჩემპიონატში კონკურენციის ნაკლებობა აღელვებს




ანტონიო კასანო

7 თებერვალს სიენაში იტალიის ნაკრები რუმინეთს ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლებს. ეს იქნება უკანასკნელი ტესტი, რომელსაც „სკუადრა აძურა“ შოტლანდიასთან შესარჩევ შეხვედრამდე გაივლის. სანაკრებო მატჩის მოახლოებასთან ერთად მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა **რობერტო დონადონი**. ორშაბათს ტელეკომპანია „სქაი იტალიას“ ჟურნალისტები მწვრთნელს ფედერაციის შენობის შესასვლელთან დახვდნენ და რამდენიმე კითხვა დაუსვეს. *„კასანოს ადგილას რომ ვიყო, კარგად დავფიქრდებოდი, სანამ „ინტერის“ შეთავაზებას დავთანხმდებოდი,“* – თქვა დონადონიმ, რომელიც ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, სეზონის დასაწყისში კასანოს დახმარების ხელი რომ გაუწოდა და პირველ ორ შესარჩევ შეხვედრაში ძირითადში ათამაშა. ამ სვლამ არ გაამართლა, ბარელი ტალანტი მწვრთნელს მას შემდეგ აღარც მიუწვევია, მაგრამ, როგორც იტალიური პრესა წერს, მის მიმართ გარკვეული სიმპათია ისევ რჩება. *„ინტერს“ განსაკუთრებულად ძლიერი და მრავალფეროვანი შემადგენლობა ჰყავს – განაგრძო დონადონიმ – ისევე, როგორც „რეალს“. კასანომ ყოველდღიურად უნდა იბრძოლოს ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად. სტაბილურად თამაშია ის, რაც ანტონიოს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. სტაბილურად თამაშის გარანტიას კი მას შედარებით პატარა კლუბი, შესაძლოა, იტალიური, უპრობლემოდ მისცემდა. კასანო ახლა უკვე გზაგასაყარზე დგას. შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვს. საკუთარ თავში უნდა იპოვოს რწმენა და სურვილი, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს“.*

„აძურის“ მწვრთნელს ძალიან მოსწონს „მილანის“ ინიციატივა, რომ **რონალდო** ჩამოიყვანოს. *„რონალდო მაინც რონალდოა – თქვა დონადონიმ – მის ნიჭს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს. რაკი „მილანის“ შეთავაზება მიიღო, ესე იგი, მაღალ დონეზე თამაშის ნება ისევ აქვს. ვიცი, რომ ამ ბოლო წლებში გარკვეული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ რონალდოს შეუძლია, თავისი თავი ყველას შეახსენოს. მის შემთხვევაში საქმე ეხება მნიშვნელოვან სატრანსფერო ოპერაციას და არა ისეთს, როცა არ იცი, გაამართლებს ფეხბურთელი თუ არა“.*

წინა დღით **კარლო ანჩელოტიმ** თქვა, რომ მომავალში იტალიის ნაკრებს დიდი სიამოვნებით გაწვრთნიდა. კარლეტოს ამ განცხადებას დონადონი პოსტის დაკარგვის საშიშროებად არ აღიქვამს: *„რომელი მწვრთნელი არ ისურვებდა იტალიის ნაკრების სათავეში ყოფნას? ანჩელოტის განცხადება საფრთხეს არ მიქმნის, პირიქით, ჩემთვის ეს დამატებითი სტიმულია. ჩემი თანამდებობა ყველასთვის საოცნებოა, ის ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს და სასიამოვნოა, რომ ეს ისეთმა დიდმა მწვრთნელმა აღიარა, როგორიც კარლო ანჩელოტია“.*




რობერტო დონადონი

დონადონიმ ჩემპიონატში არსებულ სიტუაციაზეც ისაუბრა: *„ინტერს“ სკუდეტო ხელში აქვს, მაგრამ ჩემპიონატში ინტრიგა რჩება და სხვა დიდი დაპირისპირებები გველოდება. მაგალითისთვის, დიდ ბრძოლას ველი მეოთხე ადგილისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს უდრის. „მილანსა“ და „ლაციოს“ შორის საინტერესო და ამაღელვებელი დუელი შეიძლება გაიმართოს. ცხადია, რომ ასეთი უცნაური ჩემპიონატი ნაკრებს ნამდვილად არ ეხმარება. არის საშიშროება, რომ ინტერესი ნაადრევად დაიკარგოს, რაც საბოლოო ჯამში ფეხბურთელებს მოტივაციას დააკარგვინებს. საბედნიეროდ, მალე ჩეპიონთა ლიგა განახლდება. „ინტერს“ ევროპაშიც ძალიან შორს შეუძლია წასვლა. ჩემპიონატში მისი ასეთი რეკორდული სვლა გუნდის ჩემპიონთალიგურ გამოსვლაზეც დადებითად იმოქმედებს“.*

**გოგა ახალაძე**



სავიოლა და დეკუ

ერთობლივი ინტერვიუ ხავიერ სავიოლასა და დეკუსთან

# ისინი ვერ იტანენ, როცა დემაგოგები ებრძვიან

## პორტუგალიელი ბარსელონიდან ნაადრევად წასვლაზე ალაპარაკდა, ბაჭია კი, კატალონიელებთან საქმეს თუ ვერ მოაგვარებს, სამსახურს სხვაგან მოძებნის, თუნდაც ეს რეალი იყოს...

**19 დღეში 8 გოლი, მთლიანად სეზონში კი 12 ბურთი - ასეთია ხავიერ სავიოლას მონაგარი. მოგეხსენებათ, კატალონიელებს არგენტინელი ფორვარდის დატოვება არ სურდათ. მისი საკითხი დღესაც არ გადაწყვეტილა, თუმცა წინა თვეებისგან განსხვავებით, ახლა ბაჭიას გაცილებით დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ესაუბრებიან. სამხრეთამერიკელის ბოლოდროინდელი წარმატებები საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა იმისთვის, რომ "ელ მუნდო დეპორტივოს" ინტერვიუ მოემზადებინა. კატალონიურმა გაზეთმა ერთი რესპონდენტი არ იკმარა და საუბარზე დეკუც დაითანხმა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიელი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე "ბარსელონიდან" წასვლას სულაც არ გამორიცხავს.**

**- ხავიერ, ალბათ, ძალიან ბედნიერი ხართ...**

- ჩვენ პირველი ადგილი დავიბრუნეთ, რაც ყველას თანაბრად აბედნიერებს... თუმცა არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მე ბედნიერების განსაკუთრებული საბაბი მაქვს. დიდი შრომისა და წვალების შემდეგ საზოგადოების უდიდესი პატივისცემა დავიმსახურე. ფრანკ რიიკაარდმა თამაშის საშუალება მომცა. დამეთანხმებით, ფეხბურთელისთვის მწვრთნელის მიერ გამოცხადებული ნდობა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, პირადად ჩემთვის, გულშემატკივართა აღფრთოვანება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. "კამპ ნოუ" ჩემს სახელს სკანდირებს. ხალხი კმაყოფილია და მე ამით უზომოდ ბედნიერი გახლავართ. საზოგადოებას მადლობა "სელტის" კარში გატანილი გოლით გადავუხადე. იმედია, სამისო შესაძლებლობა მომავალშიც მომეცემა.

**- მესმის თქვენი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადამიანი სრულ ბედნიერებამდე მისვლას ვერ ახერხებს. მართლაც შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, თქვენი და "ბარსელონის" ურთიერთობა გარკვეული არ არის. კონტრაქტი ჯერაც არ გაგიხანგრძლივებიათ.**

- შესაძლოა, იფიქროთ, რომ ვთვალთმაქცობ ან ყველასთვის გამაღიზიანებელ დიპლომატიას მივმართავ, მაგრამ, გეფიცებით, სრულიად გულწრფელად ვსაუბრობ. ამ ეტაპზე კონტრაქტის გახანგრძლივება შეუძლებელია. უნდა მოვითმინო და დავრწმუნდე, სურთ თუ არა ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელება. ხელმძღვანელობისგან კარგი ინფორმაციები მომდის. მათ იციან, რომ ხავიერ სავიოლას "ბარსელონაში" დარჩენა სურს. იმედია, შემოთავაზებას მალე მივიღებ. თუ დამტოვებენ, სიხარულით ცას ვეწევი, მაგრამ არანაირი უფლება არ მაქვს, რომ დირექტორატზე რაიმე სახის ზეწოლა მოვახდინო. სიჩქარე არც ერთ მხარეს არ გვჭირდება. სხვა კლუბების წინადადებებს იქამდე არ განვიხილავ, მანამ "ბარსაში" სიტუაციას არ გავარკვევ.

**- სხვათა შორის, ისიც ითქვა, ფეხს თავად სავიოლა ითრევს, რადგან "იუვენტუსისგან" ფინანსური თვალსაზრისით გაცილებით მომგებიან წინადადება მიიღოო...**

- სისულელეა! "დიარიო სპორტის" კორესპონდენტს გარკვევით ვუთხარი, რომ ვერცხლის მოყვარული არ ვარ. "ბარსელონა" ჩემთვის საოცნებო, ზღაპრული კლუბია. აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც ყველაზე დიდი მორწმუნე კარდინალი სამოთხეში (იცინის).

**- კეთილი, ახლა თქვენს მეგობარსაც მივაქციოთ ყურადღება. დეკუ, ამ დილით "რადიო კატალუნიის" გადაცემას ვუსმენდი და შოკირებული დავრჩი. რაშია საქმე, გამოუძინებელი იყავით, თუ მართლა განიხილავთ "ბარსადან" ვადამდე აბარგების შესაძლებლობას?**

- არა, ღამით მშვენივრად მეძინა და დილის გადაცემამდეც მას შემდეგ ჩავერთე, რაც შხაპი მივიღე და კარგად გამოვხიზლდი (იცინის). თქვენთვისაც გავიმეორებ იმას, რაც რადიოს წამყვანებს მოვახსენე. წარმოდგენა არ მაქვს, დავრჩები თუ არა, "ბარსელონაში" კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე, ანუ 2010 წლამდე. შესაძლოა, ვინმეს ეს განცხადება სკანდალურად ეჩვენა, მაგრამ ჩემი აზრით, გასაკვირი არაფერი მითქვამს. არავინ იცის ფეხბურთში ხვალ და ზეგ რა მოხდება. როცა გუნდი იგებს, ყველა კმაყოფილია. განვმარტავ, გულშემატკივრები, სოსიოები, მწვრთნელები, დირექტორატის წევრები, პრეზიდენტი და ფეხბურთელები. ანუ, როცა იგებ და ტიტულებს იპოვებ, არანაირი პრობლემა არ არსებობს... მაგრამ 2010 წლამდე ძალიან დიდი დროა დარჩენილი. შესაძლოა, საქმეები ცუდად აგვეწყოს. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში კი არავინ იცის, ვის როგორი სურვილი ექნება. შესაძლოა, ხელმძღვანელობას არსებული შემადგენლობის დიდ ნაწილთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ მოუნდეს. ან თავად ფეხბურთელებმა მოინადინონ წასვლა. მე ერთი რამ ვიცი, ჩემს მომავალს ჩემ გარდა ვერავინ გადაწყვეტს. ახლა "ბარსელონიდან" წასვლის არანაირი სურვილი არ მამოძრავებს, მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვლება, თუ დავინახავ, რომ წინ სვლის საშუალება აღარ მაქვს, ან კლუბისთვის სარგებელი ველარ მომაქვს, აუცილებლად სხვაგან წავალ.

**- ვერ ვხვდები, სრულიად მოულოდნელად და უსაფუძვლოდ რატომ ალაპარაკდით ამ თემაზე?**

- უსაფუძვლოდ? დარწმუნებული ხართ, რომ არანაირი საფუძველი არ არსებობს? ჩემი მიზეზების შესახებ თითქმის ამომწურავად გესაუბრეთ, დანარჩენზე ყურადღების გამახვილება კი აღარ მინდა. რადიოში უკვე ვილაპარაკე.

**- დეკუ, ამ საჭირბოროტო თემაზე საუბარს ნუ დაგვზარდებით...**

- უდავოა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჩემს წინააღმდეგაა მომართული. ისინი ჩასაფრებულები არიან და იმ მომენტს ელოდებიან, როცა კრიტიკის ქარიშხლის ატეხვის შესაძლებლობა მიეცემათ. საზოგადოება ფართო ცნებაა და რა თქმა უნდა, სხვადასხვა წრის ადამიანებს გულისხმობს. მაგალითად, გულშემატკივართა ერთ ნაწილს, ფუნქციონერებს, ყოფილ ფეხბურთელებსა და ჟურნალისტებს. მოგეხსენებათ, "სელტასთან" მატჩამდე რამდენიმე შეხვედრაში წავიფორხილეთ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სოროებიდან გამომძვრალიყვნენ და დაუნდობელი იერიში მოეტანათ. კრიტიკა ყველას დაატყდა თავს, მაგრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმითა და აგრესიით მე შემომიტიეს. იმდენად უტიფრები არიან, რომ ჩვენი დიდი გამარჯვებებისას ხმასაც არ იღებენ. წარმოიდგინეთ, რა დღეს დამაყრიან, თუ "ბარსა" 2007-08 წლების სეზონში მეორე ან მესამე ადგილზე გავა.

**- კი, მაგრამ ასეთი მეთოდებით ალბათ, ის ხალხი გებრძვით, რომელიც "რეალის" კეთილდღეობაზე ლოცულობს...**

- ვინ იცის. ჩემი ინფორმაციით, ისინი "ბარსელონას" უჭერენ მხარს. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ მცდარი ინფორმაციაა. "ბარსას" ასეთი ლაჩარი მხარდამჭერები არაფერში სჭირდება.

**- დეკუ, უნდა დამეთანხმოთ, რომ კრიტიკა ფეხბურთის, ზოგადად ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...**

- მესმის, მაგრამ ვერ ვიტან, როცა სუბიექტური არგუმენტებით, უფრო სწორად დემაგოგიით შეიარაღებული იდიოტები მებრძვიან. მათთან არანაირი საქმე არ მაქვს. აი, გულწრფელ ქომაგებს კი ვთხოვ, საქმეს გაგებით მოეკიდონ. ჩვენ რობოტები არ ვართ, რომ ყოველი მატჩი ერთ დონეზე ჩავატაროთ. საამისო უნარი მხოლოდ დაპროგრამირებულ მანქანებს აქვთ.

**- კვლავ სავიოლას დავუბრუნდები. ხავიერ, ეთანხმები დეკუს?**

- რა თქმა უნდა. საშინელებაა, როცა მიზანმიმართულად გებრძვიან. ასეთ ხალხს ვერც მე ვიტან.

**- დავუშვათ, "ბარსელონასთან" ვერ შეთანხმდით...**

- ამ შემთხვევაში კარიერას ნამდვილად არ დავასრულებ (იცინის). თუ "ბარსა" უარს მეტყვის, გული დამწყდება, მაგრამ უმალ სხვა კლუბებთან დავიწყებ მოლაპარაკებას.

**- თითქოს, თქვენით "რეალი" დაინტერესდა...**

- პირველად მესმის.

**- ეს შემოთავაზება მართლაც რომ მიიღოთ, რას გადაწყვეტთ?**

- ვიმეორებ, პირველ რიგში "ბარსელონის" წინადადებას მოვისმენ. თუ არაფერი გამოვა, მაშინ სამსახურს სხვაგან მოვძებნი.

**- "რეალთანაც" დაიწყებთ მოლაპარაკებას?**

- არ მგონია, ასეთი დიდი გუნდისთვის ზურგის შექცევა მართებული იყოს. ერთი სიტყვით, ჯერ "ბარსა" და მერე ყველა სხვა.

**- სადაცაა, სამუელ ეტოო დაბრუნდება. სავარაუდოა, რომ თქვენ კვლავ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებთ...**

- როგორც დეკუმ თქვა, არავინ იცის რა მოხდება მომავალში. მე დღევანდელი დღით ვცხოვრობ. სამუელის გამოჯანმრთელებას გულწრფელად მივესალმები, რადგან ის "ბარსელონის" ერთ-ერთი ლიდერია. დანარჩენს კი დრო დაგვანახებს. უდავოა, სამუ, გუდი და მე ბევრ გოლს გავიტანთ. გუნდისთვის კი ეს ცალსახად კარგი იქნება.

**- გუდიონსენმა განაცხადა, მე და სავიოლას ერთად თამაში სულაც არ გაგვიჭირდებაო. ეთანხმებით ისლანდიელს?**

- ძნელი სათქმელია, მართლაც თუ არ გაგვიჭირდებოდა. ჩვენ რადიკალურად განვსხვავდებით ერთმანეთისგან. გუდიონსენი ფიზიკურად ძლიერი ფორვარდია, მე კი უფრო სწრაფი ვარ. სიმართლე გითხრათ, ერთი გუნდის მაისურით მოედანზე ჩვენი ერთად გასვლა ვერ წარმომიდგენია, თუმცა, შესაძლოა, ვცდებოდე. იქნებ, მრავალფეროვნება მომგებიანი იყოს.

**- დეკუ, "სელტასთან" მატჩში საუკეთესო იყავით. როგორ ფიქრობთ, დაიბრუნეთ საუკეთესო კონდიციები?**

- რაც არ დაგიკარგავს, ვერასოდეს დაიბრუნებ. მე ადრეც ჩინებულ ფორმაში ვიყავი, უბრალოდ მცირე გადაღლისა და გუნდის პრობლემების გამო შესაძლებლობებს ვერ ვამჟღავნებდი. "სელტასთან" არა მარტო მე, არამედ მთელმა გუნდმა ფანტასტიკურად ისპარეზა. გულშემატკივრები შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ.

**- მადრიდულმა პრესამ თქვენი გამარჯვება მსაჯის მიერ დაშვებული შეცდომით ახსნა. პენალტი მართლაც შეცდომით დაინიშნა...**

- ფეხებზე მკიდია, რას წერენ მადრიდელი ჟურნალისტები. ისინი მთელ დღეს "რეალის" ბაზასთან ატუზულები ატარებენ და არაობიექტურ სტატიებს წერენ. თუ ასეთი სამართლიანები და ჭკვიანები არიან, არქივი ამოქექონ და დათვალონ, არბიტრების მიკერძოების წყალობით სამეფო კლუბს რამდენი გამარჯვება მოუპოვებია. დიახ, "სელტასთან" მატჩში მსაჯმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მისთვის ქრთამი არ გადაგვიხდია. "ბარსელონამ" ვიგოელებს ყველა კომპონენტში აჯობა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ექსპერტის მოსაზრება

# მსაჯების 11 საჩუქარი ბარსელონას

## დიარიო ასი პრიმერა დივიზიონში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მიმოიხილავს...




"ვილიარის სინდრომი" ჯერჯერობით არც ერთ განმარტებით ლექსიკონში არ არის შეტანილი. ამას მომავალშიც არ უნდა ველოდოთ. თუმცა "ვილიარის სინდრომი" 21-ე საუკუნის პირველი წლების თავით ესპანური ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ შევა. ეს არის სინდრომი, რომელიც მსაჯებს აიძულებს, რომ "ბარსელონის" სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს. საკამათო ეპიზოდებს ისინი ზოგჯერ ხედავენ, ზოგჯერ კი ვერა. მთავარი ის არის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოგებული "ბარსა" რჩება. ადვილი მისახვედრია, რომ ეს სინდრომი ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტის **ანხელ მარია ვილიარის** სახელს ატარებს. ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც ორი პრეზიდენტი "კამპ ნოუს" საპატიო სტუმართა ლოჟაში ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადაეხვია. მაშინ ვილიარს **ხოან ლაპორტა** მასპინძლობდა. ვინც არ იცის, შევახსენებთ, კატალონიელი, ფედერაციის ხელმძღვანელს რთულ სიტუაციებში ყოველთვის მხარში უდგას.

მე-20 ტურამდე "ბარსელონამ" არბიტრთა 11 საჩუქარი მიიღო. რა თქმა უნდა, ყველა ეს შეხვედრა კატალონიელთა გამარჯვებით არ დასრულებულა, მაგრამ მთავარი თავად საჩუქრის მირთმევის ფაქტია. მე დავამტკიცე, რომ 11 საჩუქარი 33 ქულის მომტანი არ აღმოჩნდა. ახლა მათ დამიმტკიცონ, რომ თერთმეტივე საჩუქარი, (შესაძლოა, ვინმემ შეცდომა დაარქვას) შემთხვევითი იყო. საკვირაო შეხვედრაში "კამპ ნოუს" ყველაზე მაღალი ტრიბუნიდანაც კი ჩანდა, რომ **ჯიო** საჯარიმო მოედნის მიღმა წააქციეს. **ტამასი** უსამართლობით იმდენად გამწარდა, იმ მომენტში, ალბათ, მშობლიურ რუმინეთში დაბრუნება მოუნდა. სრულიად უსამართლო პენალტმა "ბარსელონას" ვიგოელთა მიერ ანგარიშის გათანაბრების შემდეგ დაწინაურების საშუალება მისცა.

მნიშვნელოვანია, რომ კატალონიური პრესის უდიდესმა ნაწილმა პენალტის უმართებულოდ დანიშვნის ფაქტი აღიარა. ზოგმა ვაჟკაცურად და ხმამაღლა, ზოგმა კი ნაძალადევად, დარცხვენით და ჩუმად... თუმცა, ფაქტია, ეს ყველამ აღიარა. მათთვის არამომგებიან თემასთან დაკავშირებით ასეთი ერთსულოვნება დიდი ხანია, არავის უნახავს. საინტერესოა, რას ფიქრობს ფედერაცია და რაც მთავარია, ანხელ მარია ვილიარი? ნუთუ, არბიტრი არ დაისჯება? იქნებ, გარისკვად არ ღირდეს, პირზე ბოქლომი არავის გვადევს.

ჯიოს ცრუ პენალტის თემა ესპანეთის საზღვრებს გასცდა. მილანურმა "ლა გაძეტა დელო სპორტმა" სკანდალურ გადაწყვეტილებას დიდი ყურადღება მიაქცია და გაზეთის სოლიდური ნაწილი დაუთმო. იტალიელები გაოგნებულები არიან, თუმცა მათ "ვილიარის სინდრომის" შესახებ არაფერი იციან და გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ ყველაფერი შემთხვევითობისა და უბრალო ადამიანური შეცდომის ბრალი იყო. "ნეტავ არიან მორწმუნენი"...

მოკლედ, **რონალდინიოს** მე-13 პრიმერადივიზიონური გოლი მსაჯის საჩუქრის ნაყოფია. ნეტავ, კიდევ რამდენ საჩუქარს უბოძებენ კატალონიელებს? პასუხს 24 საათის განმავლობაში, ნებისმიერ დროს მივიღებთ.

**ფაბიენ ორტისი**
დიარიო ასი

ექსპერტის მოსაზრება

# ჩემპიონი ისევ ბაიერნი გახდება და იცით რატომ?

## მათეუსი დარწმუნებულია, რომ რეკორდმაისტერი ვერდერს ერთი ქულით გაასწრებს



ლოთარ მათეუსი

**მარიო ბასლერს** სჯერა, რომ გერმანიის ჩემპიონი "შალკე" გახდება. "სუპერმარიოს" საკუთარი პროგნოზის მართებულობაში ეჭვიც კი არ ეპარება. ახლა კი, მოდით, ლეგენდარული **ლოთარ მათეუსის** მოსაზრებებს გავეცნოთ, რომელიც, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ პირველობა ისევ "ბაიერნს" დარჩება:.

განსხვავება მხოლოდ ერთი ქულა იქნება! ერთადერთი სასაცილო ქულა! დიახ, "ბაიერნი" "ვერდერს" სულ რალაც ერთი ქულით გაასწრებს და გერმანიის ჩემპიონობას შეინარჩუნებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რეკორდმაისტერი ჩემი ყოფილი გუნდია და მის მიმართ დღესაც ძალიან დიდი სიმპათიები მამოძრავებს. უბრალოდ მჯერა, რომ ასე იქნება!

პირადად მე, "ბაიერნის" შემდეგ ყველაზე მეტად "შტუტგარტი" მომწონს *(სხვათა შორის, მათეუსის ფავორიტებმა ბუნდესლიგის მეორე წრე წაგებებით დაიწყეს: "ბაიერნმა" "დორტმუნდთან" 2:3 წააგო, ხოლო "შტუტგარტი" ნიურნბერგში 1:4 განადგურდა).* სიმართლე გითხრათ, **არმინ ფეჰის** ყოველთვის მჯეროდა. ვიცი, ეს სპეციალისტი ძალიან ბევრ რამეს მიაღწევს, პირველ რიგში კი იმას, რომ "შტუტგარტს" გერმანულ გრანდად აქცევს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ იძახებენ გერმანიის ნაკრებში **მარიო გომესს**. **ლიოვმა** თქვა, უახლოეს მომავალში გავსინჯავო, მაგრამ ჩემთვის შვაბების ამ ახალგაზრდა თავდამსხმელს ახლავე ეკუთვნის ადგილი ბუნდესგუნდში, თანაც სასტარტო შემადგენლობაში, **მიროსლავ კლოზეს** გვერდით. ამ ბიჭს გულიც აქვს, ტვინიც, საბრძოლო სულისკვეთებაც და რაც მთავარია, სათანადო აღნაგობაც - ზუსტად ისეთი, როგორიც თანამედროვე ფორვარდს სჭირდება. ახლა, როცა "შტუტგარტს" **ფერნანდო მეირაც** გამოუჯანმრთელდა, ეჭვი აღარ მეპარება, რომ ფეჰის შეგირდები მეორე წრეში გაცილებით უკეთ იასპარეზებენ, თუმცა ჩემპიონობისთვის კი მაინც ვერ იბრძოლებენ. ჯერჯერობით! აი, მომდევნო სეზონში კი, "შტუტგარტი" უკვე მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს - მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას დაისახავს მიზნად.

ამბობენ, "ბაიერნს" ყოველთვის უმართლებსო. ამ მოსაზრებას ხშირად არ ვეთანხმები ხოლმე, მაგრამ მიუნხენელებს ამჯერად მართლაც გაუმართლათ. გაუმართლათ, რომ პირველ წრეში ლიდერებს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩნენ. არადა, **ფელიქს მაგათის** გუნდი ისე თამაშობდა, რომ დიდი შანსი იყო, ჩემპიონატის პირველი ნახევარი ცხრილის შუაში დაემთავრებინა და ასეთ შემთხვევაში მათ ჩემპიონობაზე მეც აღარ ვილაპარაკებდი.

რეკორდმაისტერის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ "ვერდერი" და "შალკე" მეორე წრეში მიუნხენში ჩადიან. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერი**, **ფილიპ ლამი** და **ლუკას პოდოლსკი** მეორე წრეში გაცილებით უკეთ იასპარეზებენ, ისე, როგორც მათ შეეფერებათ. და საერთოდ, მერწმუნეთ, მეორე წრეში სულ სხვა "ბაიერნს" ვიხილავთ. ეს უბრალოდ გარდაუვალია. ასევე მჯერა, რომ მეორე წრე არნახულად დაძაბული და საინტერესო იქნება. დაახლოებით ისეთივე ეიფორიას ველი, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იყო.

ისე, როგორც არ უნდა გაძლიერდეს "ბაიერნი", მისი თავდასხმა "ვერდერის" თავდასხმასთან ახლოსაც ვერ მიდის. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ითამაშებს კლოზეს მხარდამხარ - თავის გოლს ყველა გაიტანს. და თუკი ბრემენული გუნდის ფორვარდებს კრიზისი ექნებათ, ნახევარმცველები და მცველები დაიწყებენ ბომბარდირობას. ამაში პირველმა წრემაც დაგვარწმუნა. მაგალითად, **დიეგო** გაიტანს, ან **ნალდო**, რომელიც საერთოდ, ცალკე სალაპარაკო თემაა. ეს მცველი მაოცებს! გარდა იმისა, რომ დაცვაშიც ძალიან საიმედოა, გოლებიც გააქვს, თანაც, ყველანაირად! "ვერდერი" განუმეორებელია, მაგრამ "ბაიერნს" მაინც მხოლოდ 6 ქულით უსწრებს. ეს კი ძალიან ცოტაა. უბრალოდ არ მესმის: ბრემენელებმა თითქმის შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს და მაინც, უფრო მეტით ვერ გაასწრეს "ბაიერნს".

ჩემი აზრით, "ვერდერმა" შესაძლებლობების 95 პროცენტი გამოავლინა, "ბაიერნმა" 60, "შტუტგარტმა" 90, "შალკემ" კი, მგონი 80. ჰო, რაც შეეხება "შალკეს" - მე ამ გუნდის ბოსებს ვერ ვაპატიებ იმას, რომ გამოცდილი მეკარე გაუშვეს და მთელი მეორე წრის მანძილზე ღლაპის იმედად ყოფნა გადაწყვიტეს. თუ "შალკე" ჩემპიონი გახდებოდა, მხოლოდ **ფრანკ როსტთან** ერთად!

**ლოთარ მათეუსი**
შპორტ ბილდი

### ფოგთსი კონტრაქტს ლონდონში გააფორმებს

**ბერტი ფოგთსს** ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმცა ნიგერიელი ჩინოვნიკები ამ ფაქტში უცნაურს ვერაფერს ხედავენ. მათი თქმით, 6 თებერვალს ლონდონში ნიგერია განასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. სპონსორთა თხოვნით, გერმანელი სპეციალისტი სწორედ ამ თამაშის წინ გააფორმებს ხელშეკრულებას. ფოგთსი ნიგერიაში ოთხი წელი დარჩება. მისი უმთავრესი მისია 2010 წლის მუნდიალისთვის ნაკრების მომზადება იქნება.

### დუისბურგის ფორვარდი რეალში?

ჩვენი გერმანელი კოლეგები გვარწმუნებენ, რომ ეს ხუმრობა არ არის: მადრიდის "რეალი" მეორე ბუნდესლიგელი "დუისბურგის" თავდამსხმელით, 25 წლის **კლემენ ლავრიჩით** დაინტერესდა და თანაც იმდენად სერიოზულად, რომ ტრანსფერი დღე-დღეზე განხორციელდება. "დუისბურგის" ბოსი **ვალტერ ჰელმიცი** "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს: *"მართალია, "რეალი" ლავრიჩს ეპატიჟება. მადრიდელები კლემენს დიდი ხანია აკვირდებიან და მისი გადაბირება გადაწყვიტეს. ოფიციალური შემოთავაზებაც მივიღეთ."* "კიკერის" ცნობით, სამეფო გუნდი 25 წლის ფორვარდში 2 მილიონ ევროს იხდის.

### მიშიმოვიჩი: ბოხუმიდან ნიურნბერგში

"ბოხუმის" ბოსნიელი ფლეიმეიქერი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, რომელიც მიმდინარე სეზონში ძალიან კარგად ასპარეზობს და ექსპერტების ქება არაერთხელ დაიმსახურა, სეზონის დასრულებისთანავე "ნიურნბერგში" გადავა. 24 წლის მიშიმოვიჩს "ბოხუმთან" კონტრაქტი უმთავრდება და ის უკვე შეუთანხმდა "ნიურნბერგის" ბოსებს - ზვიეზდანი ფრანკებთან კონტრაქტს 2011 წლამდე გააფორმებს. მიშიმოვიჩი "ბოხუმში" 2004 წელს "ბაიერნის" მოყვარულებიდან გადავიდა. მიმდინარე სეზონში თავის კლუბს ის 5 გოლით შეეწია. ბოსნიის ეროვნულ გუნდში კი 21 თამაში (7 გოლი) აქვს ჩატარებული.

### დაპირისპირება ლოკომოტივში ოვჩინიკოვის გამო

"ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ **ანატოლი ბიშოვეცს** ვეტერანი მეკარის **სერგეი ოვჩინიკოვის** აყვანა არ სურს. ოვჩინიკოვს რკინიგზელთა პრეზიდენტი **იური სიომინი** დაუკავშირდა და მწვრთნელის უკითხავად ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ამ ერთი წლის სანაცვლოდ ოვჩინიკოვს 450 ათასი ევრო აღუთქვეს. ბიშოვეცმა სიომინის ინიციატივა არ მოიწონა. 35 წლის მეკარეს ივლისის შემდეგ არ უთამაშია და 15 კილოგრამით მოიმატა. ოვჩინიკოვი ფეხბურთელისთვის შეუფერებელ 105 კილოგრამს იწონის.

"ლოკომოტივის" დამრიგებელმა კლუბის სკაუტები საბერძნეთში გააგზავნა და ნამყვანი კლუბების გოლკიპერებზე დაავალა დაკვირვება. მოსკოველთა ყურადღება მიიპყრეს პაოკ-ის 23 წლის პორტუგალიელმა კარის დარაჯმა **დანიელ ფერნანდესმა**, "ოლიმპიაკოსის" 30 წლის ხორვატმა მეკარე **მარიო გალინოვიჩმა** და აეკ-ის 28 წლის იტალიელმა მეკარე **სტეფანო სორენტინომ**.

ვერდერი. ინტერვიუ დიეგოსთან

# მე არ ვარ ერთი ღამის კაცი

## მოედანზე აღვირახსნილი ბრაზილიელი გერმანელ ქალებთან დისტანციას იცავს...



დიეგო

"ვერდერი" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ბუნდესლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაც მოიაზრება. მოიპოვებენ თუ არა "მუსიკოსები" ვერცხლის სინს, ეს მეტწილად ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე, "ვერდერის" ბრაზილიელ ფლეიმეიქერ დიეგოზეა დამოკიდებული. მოთამაშეს, რომელიც ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, დიდი შანსი აქვს, საერთოდ ამ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად იქცეს. "ბილდ ამ ზონთაგის" კორესპონდენტს დიეგო პირად ცხოვრებასა და პირად ინტერესებზე ესაუბრება...

**- დიეგო, გერმანიის ჩემპიონატის სტატისტიკა გვეუბნება, რომ თამაშის წესებს ყველაზე ხშირად თქვენს წინააღმდეგ არღვევდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე და დაგვისახელეთ თქვენთვის ყველაზე უხერხეული ფეხბურთელი, რომელთან ჭიდილიც ყველაზე მეტად გაგიჭირდათ...**

- კონკრეტულად ვერცერთ ფეხბურთელს ვერ დავასახელებ, რადგან ასეთს ვერ ვიხსენებ. იმის თქმა კი თამამად შემიძლია, რომ ყველა მცველი ძალიან ხისტად მეთამაშება. ეს არც მიკვირს, რადგან მე გამთამაშებელი ვარ. თანაც, ძალიან მსუბუქი ფეხბურთელი გახლავართ, ტექნიკურიც და ესეც არ იყოს, ბუნდესლიგისთვის ხისტი თამაშია დამახასიათებელი.

**-სხვა გერმანული კლუბების ფეხბურთელების გვარები კარგად იცით? რამდენად კარგად ერკვევით ბუნდესლიგაში?**

- დიახ, რა თქმა უნდა, ვიცი. რაკი ბუნდესლიგაში ვთამაშობ, ყოველთვის მაინტერესებს როგორი შემადგენლობებით ითამაშეს სხვა გუნდებმა, ვინ გაიტანა გოლები და ა.შ. სხვა თუ არაფერი, ეს ჩემი მოვალეობაა. სადაც ვთამაშობ, იმ ლიგაზე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

**- თომას შააფმა რომ გიბრძანოთ, "ბოხუმის" ხუთი ფეხბურთელი ჩამომიწერეო, მოახერხებთ?**

- ფეხბურთელების დიდ ნაწილს სახეებით ვცნობ. თუკი მათ შევხედავ, მაშინვე გეტყვით, რა გვარია. მაგრამ ასე შეიძლება ვერ ჩამოვთვალო, იმიტომ, რომ ერთობ რთული გვარებია. მათი დამახსოვრება იოლი არაა. ასე რომ, შააფს ალბათ ვერ ჩამოვუთვლი.

**- მაგალითად, იცით თუ არა, სად მდებარეობს ქალაქი ნიურნბერგი?**

- ცხადია, ვიცი. სამხრეთ გერმანიაში, მიუნხენთან ახლოს.

**- ძალიან კარგი...**

- ოჰ, მე უკვე ძალიან კარგად ვიცი, სად რომელი ქალაქი მდებარეობს. გერმანიის რუკასთან რომ დამაყენოთ, ყველაფერს კარგად აგიხსნით. ჭკუასუსტი კი არ ვარ, ყველაფერს ვიმახსოვრებ. ეს იმიტომ, რომ გერმანია ძალიან შემიყვარდა. აქაური ხალხიც.

**- და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არ გესმით და გერმანული ძალიან ცუდად იცით?**

- გერმანულს ვსწავლობ. ჰო, ეს არც ისე ძნელია. უბრალოდ ყველაფრით ვინტერესდები ხოლმე.

**- საყიდლებზე მარტო დადიხართ?**

- რა თქმა უნდა! პარიკმახერთანაც მარტო დავდივარ და თუ დამიჯერებთ, ყველაფერს ვაგებინებ. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის ვარცხნილობის დაყენება არც ისე ძნელია. მარტივი ვარცხნილობა მაქვს და პარიკმახერი უსიტყვოდაც უნდა მიხვდეს, რა უნდა გააკეთოს.

**- დილის ტუალეტს რამდენ ხანს ანდომებთ?**

- ამ მხრივ გამორჩეული და განსაკუთრებული არ ვარ. აბაზანაში ერთადერთი პარფიუმი მაქვს - "შანელის" პარფიუმი და მეტი არაფერი. ვხმარობ კრემსაც, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა განსაკუთრებით ცივა. ეს არის და ეს! დილის ტუალეტისთვის მხოლოდ და მხოლოდ 10 წუთი მჭირდება, არც მეტი, არც ნაკლები.

**- ტანსაცმელში ბევრ ფულს იხდით?**

- არც ისე ბევრს. ხომ იცით, ტანსაცმელს სპონსორებისგან ვიღებ. როცა ჯინსის ან პულოვერის საყიდლად მივდივარ, ფასებს კარგად ვაკვირდები ხოლმე. მერე რა, რომ შემიძლია, ნებისმიერი ვიყიდო, ფასებს მაინც ვუყურებ. სხვანაირად არ შემიძლია.

**- ფულს დაუფიქრებლად რაში ხარჯავთ?**

- მაჯის საათები მიყვარს ძალიან...

**- ...და საათების თვალიერების დროს ფასებს არ უყურებთ?**

- როგორ არა! გიჟი კი არ ვარ, რომ მაჯის საათების კოლექცია დავაგროვო და თანაც ნებისმიერ ფასად შევიძინო. სიგიჟეებს მარტო მოედანზე ვაკეთებ.

**- ბრემენელ ქალებს თქვენზე ჭკუა ეკეტებათ. გულახდილად გვითხარით, რამდენმა გოგონამ შემოგაჩეჩათ თავისი მობილური ტელეფონის ნომერი?**

- ხომ იცით, ჩემს მეგობარ გოგონასთან ძალიან სერიოზული ურთიერთობა მაქვს. ერთგული ადამიანი ვარ და მას არასდროს ვუღალატებ. როცა ქალები ჩემდამი ინტერესს იჩენენ, გავუღიმებ, დაველაპარაკები, მაგრამ დისტანციას ყოველთვის ვიცავ და საზღვარს არასდროს გადავცდები. არ მინდა, უკმეხი და ცივი ვიყო. ტელეფონის ნომერს არავის ვართმევ. ხოლო, თუ რომელიმემ თავი გაიგიჟა და ძალით შემომტენა, გამოვართმევ და მერე იმ ფურცელს გადავაგდებ. ეს არის და ეს. თუმცა მე მაინც არ დაგეთანხმებით - მეუბნებოდნენ, გერმანელი გოგონები ძალიან აქტიურები და ყოველთვის პირველი ინიციატორები არიანო. მე ასე არ ვფიქრობ. საკმაოდ დისტანციურები და უკანდახეულები არიან.

**- უმეტესობას ასეთ დროს მხოლოდ ერთი ღამისთვის უნდიხართ. დავიჯეროთ, არცერთ გოგონას არა აქვს იმის შანსი, რომ თქვენთან მხოლოდ ერთი ღამე გაატაროს?**

- მიხარია, როცა ქალს მოვწონვარ და ამის დამალვას არც ვაპირებ. რომელ კაცს არ გაუხარდება? მაგრამ მხოლოდ მიხარია და მეტი არაფერი. მე არ ვარ კაცი ერთი ღამისთვის! და არც არასდროს ვიქნები! მეგობარი გოგონა მყავს და როგორც ვთქვი, მასთან ძალიან სერიოზული ურთიერთობა მაკავშირებს. მას ბრუნა ჰქვია.

**- ჰო, მაგრამ როგორც ვიცით, ის ბრაზილიაში ცხოვრობს... თქვენ კი სულ გერმანიაში ხართ. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა მაინც მყარია. ეს ცოტა გაუგებარია...**

- როცა სახლში ვარ, სულ მას ველაპარაკები - ტელეფონით და ინტერნეტით. ერთმანეთს ელექტრონული ფოსტითაც ვეკონტაქტებით. ჩემი ვებ-კამერა ყოველთვის ჩართულია, ისევე, როგორც მისი. ასე რომ, როცა ვესაუბრები, ვხედავ კიდეც. კამერას ხელს მივადებ ხოლმე, ისიც იმავეს აკეთებს - ეს ჩვენი ჟესტია.

**- და სექსი?**

- მეორეხარისხოვანია.

**- დავიჯეროთ?**

- დიახ, ასეა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




დორტმუნდი

# მან ბაიერნი დაამარცხა

## ფრაი: დიდი მადლობა რიობერს! რაც გავაკეთე, მისი დამსახურებაა!

შაბათს დორტმუნდის "ბორუსიას" ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ვარჯიში ჰქონდა, ვარჯიში, რომელსაც 600-მდე ფანი დაესწრო. საერთოდ, შაბათისა და კვირის ვარჯიშებს 300-ზე მეტი გულშემატკივარი არ ესწრება ხოლმე, იმიტომ, რომ დასვენების დღეებში ფანების აქტივობა, როგორც წესი, ეცემა. მაგრამ ეს არ იყო ერთი ჩვეულებრივი დღე - ეს იყო მეორე დღე იმ გიჟური საღამოს შემდეგ, როცა BVB-მ "ბაიერნს" მოუგო (3:2 - გუშინდელ ნომერში ვწერდით).

ვარჯიშის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ, **იურგენ რიობერმა** და მისმა ბიჭებმა განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურეს. თუმცა ფაქტია, რომ ის ოვაციები პირველ რიგში, **ალექსანდერ ფრაის** ეკუთვნოდა, კაცს, რომელმაც რეკორდმაისტერს ფაქტობრივად, მარტომ მოუგო. 27 წლის შვეიცარიელმა თავდამსხმელმა მიუნხენურ გიგანტს ხომ დუბლი შეუსრულა და თანაც, გამარჯვების გოლი **ტინგამ** სწორედ მისი პასით გაიტანა. 2 გოლი და 1 საგოლე, გამარჯვების მომტანი პასი "ბაიერნთან" - ეს "დორტმუნდის" უერთგულესი ქომაგებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. იმდენად ბევრს, რომ ფრაი მათთვის უკვე ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. სიტყვა "ერთ-ერთი" აქ ზედმეტი იქნებოდა, "ბორუსიის" რიგებში **ლარს რიკენი** რომ არ ირიცხებოდეს - მიუხედავად ყველაფრისა, ეს უკანასკნელი BVB-ს ქომაგებს შორის დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

დორტმუნდელების აღფრთოვანება გასაგებია, თუმცა ფრაი ბუნდესლიგის ეგიდითაც რამდენიმე საფეხურით ამაღლდა. მას მერე, რაც ალექსი დორტმუნდული კლუბის ბოსებმა ზაფხულში ფრანგული "რენიდან" გადაიბირეს (4.1 მილიონი ევრო), ჩვენი გერმანელი კოლეგები ფრაის გაბრწყინებას ამაოდ ელოდნენ. პირველი წრე მან საშუალო დონეზე ჩაატარა (მხოლოდ 6 გოლი), ზუსტად ისე, როგორც მთელმა "ბორუსიამ". მაგრამ აი, დაიწყო მეორე წრე, დაიწყო "ბაიერნთან" მატჩით და ფრაიმაც სრულად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. 80 000-მა კაცმა სტადიონზე და მილიონობით მაყურებელმა ტელეეკრანებთან, იხილა, რაც შეუძლია მუდამ საომრად შემართულ შვეიცარიელს.

ფრაიმ იცის, ვისაც უნდა გადაუხადოს მადლობა: რა თქმა უნდა, "ბორუსიის" ახალ მწვრთნელს. იმიტომ, რომ სწორედ რიობერი იყო ის კაცი, ვინც "ბაიერნთან" შეხვედრამდე, ბოლო ვარჯიშზე, ფრაის ცეცხლი შეუნთო. *"მოვიდა და მითხრა, თავით საერთოდ ვერ თამაშობ, საჰაერო ორთაბრძოლებისას არ ვარგიხარო. გავბრაზდი! და მწვრთნელს პასუხი ორი გოლითა და საგოლე პასით გავეცი. დიდი მადლობა მას! თამაშის შემდეგ მოვიდა და გულში ჩამიკრა..."* - ამბობს ფრაი.

საკუთარ წარმატებას შვეიცარიელი ასე ხსნის: *"მაღალი არ ვარ (1.79 მეტრია), არც კუნთმაგარი და 100 მეტრს 10 წამში ვერ გავრბივარ (დაახლოებით 12 წამში გარბის). მაგრამ თავდამსხმელი ვარ და გოლების გატანა ჩემი მოვალეობაა. ცხადია, თავითაც უნდა გამქონდეს. სწორედ ამიტომ, ჩემი შანსი სხვა გზით უნდა ვეძებო ხოლმე. კერძოდ, ჭკვიანური გათვლებით. რაკი არც სწრაფი ვარ და არც ძალიან მაღალი, მეტოქე გუნდის საჯარიმოში ყოფნისას, თავისუფალი სივრცეები ყველაზე სწრაფად უნდა ვიპოვო. ძალიან სწრაფად ვაზროვნებ, აი, ეს არის ჩემი პლუსი."*

ფაქტია, რომ "ბაიერნთან" ყველაფერი ჩინებულად გამოუვიდა. ფრაიმ ჭკუით "ბაიერნის" მთელ დაცვას აჯობა - პირველი გოლის დროს **ფილიპ ლამს** დაუძვრა ოსტატურად, მეორე გოლის დროს აყლაყუდა **ვან ბუიტენს, ქარიმისა** და ისევ ლამს და საგოლე პასიც თავით გააკეთა, თანაც ისე, რომ ფაქტობრივად, არ უბრძოლია, უბრალოდ, სხარტად იაზროვნა და მცველებს ისევ დაუძვრა. 1.79 მეტრი სიმაღლის ფრაიმ, რეკორდმაისტერს ორივე გოლით თავით გაუტანა და ეს მაშინ, როცა ვან ბუიტენი და **ლუსიო** მასზე გაცილებით მაღლები არიან.

სამაგიეროდ, ფრაი "დორტმუნდში" ყველაზე გამძლე ფეხბურთელია. თოვლსა და ყინვაშიც კი მოკლე ტრუსებითა და მოკლესახელოებიანი მაისურით ვარჯიშობს ხოლმე. ამას გულშემატკივრებიც ხედავენ და აფასებენ, აკი გითხარით, რომ BVB-ს ვარჯიშებს 300-იდან 600-მდე ფანი ესწრება ხოლმე. პარასკევს, გოლებისა და საგოლე პასის შემდეგ, რიობერმა ფრაი შეცვალა (73-ე წუთზე). და იმ მომენტში, გადაჭედილი "ვესტფალენშტადიონის" ტრიბუნებიდან აპლოდისმენტების ოკეანე წამოვიდა. არცაა გასაკვირი: "ბაიერნის" მესაფლავეები დორტმუნდში ჯერ კიდევ ყველაზე მეტად უყვართ...

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# როსტი: ასე ხომ გავვარდებით?!

## HSV-მ მოსკოველი ოლიჩი დაიმატა...

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე, "ჰამბურგი" ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა. როგორც იცით, HSV-მ თავდამსხმელი **ბენიამინ ლაუთი** "შტუტგარტში" გაანათხოვრა, რის შემდეგაც, **თომას დოლის** განკარგულებაში მხოლოდ ოთხი ფორვარდი დარჩა: **სანოგო, გერერო, ლიუბოჟა** და **ბერიშა**. მაგრამ იმის გამო, რომ მწვრთნელი ოთხივე მათგანს ემდურის, თომასმა ბოსებს მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდის, **ივიცა ოლიჩის** შეძენა მოსთხოვა. "ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა** უმალ ტრანსფერზე მუშაობა დაიწყო და წარმატებასაც მიაღწია. გარიგება შედგა, მაგრამ მისი დეტალები არ გაუხმაურებიათ. გერმანელი ჟურნალისტების მტკიცებით, "ჰამბურგს" 27 წლის ოლიჩი 2 მილიონი ევრო დაუჯდა. ფეხბურთელი გერმანიაში მოსკოვურზე ორჯერ მეტს ხელფასს მიიღებს.

ამასობაში "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა ძირითად გუნდში დააბრუნეს **ტიმოთი ატუბა**, რომელიც დუბაიში შეკრებაზე ყოფნის დროს, გერმანიაში სკანდალურად დაბრუნდა. ატუბას ბაიერსდორფერთან და პრეზიდენტ **ბერნდ ჰოფმანთან** უთანხმოება ჰქონდა - ხელფასის მომატებას ითხოვდა. ამრიგად, სკანდალური მარცხენა მცველი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში, ცსკა-სთან მატჩის დროს საკუთარ გულშემატკივრებს შუა თითი უჩვენა, ისევ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ხვალ თამაში შეეძლება. სხვა საქმეა, ათამაშებს თუ არა მას დოლი.

როგორც იცით, თომასის გუნდმა "არმინიასთან" სამი ქულა 89-ე წუთზე გაშვებული გოლის გამო დაკარგა. ამ ფაქტმა "ჰამბურგის" ახალი მეკარე **ფრანკ როსტი** გააცეცხლა. 33 წლის გოლკიპერი, რომელიც ჩრდილოგერმანულ კლუბში ახლახანს "შალკედან" გადავიდა, მატჩის შემდეგ აბობოქრდა: *"ვერ ვხედავ იმის სურვილს, რომ წინ ვიაროთ. პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო უკან ვიხევთ. მე ვსვამ კითხვას: რატომ? მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე რომ გვემუქრება, ეს უნდა დავივიწყოთ და თითოეულ მატჩს ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ფინალს. თუ ასე არ მოვიქცევით, ნაღდად გავარდებით. ამას წყალი არ გაუვა."* ხვალ "ჰამბურგი" "კოტბუსს" მასპინძლობს. დოლი: *"კოტბუსსაც თუ ვერ მოვუგებთ, ჭკუიდან შევიშლები!"*

...ისე, ვერ გეტყვით, რამდენად გამოადგება "ჰამბურგს" ოლიჩი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამ გუნდს ერთი ნორმალური მცველი უფრო სჭირდება, ვიდრე ფორვარდი (ოლიჩი მაინც არაფრით ჯობია სანოგოს, გეროროს და ლიუბოჟას). ერთ საინტერესო სტატისტიკას გაგაცნობთ და ზემოთთქმულში თვითონვე დარწმუნდებით: მიმდინარე სეზონში უკვე მეექვსედ მოხდა ისე, რომ "ჰამბურგი" იგებდა და საბოლოოდ ვერ მოიგო. თანაც, HSV-მ გოლი ხომ 89-ე წუთზე გაუშვა, ეს კი (გოლის გაშვება 87-ე წუთიდან საფინალო სასტვენამდე), 2000 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, უკვე 30-ე შემთხვევა იყო...



ფრანკ როსტსა და ჰამბურგს გავარდნის საფრთხე ემუქრებათ

**გოტფრიდ ლენცი**



კევინ კურანი

შალკე

# კურანი გამოცოცხლდა

## იოახიმ ლიოვი კევინს ალბათ გერმანიის ნაკრებში დააბრუნებს...

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა "აინტრახტმა" "შალკეს" ანგარიში გაუთანაბრა. და ის-ის იყო, გელზენკირხენული კლუბის მენეჯერმა, **ანდრეას მიულერმა** იფიქრა, ბიჭები ძველებურად დაიბნევიანო, რომ **ლევან კობიაშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა, გატანილი გოლით გამოფხიზლებულ ფრანკფურტელებს მედგრად შეუტიეს და თამაში საბოლოო ჯამში, მაინც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. ალბათ მიხვდით, რომ საუბარია შაბათის შეხვედრაზე "აინტრახტი"-"შალკე", რომელიც კობის გუნდმა 3:1 მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ მიულერმა დაასკვნა: *"ერთი წლის წინათ ასეთ რამეს ვერ მოვახერხებდით, რადგან მაშინ ძალიან დაბნეული გუნდი გვყავდა, რომელიც გოლის გაშვების შემდეგ, უბრალოდ, ველარ უტევდა ხოლმე. ახლა კი პირიქითაა. ფეხბურთელებმა დაამტკიცეს რაც შეუძლიათ და რომ ამ შეხვედრის მოგება ძალიან უნდოდათ."*

აი, ასე მიიწევს "შალკე" გერმანიის ჩემპიონობისკენ და რაც დრო გადის, მიმომხილველები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ **მირკო სლომკას** გუნდი "ვერცხლის სინისთვის" ბრძოლაში "ვერდერსა" და "ბაიერნზე" არანაკლები ფავორიტია. კობიაშვილის გუნდის ბალანსი ასეთია: ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია, ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია გასვლით შეხვედრებში და რაც ასევე საინტერესოა, "შალკე" 29 ოქტომბრის არცერთ შეხვედრაში არ აგებდა. მიულერი: *"ეს იმის ნიშანია, რომ ძალიან სტაბილურები ვართ. გერმანიის ჩემპიონობა კი, მხოლოდ სტაბილურობითაა შესაძლებელი."*

ფრანკფურტში საუკეთესო **კევინ კურანი** იყო, ფეხბურთელი, რომელსაც გელზენკირხენში ჩასვლის დღიდან აკრიტიკებდნენ და მას მერე, რაც "შალკეში" თამაშობს, წინსვლის შეწყვეტაში ადანაშაულებდნენ. სამართლიანადაც, რადგან მას მერე, რაც კევინი გელზენკირხენშია, აქამდე არ ყოფილა ისეთი შედეგიანი, როგორიც "შტუტგარტში" ასპარეზობის დროს იყო. სლომკას რომ ჰკითხოთ, კურანი გერმანის ნაკრებში თამაშის ღირსია და მეტიც: *"მე რომ ლიოვის ადგილზე ვიყო, კევინს პირდაპირ სასტარტო შემადგენლობაში გავამწესებდი. ახლა ისეთ ფორმაშია, რომ გერმანელი თავდამსხმელებიდან მხოლოდ კლოზეს ვერ სჯობია."* ორშაბათის ნომერშიც გაუწყეთ, რომ სლომკა უკვე ელაპარაკა ბუნდესმწვრთნელ **ლიოვს**, რომელიც "აინტრახტისა" და "შალკეს" თამაშს ესწრებოდა და საკუთარი თვალით ნახა, თუ რაოდენ დიდი პროგრესი განუცდია კურანის.

24 წლის თავდამსხმელმა, რომელიც ერთ დროს ბუნდესნაკრების განუყოფელ წევრად მიიჩნეოდა, გერმანიის პირველ გუნდში ბოლოს 454 (!) დღის წინ ითამაშა. გეხსომებათ, **იურგენ კლინსმანმა** კურანი, ყველასთვის მოულოდნელად, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ათამაშა და მის ნაცვლად მუნდიალისთვის **დავიდ ოდონკორს** უხმო, რაც იმხანად გერმანიაში უდიდეს სენსაციად მოინათლა. 7 თებერვალს გერმანია შვეიცარიას ეთამაშება და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, დიდი შანსია, რომ კურანი ბუნდესგუნდს დაუბრუნდეს.

აი, რას ამბობს ლიოვი "შალკეს" ფორვარდის შესახებ: *"აშკარაა, რომ კურანი "შალკეს" უკვე გაუშინაურდა და ამ გუნდში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ფიზიკურადაც უფრო ძლიერად გამოიყურება, ვიდრე შარშან. ფრანკფურტში ძალიან კარგად ითამაშა. თუმცა, მისი ნაკრებში გამოძახება ჯერ არ გადაგვიწყვეტია,"* - ლიოვი საშვეიცარიო შემადგენლობას ხვალ დაასახელებს.

კურანის მიმდინარე სეზონში 8 გოლი აქვს გატანილი. დღეს მას მორიგი შანსი ეძლევა იმისთვის, რომ ლიოვს თავი მოაწონოს და ნაკრებში გამოძახება გადააწყვეტინოს - საღამოს "შალკე" "ალემანიას" მასპინძლობს. ფაქტი ისაა, რომ იოგის თავდამსხმელი ძალიან სჭირდება, რადგან შვეიცარიასთან მატჩისთვის **ლუკას პოდოლსკია** დისკვალიფიცირებული, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მომდევნო შეხვედრაში კი, რომელშიც გერმანია ჩეხეთს ხვდება (24 მარტს), კლოზე (იმავე მიზეზით) ვერ ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი

### ორნი გიბრალტარში

ბრიტანეთის პირენეულ სამფლობელო გიბრალტარში ,მეხუთე წელია, იმართება დიდი საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალი ეწოდება. გენერალური სპონსორია უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანია "ტელეკომი". მეორენაირად ფესტივალს "გიბტელეკომის" სახელითაც მოიხსენიებენ.

ძლიერი ფინანსური მზარდამჭერის გამო ტურნირს ბევრი მაღალი კლასის დიდოსტატი წყალობს. წლევანდელ ტურნირზე თამაშობენ: ინგლისელი **მაიკლ ადამსი** (2735); სომეხი **ვლადიმირ აკოფიანი** (2700), შვეიცარიელი **ვადიმ მილოვი** (2665), ბულგარელი **კირილ გეორგიევი** (2661), ჰოლანდიელი **ივან სოკოლოვი** (2652), ამერიკელი **ჰიკარუ ნაკამურა** (2651), უკრაინელი **ალექსანდრ არეშჩენკო** (2644), ებრაელი **ემილ სუტოვსკი** (2629), ამას გარდა ორ ვეტერანსაც შენიშნავთ: შვეიცარიის სახელით მოთამაშე **ვიქტორ კორჩნოის** (2629) და თურქეთის სახელით მოასპარეზე **მიხაილ გურევიჩს** (2635).

ჩვენი ყურადღება ტურნირმა იმით მიიპყრო, რომ ორ ქართველ ქალბატონს მიეცა მონაწილეობის საშუალება: **ქეთევან არახამიასა** და **ნანა ძაგნიძეს**.

ამ მიზეზით, უმეტეს ყურადღებას ქალებზე გავამახვილებთ, მით უფრო, ქალთა შორის ცალკე თამაშდება პრიზები. ესეც რომ არა, იმდენმა ცნობილმა ქალბატონმა ისურვა ტურნირზე ჩასვლა, რომ მცირე მსოფლიო ჩემპიონატიც კი გეგონებათ. ყველაზე მაღალრეიტინგიანი ბანოვანი შვედი **პია კრამლინგია** - 2530; შემდეგ მოდიან: ყატარის სახელით მოასპარეზე ჩინელი **ჭუ ჩენი** (2512), ბულგარელი მსოფლიო ექს-ჩემპიონი **ანტუანეტა სტეფანოვა** (2483), **ნანა ძაგნიძე** (2464), უკრაინელი **კატერინა ლაჰნო** (2456), გერმანელი **ელიზაბეტ პეჰცი** (2451), უკრაინელი **ანა გაპონენკო** (2450), უკრაინელი **ანა უშენინა** (2449), ამერიკელი **ირინა კრუში** (24449), **ქეთევან არახამია** (2437), პოლონელი **ივეტა რაძევიჩი** (2428), ინდოელი **ჰარიკა დრონავალი** (2421), ინგლისელი **იოვანკა ჰოუსკა** (2384), ინდოელი **ტანია საჩდევი** (2380), ებრაელი **მაშა კლინოვა** (2330) და სხვები. სულ 20 ქალბატონი შეიკრიბა.

უკვე 6 ტურია გასული. გათამაშების ფორმულა ფიდე-სეულია, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად იმართება. დღეისათვის 5 ქულით ექვსეული ლიდერობს: ვადიმ მილოვი (შვეიც), ზაჰარ ეფიმენკო (უკრ), ივან სოკოლოვი (ჰოლ), შარუნას სალსკისი (ლიტ), მიხაილ გურევიჩი (თურქ) და იური კუზუბოვი (უკრ).

ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აქვს ყატარელ ჭუ ჩენს, რომელმაც მეექვსე ტურში შავებით არახამიას მოუგო. 4 ქულა აქვს 16 წლის ინდოელ დრონავალს, პია კრამლინგს და კატერინა ლაჰნოს; არახამიას 3.5 ქულა აქვს, ძაგნიძეს კი - 3.

სამწუხაროდ, მეექვსე ტური ორივე ქართველისთვის წამგებიანი ალმოჩნდა. არახამიას შესახებ გითხარით, ძაგნიძემ კი შავებით დათმო ავსტრალიელ **ლი მოუნტენთან** (2307). დარჩენილია სამი ტური და, ცხადია, რომ უძლიერეს მამაკაცებს ქართველები ვერ შეეტოქებიან, თუმცა ქალთა შორის პირველობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლიათ.

**ზვიად შათირიშვილი**

## ძიუდო

### პარიზი გაირკვა, ბელგრადი თანდათანობით გაირკვევა



81 კგ. აქ კონკურენცია გრიგოლ მამრიკიშვილსა და გიორგი ბაინდურაშვილს შორისაა

10-11 თებერვალს პარიზში სეზონის მსოფლიოს პირველი სუპერთასი ტარდება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ნესტორ ხერგიანი** და **დავით ასუმბანი** (60), **მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ლომერ ჟორჟოლიანი** და **გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (მძიმე).

ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს პარიზში **ირაკლი ცირეკიძეც** (90) მიჰყავს, მაგრამ მხოლოდ ტურნირის შემდგომ ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობისთვის და არა საჭიდაოდ. შესაძლოა, საფრანგეთში არც ხერგიანმა და კედელაშვილმა იჭიდაონ და ისინიც მხოლოდ ერთობლივ წვრთნებში გამოვიდნენ, მაგრამ ამას ხაბარელი მოგვიანებით გადაწყვეტს. თუმცა კედელაშვილმა თუ იჭიდავა, მხოლოდ ზედა წონაში. მწვრთნელი მას წონას არ აკლებინებს და 73-ში გამოიყვანს.

ცოტა გაურკვეველია ხერგიანის ამბავი. შესაძლოა, ხაბარელმა ის არა მარტო პარიზის სუპერთასზე დაასვენოს, ევროპის პირველობაც გამოატოვებინოს და ვეტერანი ლიდერი მსოფლიოსთვის საგანგებო განრიგით მოამზადოს. ამასობაში მწვრთნელმა მთავარი ამბავი გაამხილა - ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90) ევროპის პირველობას გამოტოვებს და მსოფლიოსთვის ისიც სპეციალური გრაფიკით მოემზადება.

პარიზის ტურნირის შემდეგ უკვე გამოიკვეთება ის ბირთვი, რომელიც 7-8 აპრილს ბელგრადში გასამართ ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. დასახელებულ შემადგენლობაში ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა 81, 100 და მძიმე წონით კატეგორიებშია. ჩვენები პარიზში ერთობლივ ვარჯიშებზეც დარჩებიან და ერთ კვირაში დაბრუნდებიან სამშობლოში, 24-25 თებერვალს კი ჰამბურგის სუპერთასზე იჭიდავებენ. ხაბარელმა გერმანიაში წასაყვანი შემადგენლობაც დაასახელა: **სერგო ციხელაშვილი** და **დავით ფერსაშვილი** (66), **საბა გავაშელიშვილი** და **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **დავით ლორიაშვილი** (90), **ნოდარ მეტრეველი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე).

როგორც ვხედავთ, ხაბარელს ჰამბურგში ძირითადად ახალგაზრდები მიჰყავს და თავის გამოჩენის შანსი საქართველოს პირველობაზე ზვიადაურის დამმარცხებელ ლორიაშვილსაც მისცა. თუმცა არაა გამორიცხული, გერმანიაში წასვლამდე ხაბარელმა გუნდში გარკვეული კორექტივები ისევ შეიტანოს.

ევროპის პირველობამდე ჩვენები 3-4 მარტს ვარშავაშიც გამოვლენ მსოფლიო თასზე, მერე კი კონტინენტის პირველობისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე გადავლენ.

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი

### ავსტრიასა და იტალიაში

ზედიზედ მესამე კვირაა ავსტრიაში, დაბა ბერგჰაიმში "ფიუჩერსის" სერიის საჩოგბურთო ტურნირები მიმდინარეობს. მესამე კვირაა, იქ **ლადო ჩიხლაძე** (541) ასპარეზობს. ლადო წინა ტურნირის მეოთხედფინალში ავსტრიელ **მარტინ ფიშერთან** დამარცხდა და, სავარაუდოდ, კვლავ მოუწევს ახალგაზრდა ავსტრიელთან დაპირისპირება, თუმცა ამისთვის ფიშერმა და ჩიხლაძემ პირველი წრის მატჩები უნდა მოიგონ. საქართველოს მეორე ჩოგანს პირველ წრეში იტალიელი **ფაბიო კოლანჯელო** (568) შეხვდება. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

იტალიაში, ქალაქ ორტისეის ხალიჩაზე სტარტი აიღო 75-ათასიანმა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა. შეჯიბრებაში საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (146) მონაწილეობს. მაკა პირველ წრეში მერვე ნომრად განთესილ ესპანელ **ლაურა პოუს-ტიოს** შეხვდება.

გუშინ 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. ბიჭებში ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში დამარცხებულმა **ლაზარე კუხალაშვილმა** რამდენიმე საფეხურით უკან დაიწია. ახლა 15 წლის ქართველი მსოფლიოს 42-ე ჩოგანია. გოგონებში **ოქსანა კალაშნიკოვა** 41-ე ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

DAVIS CUP by BNP PARIBAS

GEORGIA - PORTUGAL

ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფი

09-11.02.2007 თბილისი, სპორტის სასახლე

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დევისის თასის გათამაშების აკრედიტაციის მსურველებმა, გთხოვთ, მოგვაწოდოთ წერილობითი განაცხადი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში.

საკონტაქტო ტელეფონი: 95-27-81
ჩოგბურთის ფედერაციის პრესცენტრი

## ანტიკური ჭიდაობა



რამაზ ნოზაძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პრესკონფერენცია

### ცუდი დრო დამთავრდა, ნოზაძე ისევ მთავარი ფავორიტია!

გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა საფრანგეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც წარმატებით იჭიდავა ფრანგულ კრეტეიში, საერთაშორისო ტურნირზე - **რამაზ ნოზაძე** (96) ჩემპიონი გახდა, **დავით ბედინაძე** (60) და **გენადი გოგიშვილი** (74) მეორეზე გავიდნენ, **რევაზ ჭელიძე** (მძიმე) კი მესამე იყო. ჩვენებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს.

პრესკონფერენციაზე ნაკრების გამოსვლა დადებითად შეაფასეს, რადგან ეს სეზონის პირველი შეჯიბრება იყო. ჩვენები ამ ტურნირზე ხშირად დადიან და მუდამ წარმატებით ჭიდაობენ, მაგრამ გუნდურში პირველად იმარჯვეს. არადა, რამდენიმე ლიდერი აკლდათ, კუბელები, თურქები და სხვა წამყვანი ნაკრებები კი ოპტიმალური შემადგენლობით გამოდიოდნენ. გუნდურში კუბელებს სულ ერთი ქულით გავუსწარით, თუმცა პირად შეხვედრებშიც ვაჯობეთ - 5 ურთიერთბრძოლიდან 3-ში ქართველებმა იმარჯვეს. სულ ტურნირში 16 გუნდი გამოდიოდა, რაც მის სიძლიერეზე მიუთითებს.

ცხადია, ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** ყველაზე მეტად მედალოსანთა გამოსვლითაა კმაყოფილი. მისი თქმით, რამაზ ნოზაძე გადატანილი ავარიებისა თუ ოპერაციებით გამოწვეული მცირე ჩავარდნის შემდეგ ამ წონაში ისევ აშკარა ფავორიტად გამოიკვეთა და საფრანგეთშიც ძალზე ძლიერად უჭიდავია. აღსანიშნავია, რომ მან ფინალში ჩვენთვის ნაცნობი ნორვეგიელი **ფრიც აანსენი** დაამარცხა - ნორვეგიელს სიდნეის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლა **მუხრან ვახტანგაძემ** მოუგო, თუმცა სკანდინავიელი მერე დოპინგზეც ჩავარდა.

დარჩიამ ძალზე აქო ორი ახალგაზრდა - ბედინაძე და გოგიშვილი, რომლებმაც მთელი ტურნირი მაღალ დონეზე იჭიდავეს, მაგრამ მრისხანე მეტოქეებთან ფინალები დათმეს. ბედინაძემ წინასწარ ეტაპზე კუბელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რობერტო მონსონიც** კი დაამარცხა, მაგრამ ფინალი აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონ **ვიტალი რაჰიმოვთან** დათმო. გოგიშვილი გადამწყვეტ შეხვედრაში რუსთა უტიტულოვანეს ფალავანთან, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ვართარეზ სამურგაშევთან** დამარცხდა.

ტურნირი რევაზ ჭელიძესაც კარგად დაუწყია, მაგრამ ნახევარფინალში კუბელ მსოფლიო ჩემპიონ **მიხაინ ლოპესთან** ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და შეხვედრა ვერ გააგრძელა. იგი ბრინჯაოსთვის საჭიდაოდ ასე დაშავებული გავიდა, მაგრამ მაინც მოიგო.

უმედლოდ დარჩენილთაგან დარჩიამ **ლაშა გოგიტაძეც** (55) ძალიან აქო, რომელმაც აქტივში კუბელ მსოფლიო ჩემპიონ **ლასარო რივასთან** მოგება მიითვალა. თანაც, გოგიტაძე ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

უახლოეს დღეებში ჩვენები ბაკურიანში გაემგზავრებიან საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, 24-25 თებერვალს კი ანთალიაში მსოფლიო თასზე იჭიდავებენ. მოგეხსენებათ, ამ ტურნირში მონაწილეობისთვის მსოფლიო ჩემპიონატის 6 მოწინავე გუნდს იწვევენ. ჩვენებმაც ამით დაიმსახურეს გამოსვლა, თუმცა თავდაპირველად იუარეს და საბერძნეთში, „აკროპოლის თასზე" გეგმავდნენ წასვლას, რომელიც ზუსტად იმავე რიცხვებში იმართება. საბოლოოდ არჩევანი მაინც მსოფლიო თასზე შეაჩერეს ერთადერთი მიზეზით - ეს გუნდური ტურნირია და ყოველი მოჭიდავე ხუთ შეხვედრას გამართავს, საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა კი, შეიძლება, პირველივე წრეში დაასრულოს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე თურქეთის, აშშ-ის, რუსეთის, ირანის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები გამოვლენ. 17-22 აპრილს სოფიაში გასამართ ევროპის პირველობაზე წასვლამდე ჩვენები ტაშკენტში „ოქროს დიდ პრიზზეც" იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

## ქართული სპორტი 1971-1980 წლებში

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" N56-დან (2006)*

**ლევან თედიაშვილი**, 1974 წლის ბოლოს, ზედიზედ მეორედ დასახელდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში. ქულების მიხედვით, ათეულში დანარჩენი დანარჩენი ადგილები თანმიმდევრულად ასე განაწილდა: **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა, სამხტომი), **რუსუდან სიხარულიძე** (ტანვარჯიში), **მიხეილ გავა** (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), **ნონა გაფრინდაშვილი** (ჭადრაკი), **ნინა დრონოვა** (ტანვარჯიში), **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი), **ნანა ალექსანდრია** (ჭადრაკი), **დიტო შანიძე** (ძალოსნობა), **იოსებ მაღალაშვილი** (სამბო).

1974 წლის სპორტული მიღწევები საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **ფილიპე მახარაძემ** დადებითად შეაფასა, იქვე მან 1975 წელი გამოაცხადა ბავშვთა სპორტისადმი ყურადღების გაძლიერების წლად. იმ სპორტული სეზონის შედეგების შეჯამება დაემთხვა ლეგენდარული სპორტული კომენტატორის, **ეროსი მანჯგალაძის** საფეხბურთო რეპორტაჟების 30 წლისთავს. ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნა 1974 წლის დეკემბრის ბოლოს. სხვათა შორის, იმ საღამოს ითქვა, რომ დიდი მსახიობისა და კომენტატორის "საფეხბურთო რეპორტაჟები ყველა ერთად რომ შევკრიბოთ, ეს იქნება სამწლიანი გადაბმული საუბარი ფეხბურთზე". გულშემატკივრები გაოგნებულები დარჩნენ ვეტერანი კომენტატორის განცხადებით: *"კიდევ ერთი რეპორტაჟი ახალი საფეხბურთო სეზონის გახსნისას და კომენტატორობას თავს დავანებებ"*. და იქვე გაისმა: "ნუ იზამ ამას,ეროსი!" მაგრამ ის წავიდა და გზა ახალგაზრდებს დაუთმო.


პაატა შამუგია

სპორტული სეზონის ყველაზე მასშტაბური ასპარეზობა, 1975 წელს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტრადიციული, ამჯერად უკვე თბილისის მე-14 საერთაშორისო ტურნირი იყო. ამ ასპარეზობებისთვის საგანგებოდ მოამზადეს თბილისის სპორტის სასახლე, რომლის ფუნქციონერება კარგა ხანს შეწყვეტილი იყო სარემონტო სამუშაოების გამო. გულშემატკივრები და, რაც მთავარია, თვით სპეციალისტები უკმაყოფილონი დარჩნენ საქართველოს ათლეტთა შედეგებით.

ამონარიდი ტურნირის საგაზეთო ანგარიშიდან: *"შეჯიბრებამ თვალნათლივ დაგვანახვა: შეშფოთება, რომელსაც პრესის ფურცლებზე გამოთქვამდნენ ჩვენი სპეციალისტები თავისუფალი ჭიდაობის სერიოზული ჩამორჩენის გამო, დადასტურდა. დადასტურდა ის აზრიც, რომ ოდესღაც განთქმულ საჭიდაო სკოლას, ფაქტობრივად, თითქმის ერთი ნამდვილი მედროშე შემორჩა. ისევ და ისევ, ეს არის ჩვენი უბადლო ფალავანი ლევან თედიაშვილი, ჩვენი დიდი იმედი, ეროვნული ხალიჩის ტრადიციების ნამდვილი მოჭირნახულე და, სამწუხაროდ, მისი "არატიპური" წარმომადგენელი"* (გაზეთი "ლელო" №24, 1975).

ლევანის გარდა, ამ ტურნირზე მხოლოდ ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ, **ტარიელ როსტომაშვილმა** (74 კგ) დაიკავა ადგილი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. შეშფოთება იმითიც იყო მოტივირებული, რომ ვერც ერთი სხვა ჩვენი ფალავანი საპრიზო ადგილზეც კი ვერ მოხვდა. თბილისის ტურნირზე უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ *"თავისუფალი სტილის დაღესტნელმა ფალავნებმა გაუსწრეს საქართველოს მოჭიდავეებს"* - ეს უკვე ტურნირის შემდეგ ჭიდაობის თვალსაჩინო სპეციალისტმა **იური შახმურადოვმა** თქვა. საჭირო გახდა რადიკალური ზომების გატარება, თუმცა ვითარების ერთბაშად და სასიკეთოდ შემობრუნება შეუძლებელი იყო...

არ გასულა დიდი დრო და თბილისის სპორტის სასახლემ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ ამ ასპარეზობას, ბუნებრივია, ძალთა შემოწმების ფუნქციაც დაეკისრა. იმ პერიოდში თავს ვერც ბერძნულ-რომაული ჭიდაობა იწონებდა მაღალი მიღწევებით. ამიტომ, ძიუდოს უნდა ეთამაშა გარკვეული როლი საერთო ოპტიმიზმის შენარჩუნებაში. ჩვენმა კიმონოსნებმა ეს შეძლეს. ყველაფერი თბილისის ტურნირით დაიწყო. **ამირან ობგაიძემ** (63), **რამაზ ხარშილაძემ** (93) და **შოთა ჩოჩიშვილმა** (აბსოლუტური) ოქროს მედლები მოიპოვეს; მეორე პრიზიორები გახდნენ **თემურ ხუბულური** (93) და **შოთა ჩოჩიშვილი** (მძიმე); ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ **ამირან მუზაევი** (93), **შენგელი ფიცხელაური** (63) და **აბესალომ ნიკლაური** (70). როგორც ხედავთ, 93 კგ. წონით კატეგორიაში საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ქართველი ფალავნები დადგნენ. ეს შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო, მით უფრო, რომ ჩვენი ათლეტები ტურნირში არა დამოუკიდებელი გუნდით, არამედ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდნენ. საერთოდ, ის სპორტული სეზონი ქართველმა ძიუდოისტებმა თვალსაჩინო მიღწევით დააგვირგვინეს. ისინი მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი საბჭოთა ნაკრებში. ევროპის ჩემპიონატმა მათი ტრიუმფით ჩაიარა: აბსოლუტური პირველობა ბრწყინვალედ მოიგო **გივი ონაშვილმა**, მძიმე წონაში **ჯიბილო ნიჟარაძემ** იპირველა, გუნდურ შეჯიბრებაში კი **ამირან მუზაევს** ოქროს მედალი ხვდა წილად. პირად პირველობაში მეორე პრიზიორები გახდნენ **შოთა ჩოჩიშვილი** (აბსოლუტური), **აბდულ ბარკალაევი** (საშუალო) და **შენგელი ფიცხელაური** (მსუბუქი), **რამაზ ხარშილაძე** (ქვემძიმე) მესამე ადგილზე გავიდა. მანამდე, რამაზმა სსრ კავშირის პირველობა მოიგო, ნიჟარაძემ კი აბსოლუტურ წონაში აჯობა ყველას. იმ წელს, ქართველებმა საბჭოეთის ხალხთა სპარტაკიადის ძიუდოისტთა გუნდური ტურნირიც მოიგეს. პირად პირველობაში რამაზ ხარშილაძე და ჯიბილო ნიჟარაძე გახდნენ როგორც სსრ კავშირის, ისე სპარტაკიადის ჩემპიონები. შემდეგ კი ჩოჩიშვილმა და ხარშილაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატზე.

გაუთვალისწინებელი შედეგით დასრულდა ხალხთა სპარტაკიადაზე როგორც თავისუფალი სტილით, ასევე "კლასიკურ" ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდების გამოსვლა: ერთიც და მეორეც მხოლოდ გუნდურ მე-6 ადგილს დასჯერდა. საერთაშორისო სარბიელზე კი ისევ **ლევან თედიაშვილმა** დაამტკიცა, რომ პლანეტაზე მისი მომრევი არც იმ წელს იყო ვინმე - ლევანი თავისუფალ ჭიდაობაში კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ აღზევდა მსოფლიო ჩემპიონის რანგში.

ძიუდოისტთა შემდეგ შთამბეჭდავ წარმატებას აღწევენ სამბოს ოსტატები: **იოსებ მაღალაშვილი** (მჩატე) ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი, თასის მფლობელი და ხალხთა სპარტაკიადის ლაურეატი ხდება, შემდეგ კი, მსოფლიო ჩემპიონატზე, ვერცხლის მედალს იხვეჭს. ხალხთა სპარტაკიადაზე ქართველ სამბისტთა ნაკრები მეორე საპრიზო ადგილს სჯერდება.

1975 წლის აპრილის პირველ დეკადაში, ტაშკენტში ჩატარდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. ქალთა ინდივიდუალურ პროგრამაში, ბევრისთვის მოულოდნელად, საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე აღმოჩნდნენ... ქართველები: ორი თბილისიდან, ერთი მოსკოვიდან. **მარინე ცერცვაძე** პირველი იყო, მისი თანაგუნდელი **ლია გაბელაია** - მეორე, მესამე ადგილზე კი მოსკოველთა სახელით მოასპარეზე **მარინე სანაია** გავიდა.

დავუბრუნდეთ სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადას. საქართველოდან სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა), **იგორ ომელჩენკო** (ცურვა), **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა), ოქროს მედალი მოიპოვეს ჩოგბურთელებმა -**ალექსანდრე მეტრეველმა** (სამი) და **თეიმურაზ კაკულიამ** (ერთი), ოქროს მცირე მედალი გადაეცათ **პაატა შამუგიას** (ტანვარჯიში) და **ვიქტორ გონჩაროვს** (თანამედროვე ხუთჭიდი, ცურვა). ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ: **იური გოროდილოვი** (კრივი), **იგორ ომელჩენკო** (ცურვა), **ჯიბილო ნიჟარაძე** (ძიუდო, მძიმე), **ლევან თედიაშვილი, ნოდარ მოდებაძე** (ორივე თავისუფალი ჭიდაობა), **რუსლან ტარკილი** (ძალოსნობა). მასვე ვერცხლის მცირე მედალიც გადაეცა. ანალოგიური ჯილდო, ერთეულთა თანრიგში, **თეიმურაზ კაკულიამ** მიიღო. გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გავიდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოასპარეზე საქართველოს ქალთა ნაკრები. ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: **ვიქტორ ულიანიჩი** (კრივი), **ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა), **აკაკი ოქროპირიძე, როინ ოდიშელიძე** (ორივე - სამბო), **გივი ონაშვილი, თეიმურაზ ხუბულური, შოთა ჩოჩიშვილი, დილარ ხაბულიანი, შენგელი ფიცხელაური** (ყველა - ძიუდო), **შოთა მორჩილაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **გივი ნიკურაძე** (აკადემიური ნიჩბოსნობა). მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ აგრეთვე საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა და ხელბურთელთა ნაკრები გუნდები, ნიჩბოსნები (ორადგილიანი, მესაჭით), მცირე მედლები გადაეცათ **დიტო შანიძეს** (ძალოსნობა), **ვახტანგ კევლიშვილსა** და **პაატა შამუგიას** (ორივე - ტანვარჯიში), **თეიმურაზ კაკულიას** (ჩოგბურთი, შერეულ წყვილში).


ჯიბილო ნიჟარაძე

სხვა შეჯიბრებებში საქართველოს სპორტსმენებმა ასეთ შედეგებს მიაღწიეს: კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. **მიხეილ ქორქია** - მეორე ადგილი; სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ვაჟები, - მესამე ადგილი, **პაატა შემუგია**; სსრ კავშირის თასი - პირველი (გუნდური), მსოფლიო თასი - პირველი (ხტომები); მძლეოსნობა. სსრ კავშირის ჩემპიონატი. **ვიქტორ სანეევი** - პირველი ადგილი (სამხტომი), ევროპის ჩემპიონატი - პირველი (სამხტომი); ჩოგბურთი. სსრ კავშირის პირველობა. **ალექსანდრე მეტრეველი** - პირველი ადგილი (ერთეულთა თანრიგში, ვაჟთა წყვილში), **თეიმურაზ კაკულია** - მესამე (ვაჟთა წყვილში), სსრ კავშირის თასი. გუნდური პირველი (მეტრეველი, კაკულია, პერგულოვი, ელერდაშვილი); მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. **სარქის სარხოიანი** - პირველი ადგილი (ვაჟთა წყვილში, შერეულ წყვილში), მსოფლიო ჩემპიონატი - მეორე (მერეულ წვილში); სასტენდო სროლა. სსრ კავშირის პირველობა. **თამაზ იმნაიშვილი** - პირველი ადგილი (მრგვალი სტენდი), ევროპის ჩემპიონატი. **ტარიელ ჟღენტი** - მეორე (მრგვალი სტენდი, გუნდური); ძიუდო. გფრ-ის დიდი საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრები - პირველი ადგილი (**აკაკი ნიკლაური, გურამ გოგოლაური, აკაკი ობგაიძე, შენგელი ფიცხელაური, ჯიბილო ნიჟარაძე, რამაზ ხარშილაძე, მწვრთნელები - ბიძინა მაზიაშვილი, გივი ონაშვილი**); ფიგურული ციგურაობა. **ირაკლი ჯაფარიძის** აღსაზრდელი **ლია გაბელაია** იმარჯვებს ბელგრადის დიდ საერთაშორისო ტურნირში, ერთეულთა თანრიგში.

დაბოლოს, 1975 წლის კიდევ ერთი, ღირსახსოვარი მოვლენა: ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლაში **ნონა გაფრინდაშვილი** ამარცხებს **ნანა ალექსანდრიას** და მეხუთედ ეუფლება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

იუბილარი

## გენით, აღზრდით და გვარიშვილობით...

### ილარიონ ხაზარაძე

დაიბადა 1937 წლის 31 იანვარს, თბილისში
1948 წლიდან ვარჯიში დაიწყო კალათბურთში
1951 წლიდან თბილისის განათლების გუნდში თამაშობდა
1955 წლიდან თბილისის "დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდშია
1959 წელს გახდა სსრ კავშირის ზამთრის პირველობის ჩემპიონი და იმავე წელს მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალი
1958-59 წლებში თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრებში
1960 და 1961 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორია
1962 წელს დაეუფლა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს
არის სოცქვეყნების დინამიადის ხუთგზის, საქართველოს ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული.
მინიჭებული აქვს სპორტის საპატიო ოსტატის წოდება.
დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.



1962 წელი. ილარიონ ხაზარაძე, ლევან მოსეშვილი და ანზორ ლეჟავა მსოფლიო თასით

ის სპორტის საპატიო ოსტატია კალათბურთში, მაგრამ მე ვიტყოდი საპატიო პიროვნებაც - ცხოვრებაში. ვინც ახლოს იცნობს **ილარიონ ხაზარაძეს** ამაში დამეთანხმება. - ჩვენი ლარიკა, - იტყვის მოფერებით - თვალწინ კიდევ ერთხელ წარმოუდგება ბავშვივით სულით სუფთა, თბილი, მეტყველი თვალებით მომზირალი, უბრალო, ალალი... და კიდევ, ალბათ ისე არავის უხდება ახოვნება და სიდარბაისლე, როგორც ლარიკ ხაზარაძეს - აი, რა არის სულისა და სხეულის ჭეშმარიტი ჰარმონია.

ადამიანში, აღზრდით ბევრი რამ შეიძინება, მაგრამ რაც ბუნებით და გენით მომადლებული გაგაჩნია, ის მაინც სულ სხვაა. ორივე საუნჯიდან მიულია თავისი წილი ილარიონ ხაზარაძეს, - დღეს უკვე 70 წლის იუბილარს.

ცხოვრებაში სპორტიც გახდა მისი დიდი მასწავლებელი. ფსიქოლოგები მწვრთნელებს ურჩევენ შეადგინონ, როგორც გუნდის (კოლექტივის), ისე სპორტსმენთა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პორტრეტი. ასე უფრო ობიექტურად იკვეთება ლიდერი. გუნდში ყოველთვის გამოიძებნება ერთი ან რამდენიმე სპორტსმენი კეთილსასურველ ატმოსფეროს რომ ქმნის და სხვებისთვის ხდება მისაბაძი.

გასული საუკუნის 50, 60-იან წლებში პიროვნული ღირსებებით გამორჩეული არაერთი მოთამაშე ძერწავდა თბილისის "დინამოს" გუნდში ქართული კალათბურთის სახელს და ამაღლებდა მის ავტორიტეტს. თაობები ერთმანეთის მაგალითზე ოსტატდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ფიზიკურადაც და სულიერადაც. თავის დროზე ილარიონ ხაზარაძემაც უფროსი თანაგუნდელებისგან შეისისხლხორცა ყველა ის სიკეთე, რითაც მისაბაძად და სამაგალითოდ მერე თავადვე იქცა მომდევნო თაობისთვის.

*"ჩემთვის და სხვა ჩემი თანატოლებისთვის მფარველი, - კარგი გაგებით და მისაბაძი, "დინამოში" იყო ვაჟა ჟღენტი. ასაკით უმცროსებს და ახალბედებს ის გვიადვილებდა საკუთარი თავის დამკვიდრებას გუნდში. მისგან ვსწავლობდით მეგობრობას და თანადგომას, უმცროს-უფროსობას, სხვათა მოკრძალებით პატივისცემას, ხანდახან იყო მკაცრიც, მაგრამ ალალი, მშობელივით გულთბილი"* - ეს ილარიონ ხაზარაძის სიტყვებია.

ყველაზე დიდი დამრიგებელი და, ასე ვთქვათ, მასწავლებელთა მასწავლებელი, ლეგენდარული მწვრთნელი **მიხეილ კეკელიძე** იყო. **თამარ გეგელაშვილთან** პიონერთა სასახლის კალათბურთის წრეში ფეხადგმული ლარიკა, 14 წლისა იყო, ძია მიშას რომ მიჰგვარეს. მისი ხელმძღვანელობით ემზადებოდა, ვიდრე 1955 წელს "დინამოში" ადგილს დაიმკვიდრებდა.

იგონებს: *"მთელი 10 წელიწადი, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე ძვირფასი პერიოდი გავატარე "დინამოში" - ჩემს მეორე ოჯახში. თანაგუნდელები დღესაც იმ წლებთან დამაკავშირებელი მოგონებებით ვამყარობთ და ერთმანეთისადმი იმდროინდელი გაუნელებელი სიყვარულით ვართ ბედნიერები. ასე ვიქნებით მთელი ცხოვრება"*.

მეორე ოჯახს, რომ კაცი თავის სამოღვაწეო ასპარეზზს უწოდებს და შეადარებს, ეს არ არის უბრალო ნათქვამი. ასეთმა კაცმა კარგად იცის ოჯახის ფასი, მით უფრო თუ ეს ოჯახი, სპორტისა არ იყოს, ცნობილია ტრადიციებით, სახელით და ღვაწლით...

იგონებს: *"მამამ გიორგი ხაზარაძემ უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო - მსუბუქი მრეწველობის ცნობილი სპეციალისტი იყო; დედამ - ნინო კანდელაკმა, იალტის ქალთა გიმნაზია დაამთავრა. ბაბუა, ილარიონ ხაზარაძე ცნობილი მეწარმე და ქველმოქმედი იყო ქუთაისში, ჰყავდა 14 შვილი, რომელთაგან უმეტესობამ განათლება მიიღო ევროპაში. დედის მამას - ვალერიან კანდელაკს, როგორც ცნობილ მეღვინეს, მთელ ევროპაში იცნობდნენ, იყო სსრ კავშირის 10 მთავარი დეგუსტატორის გუნდის წევრი - ჰყავდა 6 შვილი"*.

აი, საიდან მოსდგამს გენი და გვარიშვილობა.

ოჯახი: მეუღლე - **ნინო ბარნოვი** ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, **ვასილ ბარნოვის** შვილიშვილია, თსუ-ს პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; შვილი - **ნინო ხაზარაძე** - ფილოლოგია, მთარგმნელი; შვილიშვილი - **ნანა ბითაძე** 15 წლისაა და პირველი საქსაფონისტი გოგონაა საქართველოში, ფესტივალების მონაწილე. მეორე შვილიშვილი - **ანდრო** ჯერ 9 წლისაა, ბაბუს კვალს გაჰყვა - თამაშობს კალათბურთს, თუმცა არც მამას აწყენინა და წყალბურთშიც ვარჯიშობს - **ალექსანდრე ბითაძე** ხომ ცნობილი წყალბურთელია, საქარველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ამჟამად "ისტმენ პრომოუშენის" ერთ-ერთი წევრი.

დიახ, დღეს ილარიონ ხაზარაძე იუბილარია. ასეთ დროს ღირსეულ ადამიანებს მადლობას ეუბნებიან ღირსეულად განვლილი გზისა და გაწეული ღვაწლისთვის, უსურვებენ კიდევ დიდხანს ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს.

ჩვენი სურვილი და სათქმელიც ეს არის, ბატონო ილარიონ!

**თენგიზ თომაშვილი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 70 წელს ულოცავს ქართული კალათბურთის სახელოვან წარმომადგენელს, მაღალი რანგის მრავალ ასპარეზობათა გამარჯვებულს, სპორტის საპატიო ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს ილარიონ (ლარიკ) ხაზარაძეს.

■ ■ ■

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წელს ულოცავს გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქართველ კალათბურთელთა თვალსაჩინო წარმომადგენელს, სპორტის საპატიო ოსტატს, ღირსების ორდენოსანს ილარიონ (ლარიკ) ხაზარაძეს.

■ ■ ■

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ულოცავს 70 წლისთავს 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ილარიონ ხაზარაძეს და ჯანმრთელობას უსურვებს მას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს თასი

# ოთხი ამბავი თასით ხელში

**საქართველოს თასის მეხუთე გათამაშებამაც სამქულიანივით სწრაფად ჩაგვიფრინა. ზოგს სალაყბო გაუჩინა, ზოგს საწერი, ზოგსაც საფიქრალი.**

### შერმადინი-76

საქართველოს თასის მატჩებმა ოთხი საკითხი გამოკვეთა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია **გიორგი შერმადინის** ქართული რეკორდი - სტუ-ს კალათში ჩაგდებული 76 ქულა. გიორგის საშუალო მონაგარსაც გადახედეთ - 61 ქულა და 16 მოხსნა.

შეიძლება ქართული კალათბურთის დონე ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, მაგრამ 76 ქულის ჩაგდებას მაინც მოხერხება უნდა. კიდევ ერთხელ ვაღიაროთ, რომ აშკარად ნიჭიერი ახალგაზრდა გვეზრდება, მაგრამ იმაზეც შევთანხმდეთ, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში რეკორდების მოხსნა მისთვისაც და ჩვენთვისაც ბევრს არ უნდა ნიშნავდეს. მთავარი ნაკრები უნდა იყოს. ეროვნული გუნდი ერთგვარი რენტგენის აპარატია - თხემიდან ტერფამდე ჩანს, ვინ რას წარმოადგენს...

შერმადინს კი ნაკრებში ორ ოფიციალურ მატჩში 6 წუთი აქვს ნათამაშები. გიორგის ყველაზე მეტად **ვლადიმერ სტეფანიას** ადარებენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის ასაკში ვოვა და ვატო ნაცვლიშვილი ნაკრების ლიდერები იყვნენ.

76 მხოლოდ დასაწყისია, კარგი დასაწყისი...

### ტრიო

იანვარში ქართული კალათბურთის სამმა ლიდერმა "აზოტმა", "ავიამშენმა" და თსუ-მ თითო მატჩი ითამაშეს და მოიგეს. ეს მისასალმებელი ფაქტია, რადგან სჯობს სამი მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდი გვყავდეს, ვიდრე რუსთავის "აზოტი" ყველას ერთი ხელის მოსმით უგებდეს.

საქართველოს მე-16 ჩემპიონატის საწყის 2 წუთში ქვემოქართლელებმა 10-დან 10 შეხვედრაში იმარჯვეს და ბევრს გაუჩნდა წინათგრძნობა, რომ ჩემპიონობას ისე მოიპოვებდნენ, ღირსეულ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა.

თასის ფინალში "ავიამშენმა" სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა და დაგვანახვა, რომ **როდუმტა-სუხიშვილის** დუეტი ფარქვეშ ერთ-ერთი საუკეთესოა. **დავით და ირაკლი ბერიშვილები** "აზოტის" უკანახაზელებს არაფრით ჩამოუვარდებიან. "ავიამშენს" ჰყავს **ირაკლი ხოშტარია და ზვიად ბაბიაშვილიც**...

მოკლედ, თსუ და "ავია" მაისისთვის ოპტიმალურ ფორმას რომ მიაღწევენ, "აზოტის" ჩემპიონობის შანსი 51 პროცენტამდე დაეშვება.

### მსაჯობა

ამ იანვარს ქართველ არბიტრთა ელიტას ახალგაზრდა **გურამ მიქელაძე** შეემატა. ყოველ წელს თითო ნორმალური მსაჯი რომ გამოჩნდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

თასის მატჩებისას არბიტრებით უკმაყოფილება ბევრმა გამოხატა, თსუ-ს პრეზიდენტი ამ თემაზე კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსაც ესაუბრა. ფინალის მსვლელობისას კი გვერდით მჯდომმა (ალბათ ნეიტრალურმა) ქომაგმა ძველი კასეტასავით ჩაიხვია - შეხედეთ, **ზაზა მაჩალაძე** მხოლოდ "აზოტის" სასარგებლოდ უსტვენს, ხოლო **მაკა კუპატაძე** - "ავიამშენის" სასარგებლოდ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. მისივე თქმით, მესამე მსაჯი **დავით არეშიძე** ნეიტრალური იყო.

ნამდვილად არ მინდა, ჩვენს არბიტრებზე მსგავსი ფრაზები ვისმინო. ეს ცილისწამებაა თუ არა, სამსაჯო კომიტეტმა უნდა გაარკვიოს.



ფინალის საუკეთესო მოთამაშე ირაკლი ხოშტარია

### ნაკრები და ხოშტარია

ვერის პარკიდან დაწყებული ყველა გზა ნაკრებისკენ მიდის. ეროვნული გუნდისთვის ოპტიმალური შემადგენლობის პოვნა მწვრთნელების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. თუ მართლაც ასეა, საქართველოში მოთამაშეთა შორის ისინი უნდა შეირჩეს, ვინც გადამწყვეტ მატჩებში კლუბს წინ მიუძღვის. თასის გათამაშებამ ასეთი რამდენიმე კალათბურთელი გამოკვეთა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა 30 წლის **ირაკლი ხოშტარია**, რომელმაც ქუსლის ტრავმის მიუხედავად, ფინალი მაღალ დონეზე ჩაატარა. ოპტიმალურ ფორმაში თუ იქნება, იგი ნაკრებს 30-ით თუ არა 5 წუთით მაინც გამოადგება. არც ფიზიკურადაა რომელიმე ფინელზე სუსტი, არც სროლის სიზუსტე დაეწუნება (განსაკუთრებით ფარქვეშ შეჭრისას) და გამოცდილება თითქმის ყველა "ნაკრებელზე" მეტი აქვს.

ხოშტარიას დაცვაში დიდი თავსატეხი გაუჩინა **რამაზ გოგობერიშვილმა**. არც ისაა სანაკრებოდ ჩამოსაწერი.

თასის მატჩებში გამოიკვეთა კიდევ ოთხი ახალგაზრდა, რომლებიც სხვებზე მაღლა დგანან - **დავით უგრეხელიძე, კოტე ტუღუში, ლაშა გამყრელიძე** და **გიორგი შერმადინი**. ...თუმცა ისინი ნაკრებში შარშანაც იყვნენ და კანდიდატებად წელსაც იქნებიან.

პირველ გუნდში მოხვედრას ვინ იმსახურებს და ვინ - არა, საქართველოს ჩემპიონატის ფინალებშიც გამოჩნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| A ჯგუფი | |
|---|---|
| დინამო-თსუ | 76:81 |
| დინამო-აზოტი | 62:79 |
| თსუ-აზოტი | 78:91 |

| B ჯგუფი | |
|---|---|
| ავიამშენი-მაკაბი | 104:93 |
| სტუ-ავიამშენი | 72:93 |
| სტუ-მაკაბი | 117:100 |

**ფინალი**

ავიამშენი-აზოტი 83:79

**საუკეთესო მაჩვენებლები**

| | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| 76 | გიორგი შერმადინი | მაკაბი-სტუ 117:100 |
| **მოხსნა** | | |
| 16 | გიორგი შერმადინი; დავით უგრეხელიძე(ორჯერ) | |
| **პასი** | | |
| 12 | ირაკლი ბერიშვილი | ავია-აზოტი 83:79 |
| **ჩაჭრა** | | |
| 7 | კოტე ტუღუში | აზოტი-თსუ91:78 |
| **დაფარება** | | |
| 3 | პლასიდე როდუმტა | ავია-აზოტი 83:79 |
| **შეცდომა** | | |
| 9 | ბუბა ბერიშვილი; ზვიად ბაბიაშვილი | |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 2 | 122 | 61.0 |
| 2 ლაშა კეშელავა | დინამო | 2 | 57 | 28.5 |
| 3 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 3 | 78 | 26.0 |
| 4 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 2 | 42 | 21.0 |
| 5 ნოდარ ბერაია | სტუ | 2 | 40 | 20.0 |
| 6 კოტე ტუღუში | აზოტი | 3 | 58 | 19.3 |
| 7 ბესიკ ლეჟავა | თსუ | 2 | 38 | 19.0 |
| 8 დავით მაისურაძე | სტუ | 2 | 33 | 16.5 |
| 9 რამაზ გოგობერიშვილი | აზოტი | 2 | 32 | 16.0 |
| 10 თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 2 | 30 | 15.0 |
| 11ლაშა ეძგვერაძე | სტუ | 1 | 15 | 15.0 |
| 12 მიხეილ ბერიშვილი | თსუ | 2 | 29 | 14.5 |
| 13 ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 2 | 26 | 13.0 |
| 14 ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 2 | 23 | 11.5 |
| 15 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 3 | 33 | 11.0 |
| 16 გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 3 | 32 | 10.7 |
| 17 ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 3 | 32 | 10.7 |
| 18 ირ. გულისაბედაშვილი | დინამო | 2 | 20 | 10.0 |
| 19 ლაშა დევიძე | სტუ | 2 | 20 | 10.0 |
| 20 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 3 | 29 | 9.7 |
| 21 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 2 | 19 | 9.5 |
| 22 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 3 | 27 | 9.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | მ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 2 | 32 | 16.0 |
| 2 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 3 | 35 | 11.7 |
| 3 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 2 | 23 | 11.5 |
| 4 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 3 | 26 | 8.7 |
| 5 თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 2 | 17 | 8.5 |
| 6 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 2 | 16 | 8.0 |
| 7 პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 3 | 21 | 7.0 |
| 8 დავით მურჯიკნელი | დინამო | 2 | 13 | 6.5 |
| 9 დავით მაისურაძე | სტუ | 2 | 13 | 6.5 |
| 10 ლევსო ლაფანაშვილი | დინამო | 1 | 6 | 6.0 |
| 11 ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 2 | 12 | 6.0 |
| 12 გიორგი დოლიძე | მაკაბი | 2 | 11 | 5.5 |
| 13 დავით იმნაძე | თსუ | 2 | 10 | 5.0 |
| 14 სოსო შერმადინი | მაკაბი | 2 | 10 | 5.0 |
| 15 ბეგი ლიპარტელიანი | აზოტი | 1 | 5 | 5.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | პ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 გიორგი დოლიძე | მაკაბი | 2 | 19 | 9.5 |
| 2 ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 2 | 17 | 8.5 |
| 3 გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 2 | 15 | 7.5 |
| 4 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 3 | 19 | 6.3 |
| 5 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 3 | 15 | 5.0 |
| 6 ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 2 | 9 | 4.5 |
| 7 ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 2 | 9 | 4.5 |
| 8 დავით არწივიძე | თსუ | 2 | 8 | 4.0 |
| 9 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 2 | 8 | 4.0 |
| 10 ლაშა ეძგვერაძე | სტუ | 1 | 4 | 4.0 |
| 11ზურაბ ბადრიძე | დინამო | 2 | 7 | 3.5 |
| 12 სოსო შერმადინი | მაკაბი | 2 | 7 | 3.5 |
| 13 კოტე ტუღუში | აზოტი | 3 | 10 | 3.3 |
| 14 შალვა კოხრეიძე | სტუ | 2 | 6 | 3.0 |
| 15 გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 2 | 6 | 3.0 |
| 16 ნოდარ ბერაია | სტუ | 2 | 6 | 3.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 კოტე ტუღუში | აზოტი | 3 | 10 | 3.3 |
| 2 ბუბა ბერიშვილი | თსუ | 2 | 5 | 2.5 |
| 3 დავით არწივიძე | თსუ | 2 | 5 | 2.5 |
| 4 დავით მაისურაძე | სტუ | 2 | 5 | 2.5 |
| 5 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 3 | 7 | 2.3 |
| 6 პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 3 | 7 | 2.3 |
| 7 ირა გულისაბედაშვილი | დინამო | 2 | 4 | 2.0 |
| 8 ბესიკ ლეჟავა | თსუ | 2 | 4 | 2.0 |
| 9 გიორგი დოლიძე | მაკაბი | 2 | 4 | 2.0 |
| 10 დავით ბერიშვილი | ავიამშენი | 3 | 5 | 1.7 |
| 11ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 3 | 5 | 1.7 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 მიხეილ ბერიშვილი | თსუ | 2 | 4 | 2.0 |
| 2 პლასიდე როდუმტა | ავიამშენი | 3 | 5 | 1.7 |
| 3 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 2 | 3 | 1.5 |
| 4 ლევსო ლაფანაშვილი | დინამო | 1 | 1 | 1.0 |
| 5 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 2 | 2 | 1.0 |
| 6 რამაზ გოგობერიშვილი | აზოტი | 2 | 2 | 1.0 |
| 7 დავით უგრეხელიძე | აზოტი | 3 | 3 | 1.0 |

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1 ბუბა ბერიშვილი | თსუ | 2 | 17 | 8.5 |
| 2 გიორგი შერმადინი | მაკაბი | 2 | 11 | 5.5 |
| 3 დავით მურჯიკნელი | დინამო | 2 | 9 | 4.5 |
| 4 ზურაბ კორკოტაძე | მაკაბი | 2 | 9 | 4.5 |
| 5 გიორგი პირველაშვილი | მაკაბი | 2 | 8 | 4.0 |
| 6 მიხეილ ჭოჭუა | აზოტი | 1 | 4 | 4.0 |
| 7 ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 3 | 11 | 3.7 |
| 8 ზურაბ ბადრიძე | დინამო | 2 | 7 | 3.5 |
| 9 დავით იმნაძე | თსუ | 2 | 7 | 3.5 |
| 10 ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 3 | 10 | 3.3 |
| 11 ლევსო ლაფანაშვილი | დინამო | 1 | 3 | 3.0 |
| 12 რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 2 | 6 | 3.0 |
| 13 გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 2 | 6 | 3.0 |

## ქართველები NBA-ში

**ატლანტა-ორლანდო 93:83**

28:21, 20:20, 23:17, 22:25

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (44 წთ. 34 ქ. 6 მ. 5 პ. 1 ჩ), ჯოშ სმიტი (38 წთ. 19 ქ. 12 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ), ლოუ (26 წთ. 13 ქ. 7 პ. 2 ჩ. 1 მ), მერვინ უილიამსი (38 წთ. 12 ქ. 4 მ. 4 პ. 2 დ. 1 ჩ), ლ. რაიტი (24 წთ. 2 ქ. 4 მ. 1 პ) – შელდენ უილიამსი (11 წთ. 6 ქ. 1 მ. 1 პ. 1 ჩ), **ზაზა ფაჩულია (22 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 3 ფოლი),** ჩილდრესი (29 წთ. 2 ქ. 8 მ. 3 პ), აივი (6 წთ. 2 ქ), ს. ჯოუნსი, ს. სტაუდმაიერი.

**ორლანდო:** გ. ჰილი (30 წთ. 21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ნელსონი (33 წთ. 16 ქ. 5 პ. 3 მ), დ. ჰოვარდი (36 წთ. 15 ქ. 7 მ. 1 პ. 1 დ), თურქოღლუ (35 წთ. 9 ქ. 3 პ. 4 ჩ. 1 მ), ბეტი (16 წთ. 2 ქ. 2 მ) -მილიჩიჩი (25 წთ. 9 ქ. 8 მ. 2 დ. 1 ჩ), არიიო (14 წთ. 6 ქ. 4 პ. 2 ჩ. 1 მ), ბოგანსი (23 წთ. 3 ქ. 1 მ), რედიკი (17 წთ. 2 ქ. 1 მ. 1 ჩ), დიენერი, ბ. აუთლო.

**I მეოთხედი**

05:00 ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
03:57 ფოლი: 1 (გ. ჰილზე დაჯარიმდა)

**II მეოთხედი**

10:42 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
10:13 შეცდომა: 1 (არიიომ ჩაუჭრა)
09:18 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
09:08 ფაჩულია ჯონსონმა შეცვალა
01:32 ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
00:23 ფაჩულიაზე ნელსონი დაჯარიმდა
00:23 საჯარიმოები: 2/1 (1 ქ. 46:39)

**III მეოთხედი**

12:00 ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა
10:45 ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
08:08 პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 55:47)
07:27 მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0)
06:30 პასი: 2 (მ. უილიამსი, 2 ქ. 59:47)
06:13 ფოლი: 2
02:28 ფოლი: 3 (ჰოვარდზე დაჯარიმდა)
02:04 ორქულიანი ტყორცნა: 3 ქ (68:58)
01:18 მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
00:44 ჩაჭრა: 1 (რედიკს ჩაუჭრა)

**IV მეოთხედი**

10:20 მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1)
10:19 შეცდომა: 2 (გ. ჰილმა ჩაუჭრა)
09:39 ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

ატლანტა ჰოქსი: 43 მატჩი, 16 მოგება, 27 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. მომდევნო მატჩი: ატლანტა – გოლდენ სტეიტი (31 იანვარი).

## სროლა

# ვერცხლი მიუნხენში



ნინო სალუქვაძე

ამ დღეებში მიუნხენში დამთავრდა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი პნევმატური დამბაჩიდან სროლაში. 12-18 მარტს ფრანგულ დევილში ამავე დისციპლინაში ევროპის პირველობა ტარდება და ეს შეჯიბრებაც იმისთვის მოსამზადებელი ეტაპია. ამიტომ მხოლოდ პნევმატურში იმართება, მაგრამ ორჯერ. რადგან ეს სეზონის პირველი სერიოზული ტურნირია, მუდამ ძლიერ შემადგენლობა იკრიბება. ახლაც ასე იყო - ევროპელებთან ერთად სხვა კონტინენტების წარმომადგენლებიც თითქმის უკლებლივ ჩავიდნენ. მაგალითად, ინდოელები 80-კაციანი გუნდით ჩასულან, მაგრამ მასპინძლებმა რუსთა ძლიერი გუნდი მაინც მოისაკლისეს. რუსებს ჩვენმა ცოდვამ უწია და თურმე გერმანიის საელჩომ ვიზები არ მისცა.

ტურნირში საქართველოდან საკმაოდ წარმომადგენლობითი გუნდი მონაწილეობდა - ქალთა და ვაჟთასრული ნაკრებები და ერთი მონაწილეც ახალგაზრდა გოგოებში. ცხადია, ტურნირში ყველაზე უკეთ ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** გამოვიდა, რომელმაც ერთი ვერცხლი მოიპოვა. ეს პირველ დღეს, როცა საკვალიფიკაციოში 384 ქულა დააროვა და ფინალში მეოთხე შედეგით შევიდა. იმავე დღეს **ნინო უჩაძემ** 371 ქულა დააგროვა, **თამილა ასათიანმა** - 367. ეს არაა მაინცდამაინც სახარბიელო შედეგი და ჩვენები ფინალში ვერ მოხვდნენ, მაგრამ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეორეზე მაინც გავიდნენ. ეს კიდევ ერთი დასტური, რომ ამ ნაკრებს გუნდურში მედლებისთვის ბრძოლა შეუძლია.

გოგოებში საკმაოდ წარმატებით გამოვიდა **თეონა იაშვილი**. მართალია, მან 366 ქულა დააგროვა და ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ ეს შედეგი ორი რამითაა აღსანიშნავი - ეს მისი პირადი რეკორდია ანუ პროგრესი აშკარაა და მოწინავეებს არც ისე კატასტროფულად ჩამორჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან პნევმატურში მეტ-ნაკლებად ხეირიანად მზადების საშუალება მხოლოდ ნინო სალუქვაძის ტირის გახსნის მერე გაჩნდა და მატერიალურად ისიც ვერაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, იაშვილის შედეგი ნამდვილად დამაიმედებელია.

ასევე საყურადღებოა ვაჟებში 21 წლის **ბესიკ სირაძის** 567 ქულა. მართალია, იგი ბევრად ჩამორჩება თუნდაც ფინალისთვის (არაფერს ვამბობთ მედლებზე) საჭირო მაჩვენებლებს, მაგრამ ერთი წელიწადიც არაა, რაც თანამედროვე ხუთჭიდიდან გადმოვიდა სროლაზე და ეს მისი პირველი საზღვარგარეთული ტურნირი იყო. იმავე დღეს **სერგი ჩიტაიშვილმა** 558 ქულა დააგროვა, **ლევან ქადაგიძემ** - 555.

მეორე სტარტზე ჩვენებიდან ფინალში ვერავინ მოხვდა, მაგრამ რამდენიმემ აშკარად მოუმატა. ამის მიზეზი იმ ტექნიკურ საშუალებებთან გაცნობა გახდა, რაც ჩვენთან ჯერ კიდევ მიუწვდომელი ფუფუნებაა და რომლითაც სალუქვაძემ შეცდომები გააანალიზა.

მეორე ტურნირში სალუქვაძემ ისევ 384 დააგროვა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მეცხრე იყო. უჩაძეს 379 ქულა ჰქონდა, ასათიანს - 376. ეს უკვე ისეთი მაჩვენებელია, ევროპის პირველობაზე არათუ გუნდურში წარმატება, ლიცენზიებზე ფიქრიც თავისუფლად შეიძლება.

იაშვილმა ამჯერად 358 დააგროვა, სირაძემ - 561, ჩიტაიშვილმა - 565, ქადაგიძემ - 556. ცხადია, ფინალებში ვერც ესენი მოხვდნენ.

10 თებერვალს ნინო სალუქვაძის ტირში პნევმატურში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რაც ასევე ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ნაწილია. საფრანგეთში წასვლამდე ჩვენებს გერმანელებიც ეპატიჟებიან მიუნხენში შეკრებაზე. იქ 7-კაციანი გუნდის, მხოლოდ უფროსების გაგზავნა იგეგმება, ახალგაზრდები კი დევილში პირდაპირ თბილისიდან ჩაფრინდებიან.

**ირაკლი თავაძე**

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ბრძოლა ახლა იწყება

**ბოსტონი-რეინჯერსი 1:6**

1:2, 0:2, 0:2

გოლები: 0:1 პრუხა-11 (ორტმაიერი-3, ტიუტინი-10), 1:1 პ. ბერჟერონი-16 (გ. მიურეი16, შტურმი-10), 1:2 როუსივალი-6 (პრუხა-10, კულენი-12), 1:3 პრუხა-12 (ორტმაიერი-4, კულენი-13), 1:4 კულენი-10 (ორტმაიერი-5), 1:5 შენეჰანი-25 (ბულიტი), 1:6 ნიულანდერი-16 (სტრაკა-33, შენეჰანი-23).

"რეინჯერსის" მოულოდნელი გამარჯვება, ამ გუნდის შეტევითი ხაზის მესამე სამეულის დამსახურებაა. **მეტ კულენი, ჯედ ორტმაიერი** და **პეტრ პრუხა** "ბოსტონის" კარში გატანილი პირველი ოთხი გოლის შემოქმედნი გახდნენ და მესამე პერიოდი პრაქტიკულად, ფორმალობად აქციეს.

ნიუიორკელებს მძიმე ბრძოლა უწევთ მერვე ადგილისთვის და მათთვის ნებისმიერ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. "რეინჯერსმა" ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგო და "ბოსტონთან" ერთ უსიამოვნო ტრადიციასაც მოუღო ბოლო - ეს გუნდი "დათვებთან" ზედიზედ ექვსჯერ იყო დამარცხებული და აქედან ორჯერ, იანვარში.

ფლეი ოფის მერვე საგზურისთვის "ბოსტონიც" იბრძვის, მაგრამ ბოლო ტურებში ეს გუნდი ძალიან ცუდად თამაშობს - საკმარისია აღინიშნოს ის, რომ "ბრუინზმა" ბოლო 13 შეხვედრაში მხოლოდ 3 მოიგო და ამის წყალობით, აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითდა.



მონრეალმა დრაიდენი დააფასა

**მონრეალი-ოტავა 3:1**

0:1, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ფილიპსი-6, 1:1 სურეი-17 (რაიდერი-19, ს. კოივუ-27), 2:1 შტრაიტი-4 (მარკოვი-30), 3:1 პლეკანეცი-10 (კომისარეკი-7, ბუიონი-6).

ამ შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი, რომლის დროსაც, "კანადენსის" არენის თაღზე, "მონრეალის" ლეგენდარული მეკარის - **კენ დრაიდენის** 29-ნომრიანი მაისურა დაკიდეს. შემდეგ თამაშიც დაიწყო და მატჩის ერთ-ერთი გმირი, დრაიდენის ახალგაზრდა კოლეგა, შვეიცარიელი მეკარე **დევიდ ეიბიშერი** გახდა, რომელმაც 26 დარტყმა მოიგერია.

ამ გამარჯვებით, "მონრეალმა" ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონში ერთი ქულით გაუსწრო "ოტავას" და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა, ლიდერ "ბაფალომდე" მთელი 9 ქულა აშორებს.

რაც შეეხება დრაიდენისადმი მიძღვნილ ცერემონიალს, მას ლეგენდარული რუსი მეკარე **ვლადისლავ ტრეტიაკი** დაესწრო.

## კვირის სამი ვარსკვლავი

"ყველა ვარსკვლავის მატჩით" გამოწვეული პაუზის გამო, ლიგის ხელმძღვანელობას მხოლოდ სამი სათამაშო დღის შედეგების მიხედვით მოუწია კვირის საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა.

პირველი ვარსკვლავის სტატუსი "პიტსბურგ პინგვინზის" ვეტერან ფორვარდ **მარკ რეკის** ერგო, რომელმაც თავის გუნდს ორიდან ორივე შეხვედრაში მოაგებინა და საკუთარ ანგარიშზე სამი გოლი და ამდენიმე შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა. 39 წლის თავდამსხმელს წლევანდელ რეგულარულში 17 გოლი და 31 საგოლე პასი აქვს.

"კოლამბუსის" 33 წლის ფინელი მეკარე **ფრედრიკ ნორენა** კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა. მანაც ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ორივეში გამარჯვებას მიაღწია. ნორენა საშუალოდ მატჩში 1.88 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.9 პროცენტს იგერიებდა.

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავად "ედმონტონის" ფორვარდი **რაიან სმიტი** დასახელდა, რომელმაც ორი გოლითა და სამი შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა თავი.

## NHL. თებერვლის კალენდარი

**1 თებერვალი**
- ბოსტონი-ბაფალო
- ვანკუვერი-ედმონტონი
- ფინიქსი-ნეშვილი
- კოლორადო-მინესოტა
- კაროლინა-ტამპა ბეი
- ატლანტა-აილენდერსი
- ფილადელფია-ნიუ ჯერსი
- პიტსბურგი-მონრეალი
- ფლორიდა-ვაშინგტონი
- სან ხოსე-დალასი
- ლოს ანჯელესი-ჩიკაგო

**2 თებერვალი**
- კალგარი-კოლამბუსი
- დეტროიტი-სენტ ლუისი

**3 თებერვალი**
- პიტსბურგი-ვაშინგტონი
- სან ხოსე-ჩიკაგო
- კოლორადო-ედმონტონი
- მონრეალი-აილენდერსი
- ოტავა-ტორონტო
- ატლანტა-ფილადელფია
- ნეშვილი-ანაჰაიმი
- ფინიქსი-მინესოტა
- სენტ ლუისი-დალასი
- ნიუ ჯერსი-ბაფალო
- ტამპა ბეი-რეინჯერსი
- ფლორიდა-ლოს ანჯელესი
- კალგარი-ვანკუვერი
- კაროლინა-ბოსტონი

**4 თებერვალი**
- ვაშინგტონი-აილენდერსი
- მონრეალი-პიტსბურგი

**5 თებერვალი**
- რეინჯერსი-დეტროიტი

**6 თებერვალი**
- ვაშინგტონი-ბოსტონი
- ატლანტა-ბაფალო
- კოლამბუსი-ფინიქსი
- ედმონტონი-ვანკუვერი
- კალგარი-ჩიკაგო
- კოლორადო-ფლორიდა
- დალასი-მინესოტა
- სენტ ლუისი-ტორონტო
- მონრეალი-კაროლინა
- სან ხოსე-ანაჰაიმი
- პიტსბურგი-ნეშვილი
- ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
- ტამპა ბეი-ლოს ანჯელესი

**7 თებერვალი**
- ბაფალო-ოტავა
- ვანკუვერი-ჩიკაგო
- ანაჰაიმი-სან ხოსე
- აილენდერსი-ფილადელფია
- დეტროიტი-ფინიქსი

**8 თებერვალი**
- ბოსტონი-კაროლინა
- კოლორადო-ატლანტა
- მინესოტა-ფლორიდა
- ნეშვილი-ტორონტო
- სენტ ლუისი-დეტროიტი
- ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი
- კოლამბუსი-კალგარი
- ფილადელფია-პიტსბურგი
- ოტავა-მონრეალი
- ნიუ ჯერსი-აილენდერსი

**9 თებერვალი**
- რეინჯერსი-ტამპა ბეი
- ედმონტონი-ჩიკაგო

**10 თებერვალი**
- დალასი-ანაჰაიმი
- ბოსტონი-აილენდერსი
- მონრეალი-ოტავა
- ვაშინგტონი-რეინჯერსი
- ნეშვილი-ლოს ანჯელესი
- ვანკუვერი-ატლანტა
- მინესოტა-კაროლინა
- ფილადელფია-სენტ ლუისი
- ტორონტო-პიტსბურგი
- ბაფალო-კალგარი
- ფლორიდა-ფინიქსი

**11 თებერვალი**
- დალასი-კოლორადო
- ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
- კოლამბუსი-ჩიკაგო
- დეტროიტი-კალგარი
- ედმონტონი-ატლანტა

**12 თებერვალი**
- ფილადელფია-დეტროიტი

**13 თებერვალი**
- ბოსტონი-ედმონტონი
- კაროლინა-ლოს ანჯელესი
- სენტ ლუისი-სან ხოსე
- კოლორადო-ანაჰაიმი
- ტორონტო-აილენდერსი
- მონრეალი-ფლორიდა
- ტამპა ბეი-ფინიქსი
- კალგარი-ატლანტა

**14 თებერვალი**
- კოლამბუსი-სენტ ლუისი
- ნეშვილი-სან ხოსე
- ოტავა-ფლორიდა
- დალასი-დეტროიტი
- ნიუ ჯერსი-მონრეალი
- პიტსბურგი-ჩიკაგო
- მინესოტა-ვანკუვერი

**15 თებერვალი**
- ბაფალო-ედმონტონი
- კაროლინა-რეინჯერსი
- ფილადელფია-ტორონტო
- ფინიქსი-ანაჰაიმი
- აილენდერსი-ბოსტონი
- ტამპა ბეი-ვაშინგტონი
- კალგარი-კოლორადო

**16 თებერვალი**
- კოლამბუსი-სან ხოსე
- სენტ ლუისი-ნეშვილი
- ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
- ჩიკაგო-ვანკუვერი

**17 თებერვალი**
- რეინჯერსი-ფილადელფია
- ოტავა-ატლანტა
- ბაფალო-ბოსტონი
- მონრეალი-კაროლინა
- ტორონტო-ედმონტონი
- აილენდერსი-ნიუ ჯერსი
- ნეშვილი-მინესოტა
- ფინიქსი-დეტროიტი
- ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
- ფლორიდა-ტამპა ბეი
- კალგარი-კოლორადო

**18 თებერვალი**
- დალასი-სან ხოსე
- რეინჯერსი-ჩიკაგო
- პიტსბურგი-ვაშინგტონი
- სენტ ლუისი-მინესოტა
- ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
- კოლამბუსი-მონრეალი
- ვანკუვერი-კოლორადო

**19 თებერვალი**
- აილენდერსი-პიტსბურგი
- ნეშვილი-ფინიქსი
- ფილადელფია-ბოსტონი

**20 თებერვალი**
- ბაფალო-ფილადელფია
- ტორონტო-ბოსტონი
- სენტ ლუისი-კოლამბუსი
- კაროლინა-ატლანტა
- მინესოტა-დალასი
- ანაჰაიმი-ვანკუვერი
- კოლორადო-კალგარი
- მონრეალი-ვაშინგტონი
- ოტავა-ედმონტონი
- ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
- ტამპა ბეი-ფლორიდა

**21 თებერვალი**
- ვაშინგტონი-სან ხოსე
- დეტროიტი-ჩიკაგო

**22 თებერვალი**
- ბაფალო-ოტავა
- რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
- კაროლინა-ფილადელფია
- ფინიქსი-კალგარი
- კოლორადო-მინესოტა
- ნეშვილი-მონრეალი
- ატლანტა-ტამპა ბეი
- კოლამბუსი-ედმონტონი
- აილენდერსი-ტორონტო
- ფლორიდა-პიტსბურგი
- ლოს ანჯელესი-ვანკუვერი
- ჩიკაგო-სან ხოსე

**23 თებერვალი**
- დეტროიტი-ედმონტონი
- დალასი-ანაჰაიმი
- ტამპა ბეი-ბოსტონი

**24 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
- აილენდერსი-მონრეალი
- ოტავა-ბაფალო
- რეინჯერსი-კოლამბუსი
- ნეშვილი-დეტროიტი
- ფილადელფია-ტორონტო
- ატლანტა-კაროლინა
- ფლორიდა-ბოსტონი
- ლოს ანჯელესი-კოლორადო
- კალგარი-სან ხოსე

**25 თებერვალი**
- ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
- მინესოტა-ედმონტონი
- ჩიკაგო-სენტ ლუისი
- დალასი-ვანკუვერი
- ტამპა ბეი-პიტსბურგი
- ანაჰაიმი-კოლორადო
- კოლამბუსი-ნეშვილი

**26 თებერვალი**
- ბოსტონი-ატლანტა
- სან ხოსე-ანაჰაიმი
- მონრეალი-ტორონტო
- კალგარი-ფინიქსი

**27 თებერვალი**
- რეინჯერსი-მონრეალი
- ვაშინგტონი-ფლორიდა
- კოლორადო-კოლამბუსი
- სენტ ლუისი-ვანკუვერი
- კაროლინა-ოტავა
- ედმონტონი-ფინიქსი
- ტორონტო-ბაფალო
- აილენდერსი-ფილადელფია
- ტამპა ბეი-დალასი
- ჩიკაგო-დეტროიტი
- პიტსბურგი-ნიუ ჯერსი

**28 თებერვალი**
- ოტავა-კაროლინა
- სან ხოსე-ნეშვილი
- კალგარი-მინესოტა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ანია პერსონი

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# პერსონის გეგმები

შვედი მოთხილამურე **ანია პერსონი** აცხადებს, რომ სპორტში დარჩენას 2010 წლამდე აპირებს, ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ კი, სეზონის დასრულებისთანავე თხილამურებს ლურსმანზე დაკიდებს.

*"დიდი სურვილი მაქვს, კიდევ ერთ ოლიმპიადაზე გამოვიდე, რის შემდეგაც სპორტულ კარიერას დავასრულებ. ვფიქრობ, ამაზე დიდხანს დარჩენა მეტისმეტი იქნება"*, - შვედურ გაზეთ "სპორტბლადეტთან" საუბრისას განაცხადა სლალომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ პერსონს 2004 და 2005 წლებში ბროლის დიდი გლობუსი აქვს მოპოვებული, მაგრამ გასული სეზონის შემდეგ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ, ვერაფრით შესულა სასურველ ფორმაში. ამ ეტაპზე, მსოფლიო თასის აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მას მეშვიდე ადგილი უკავია და პრაქტიკულად არ აქვს ბროლის გლობუსისთვის ბრძოლის შანსი.

ანიასგან განსხვავებით, სპორტიდან მისი წასვლის შემდეგ, მის მიბაძვას არ აპირებს მამამისი და ამავდროულად მწვრთნელი **ანდერს პერსონი**. მან განაცხადა, რომ სპორტიდან შვილის წასვლის შემდეგ ის ბავშვებთან გააგრძელებს მუშაობას და ეცდება, რომელიმე ნიჭიერ მოთხილამურეს კარგი კარიერის შექმნაში დაეხმაროს.

ანია კი იმედოვნებს, რომ მსოფლიო თასზე უხეიროდ გამოსვლის მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონატზე გაბრწყინება შეუძლია. ის სეზონის დაწყებამდეც ამბობდა, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი გამოსვლაა და რომ მსოფლიო თასის რბოლები მას მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადებაში დაეხმარებოდა.

თუმცა, ამის მიუხედავად, შვედმა მაინც გამოტოვა მსოფლიო თასის ბოლო ორი ჩქაროსნული ეტაპი, რომლებიც სან სიკარიოს ოლიმპიურ ფერდობზე ჩატარდა. პერსონი იმდენადაა თავდაჯერებული, რომ ხუთივე დისციპლინაში მედლებისთვის ბრძოლას აპირებს.

სხვათა შორის, მას იგივე მიზანი ჰქონდა წინა ჩემპიონატზე, რომელიც იტალიის სანტა კატერინაში ჩატარდა. იქ შვედმა ოქროს მედლები გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტში მოიპოვა, კომბინაციაში კი ვერცხლს დასჯერდა. შარშან კი ასევე ხუთივე დისციპლინაში იასპარეზა ტურინის ოლიმპიადაზეც, სადაც სლალომის ოქროს გარდა, დაშვებასა და კომბინაციაში ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

# მილერი ეჭვობს

ამერიკელი **ბოდე მილერი** ფიქრობს, რომ არეს მსოფლიო ჩემპიონატზე, დაშვების რბოლაში მის გამოსვლას აზრი არ აქვს. მას თითქმის გადაწყვეტილი აქვს, რომ ბორმიოში მოპოვებული ტიტული უბრძოლველად დათმოს.

საოცარია, მაგრამ უშიშარი და ხშირად ზედმეტად რისკიანი მოთხილამურე შიშობს, რომ გადატვირთული განრიგის გამო, შესაძლოა კვლავ დაუზიანდეს ნატკენი მუხლი. სამაგიეროდ, სურს რომ სუპერგიგანტში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოლოს.

ცნობისთვის, სუპერგიგანტის რბოლა ჩემპიონატის გახსნის დღეს, შაბათს ჩატარდება, დაშვება კი ზუსტად ერთი კვირის შემდეგაა დანიშნული. ორივე რბოლა ერთსა და იმავე, ფერდობ "ოლიმპიაზე" ჩატარდება, მაგრამ ამერიკელი თვლის, რომ დაშვება მისი მუხლისთვის გაცილებით სახიფათო იქნება.

*"ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ რომელ რბოლებზე გამოვიდე, რომლებზე - არა. რა არის ჩემი მიზანი და რა არა. ამ ეტაპზე ყველაზე რეალურად დაშვების გამოტოვება მესახება, რადგან ეს ტრასა ძალიან დაბორცვილია, რის გამოც, შარშან აქ ასპარეზობის შემდეგ მუხლები საშინლად მტკიოდა"*, - ამბობს მილერი, ვისაც გასული სეზონის ბოლო რბოლაში, სწორედ ფერდობ "ოლიმპიაზე" ასპარეზობისას დაუზიანდა მუხლი, თუმცა მაინც მეორე ადგილი დაიკავა.

წინა ჩემპიონატზე მილერმა ოქროს მედლები დაშვებასა და სუპერგიგანტში მოიპოვა, იმის წინა ჩემპიონატზე კი (2003 წელი, სენ მორიცი) გიგანტურ სლალომსა და კომბინაციაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

არც ისაა გამორიცხული, რომ ჭირვეულმა მილერმა ყველა დისციპლინაში სცადოს ბედი. ცნობისთვის, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ ჩემპიონატზე ერთ მოთხილამურეს ყველა ოქროს მედალი მოეპოვებინოს. ისე კი, მილერს ერთის (სლალომი) გარდა, ყველა დისციპლინაში მოგებული აქვს მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ადრე მილერი სლალომზე იყო სპეციალიზებული, მაგრამ უკვე ერთი წელია რაც მას სლალომის რბოლა ვერაფრით დაუსრულებია. ლაპარაკი არაა იმაზე, რომ მოგებისთვის ებრძოლა. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელობამ ის სლალომის განაცხადში არც შეიყვანოს. ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება აშშ-ის ნაკრებში დღეს უნდა მიიღონ.

## ორგანიზატორები იმედოვნებენ

სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატს შვედეთის სამთო კურორტი არე უმასპინძლებს. ჩემპიონატი 3 თებერვალს დაიწყება და ორ კვირას გასტანს. ჩემპიონატის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ამინდი არ შეიცვლება და რბოლების განრიგი შესაცვლელი არ გახდება.

შეგახსენებთ, რომ უთოვლობისა და წვიმების გამო, მიმდინარე სეზონში, მსოფლიოს თასის რამდენიმე რბოლა გაუქმდა, ან სხვაგან გადაიტანეს. ერთხანს თურმე შვედეთშიც უთოვლობა იყო, მაგრამ შემდეგ სკანდინავიას ციკლონი კირილი ეწვია და იქაური მთების ფერდობებიც დაითოვლა.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მთავარი აღმასრულებელი **ლასე ლინგკვისტი** იმედოვნებს, რომ ამინდი აღარ შეიცვლება და ჩემპიონატი ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩაივლის. მისი თქმით, ტრასების ზედა ნაწილი იდეალურ მდგომარეობაშია. მაგრამ ქვედა ნაწილში ჯერაც დაუსრულებელია მოსამზადებელი სამუშაოები.

აზიის თამაშები

# კინაღამ რეკორდი: 52-1

ამ დღეებში, ჩინეთში აზიის ზამთრის თამაშები მიმდინარეობს. ბუნებრივია, ოქროს მედალი ჰოკეიშიც თამაშდება, სადაც ფავორიტი მსოფლიო ჩემპიონატის ძირითად ჯგუფში მოთამაშე ყაზახეთის ნაკრებია. გუშინ, ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში, ყაზახებმა კინაღამ ყველა დროის რეკორდი დაამყარეს - ამ გუნდმა 52:1 გაანადგურა ტაილანდის ნაკრები.

ჰოკეიში ერთი პერიოდი 20 წუთი გრძელდება და მეორე პერიოდში ყაზახებმა სწორედ ამდენი შაიბა გაუტანეს მეტოქეს, პირველსა და მესამეში კი, ტაილანდელთა კარში შესაბამისად, 17 და 15 შაიბა შესრიალდა. ერთადერთი გოლი შერცხვენილებმა მესამე პერიოდის მერვე წუთზე გაიტანეს. სხვათა შორის, ჯგუფური ტურნირის პირველ ტურში, ყაზახეთმა ასევე დიდი ანგარიშით მოიგო - 38:0 დაამარცხა საემიროების გუნდი.

თუმცა, ყაზახების გმირობა მსოფლიო რეკორდად ვერ ჩაითვლება. რეკორდის მფლობელის საპატიო ტიტულს ჯერაც ავსტრალიის ნაკრები ინარჩუნებს, რომელმაც, თავის დროზე, მეზობელი ახალი ზელანდია 58:0 გაანადგურა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატებს, აქ სარეკორდოდ ითვლება კანადის ნაკრების გამარჯვება დანიასთან მატჩში - მაშინ, ჰოკეის გამომგონებლებმა 47 უპასუხო შაიბა გაიტანეს.

# ჩოგბურთი

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8120 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4775 |
| 3(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 4(7). ენდი როდიკი (აშშ) | 2715 |
| 5(9). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2710 |
| 6(5). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7(6). ტომი რობრედო (ესპ) | 2555 |
| 8(4). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2325 |
| 9(12). ტომი ჰაასი (გერ) | 2155 |
| 10(10). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 2075 |
| 11(8). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1995 |
| 12(13). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1785 |
| 13(15). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1675 |
| 14(16). ენდი მარეი (ბრიტ) | 1650 |
| 15(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 1610 |
| 16(17). რიშარ გასკე (საფ) | 1580 |
| 17(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1335 |
| 18(20). რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) | 1325 |
| 19(18). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1320 |
| 20(21). დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 1230 |
| 21(11). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1215 |
| 22(25). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1145 |
| 23(22). დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) | 1108 |
| 24(27). მარატ საფინი (რუს) | 1090 |
| 25(42). მარდი ფიში (აშშ) | 1079 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 200 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 140 |
| 3. ტომი ჰაასი (გერ) | 90 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 90 |
| 5(9). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 75 |
| 6(10). ტომი რობრედო (ესპ) | 74 |
| 7(15). მარდი ფიში (აშშ) | 65 |
| 7(15). რაფაელ ნადალი (ესპ) | 65 |
| 7(3). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 65 |
| 7(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 65 |
| 7(3). დავიდ ფერერი (ესპ) | 65 |
| 7(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 65 |
| 13(12). რიშარ გასკე (საფ) | 53 |
| 14(1). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 51 |
| 15(2). კარლოს მოია (ესპ) | 40 |
| 16(27). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 38 |
| 17(3). ქსავიე მალისე (ბელ) | 36 |
| 18(57). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 33 |
| 19. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 30 |
| 20(14). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 27 |
| 20(8). კრის გუჩიონე (ავსტრა) | 27 |
| 20(22). მიხაილ იუჟნი (რუს) | 27 |
| 23(10). სტეფან კუბეკი (ავსტრია) | 25 |
| 24(27). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 23 |
| 24(27). ფაბრის სანტორო (საფ) | 23 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 004 560 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 502 280 |
| 3. ტომი ჰაასი (გერ) | 251 140 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 251 140 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 181 370 |
| 6. ბობ ბრაიანი (აშშ) | 175 885 |
| 6. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 175 885 |
| 8. ტომი რობრედო (ესპ) | 161 070 |
| 9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 158 070 |
| 10. ენდი მარეი (ბრიტ) | 155 655 |
| 11. რაფაელ ნადალი (ესპ) | 155 095 |
| 12. მარდი ფიში (აშშ) | 152 000 |
| 13. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 141 215 |
| 14. მაქს მირნი (ბლრ) | 140 880 |
| 15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 131 580 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპ) | 129 630 |
| 17. იონას ბიორკმანი (შვედ) | 128 630 |
| 18. რიშარ გასკე (საფ) | 98 530 |
| 19. მიხაილ იუჟნი (რუს) | 98 110 |
| 20. ქსავიე მალისე (ბელ) | 94 805 |
| 21. ფაბრის სანტორო (საფ) | 77 125 |
| 22. ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 74 280 |
| 23. კარლოს მოია (ესპ) | 72 170 |
| 24. მარკოს ბაღდატისი (კვი) | 71 620 |
| 25. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 69 670 |

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ორლანდო 93:83**

28:21, 20:20, 23:17, 22:25

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (34 ქ. 6 მ. 5 პ), ჯოშ სმიტი (19 ქ. 12 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ), ლოუ (13 ქ. 7 პ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (12 ქ. 4 მ. 4 პ. 2 დ), ზაზა ფაჩულია (3 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ)

**ორლანდო:** გ. ჰილი (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ნელსონი (16 ქ. 5 პ), დ. ჰოვარდი (15 ქ. 7 მ), მილიჩიჩი (9 ქ. 8 მ. 2 დ).

**ნიუ ორლ.-პორტლენდი 103:91**

25:29, 19:21, 28:25, 27:20

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (21 ქ. 10 მ. 4 პ), პარგო (16 ქ), მეისონი (16 ქ. 6 მ. 4 პ), რ. ბატლერი (15 ქ), ჩენდლერი (14 ქ. 16 მ. 4 დ), დევინ ბრაუნი (12 ქ. 4 პ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (20 ქ. 13 მ. 4 პ), როი (19 ქ. 4 მ. 4 პ), დიქსონი (15 ქ), უდოკა (14 ქ).

**მემფისი-საკრამენტო 124:117**

34:34, 21:32, 28:27, 41:24

**მემფისი:** გასოლი (34 ქ. 8 მ. 8 დ), მ. მილერი (27 ქ. 6 პ), ეტკინსი (22 ქ. 7 პ), დ. ჯოუნსი (13 ქ), დ. სტაუდმაიერი (10 ქ. 7 პ), ლ. რობერტსი (3 ქ. 14 მ).

**საკრამენტო:** ბიბი (23 ქ. 4 პ), Kევინ მარტინი (22 ქ. 3 ჩ), არტესტი (21 ქ. 5 პ. 2 ჩ), უილიამსონი (19 ქ), სალმონსი (11 ქ), ბ. მილერი (6 ქ. 7 პ. 5 მ).

**იუტა-ნიუ ჯერსი 115:116**

26:20, 30:33, 31:35, 28:28

**იუტა:** დერონ უილიამსი (25 ქ. 5 პ), ოქური (18 ქ. 11 მ. 5 პ), ფიშერი (17 ქ), მილსეპი (16 ქ. 12 მ. 2 დ), ჰარპრინგი (13 ქ. 8 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (33 ქ. 3 პ), კიდი (22 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ), ე. ჰაუსი (19 ქ), [illegible] (12 ქ), [illegible] (12 ქ. 6 პ).

**დენვერი-შარლოტი 101:105**

34:31, 24:30, 21:20, 22:24

**დენვერი:** აივერსონი (31 ქ. 8 პ. 4 ჩ), ენტონი (25 ქ. 6 მ. 5 პ), ნენე (12 ქ. 5 მ), რ. ევანსი (10 ქ), კემბი (3 ქ. 10 მ. 6 დ. 5 პ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (25 ქ. 13 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ოკაფორი (18 ქ. 10 მ. 5 დ), ფელტონი (16 ქ. 11 პ. 5 მ), კეროლი (14 ქ), ა. მორისონი (12 ქ).

**ჰიუსტონი-ფილადელფია 105:84**

29:21, 29:13, 31:17, 16:33

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (20 ქ. 10 მ. 6 პ), ალსტონი (12 ქ. 9 პ. 3 ჩ), ჰედი (11 ქ), მუტომბო (4 ქ. 9 მ. 2 დ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (19 ქ. 4 პ), კორვერი (16 ქ), დალემბერი (13 ქ. 11 მ), კარნი (11 ქ), ლ. უილიამსი (11 ქ. 4 პ).

**მინესოტა-ფინიქსი 121:112**

29:31, 31:37, 34:27, 27:17

**მინესოტა:** გარნეტი (44 ქ. 11 მ. 3 ჩ), რ. დევისი (17 ქ. 8 პ), იარიჩი (11 ქ. 2 ჩ), ჰასელი (10 ქ), მ. ბლაუნტი (10 ქ).

**ფინიქსი:** რ. ბელი (26 ქ), მერიონი (24 ქ. 10 მ. 2 ჩ. 2 დ), ნეში (20 ქ. 18 პ. 5 მ), ბარბოსა (17 ქ), დიაო (12 ქ), ა. სტაუდმაიერი (10 ქ. 4 მ).



ბენ გორდონი

### კვირის მოთამაშეები

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ გასული კვირის საუკეთესო კალათბურთელებად, აღმოსავლეთიდან **ბენ გორდონი** ("ჩიკაგო") და დასავლეთიდან - **სტივ ნეში** ("ფინიქსი") დაასახელა.

MVP-ის ტიტულის ორგზის მფლობელმა ნეშმა, მსგავსი აღიარება ზედიზედ მეორედ, სულ ამ სეზონში კი, მესამედ მოიპოვა. გასულ კვირას, კანადელი გამთამაშებელი საშუალოდ მატჩში 22.5 ქულასა და 14.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა, მისმა "ფინიქსმა" კი, ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო და თავისი გამარჯვებების სერია 17-მდე აიყვანა. თუმცა, ყველაფერს აქვს დასასრული - გუშინ, "სანსმა" **კევინ გარნეტს** (44 ქულა) ვერაფერი მოუხერხა და სტუმრად "მინესოტასთან" წააგო.

ალმოსავლეთის რჩეული **ბენ გორდონი**, გასულ კვირას ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. ის საშუალოდ მატჩში 26.8 ქულას უყრიდა თავს და ამას 4.3 მოხსნასა და 4.8 შედეგიან გადაცემას უმატებდა.

2005 წელს საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ აღიარებული გორდონი საუკეთესო სეზონს ატარებს - მისი სტატისტიკური მაჩვენებლები 21.6 ქულასა და 3.6 პასს უტოლდება.

# სხვადასხვა

ფორმულა 1

## ბაჰრეინმა გრან-პრი შეინარჩუნა

ბაჰრეინის ავტოდრომის მფლობელებმა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტი გააგრძელეს. ხელშეკრულების დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, ბაჰრეინს საკუთარი გრან-პრის გამართვა უახლოესი ათი წლის განმავლობაში გარანტირებული აქვს.

შეგახსენებთ, რომ ბაჰრეინის გრან-პრი ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში პირველი ეტაპი იყო, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გაიმართა. ეს მოხდა 2004 წელს, ხოლო უკვე 2006 წლისთვის, ამ ქვეყნის მოგებამ 394 მილიონი დოლარი შეადგინა.

ჰოკეი

## კალგარიმ ვეტერანი დაიმატა

"ლოს ანჯელეს კინგზმა" და "კალგარი ფლეიმზმა" მოთამაშეები გაუცვალეს ერთმანეთს. "კალგარის" რიგებში ცენტრალური თავდამსხმელი **კრეიგ კონროი** გადავიდა, მის სანაცვლოდ კი, "ლოს ანჯელესმა" იგივე ამპლუის **ჯეიმი ლუნდმარკი**, 2007 წლის დრაფტზე მეოთხე და 2008 წლის დრაფტზე მეორე რაუნდში მოთამაშეების არჩევის უფლება მიიღო.

36 წლის კონროიმ ამ სეზონში 52 მატჩი ჩაატარა და 16 ქულა (5 გოლი+11 პასი) დააგროვა. 26 წლის ლუნდმარკის ანგარიშზე კი. მხოლოდ 4 შედეგიანი გადაცემა მოდის.

## ბრისბუამ სეზონი დაასრულა

"კოლორადო ეველანშმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა 36 წლის მცველი **პატრის ბრისბუა**. ვეტერანი ჰოკეისტი ზურგის ტრავმის გამო ვერ აგრძელებს თამაშს.

ბრისბუამ უკანასკნელად 27 დეკემბერს, "დალასის" წინააღმდეგ ითამაშა. იმ მომენტისთვის მის აქტივში 1 გოლი და 11 საგოლე პასი იყო.

## კასპარაიტისი არავის სჭირდება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, "ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა ცნობილი რუსი მცველი **დარიუს კასპარაიტისი**. მაგრამ, "ჩაწოლილი საქონლის" შეძენა არავინ ისურვა და NHL-ის წესების თანახმად, ამ სეზონში მეორედ, კასპარაიტისს "რეინჯერსის" ფარმ-კლუბში მოუწევს თამაში. წელს, რუსმა მცველმა "ჰართფორდში" ორი შეხვედრა ჩაატარა და ერთი საგოლე პასი გააკეთა.

# TV სპორტი

**31 იანვარი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:20 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/16 ფინალი. ჩელსი-ნოტინგემი.
10:05 სპორტინფორმი.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 სპორტინფორმი.
11:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი.
13:10 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/16 ფინალი. მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბოხუმი.
15:33 სპორტდოსიე.
15:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ლაციო.
17:25 ფეხბურთი. შოტლანდიის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. კილმარნოკი-ფალკირკი.
19:12 სპორტკლუბი.
19:23 ფიტნეს-პლანი.
19:47 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
20:17 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ვაშინგტონი.
22:35 სპორტინფორმი.
22:47 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. ბარსელონა-სარაგოსა (LIVE).
01:50 სპორტინფორმი.
02:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:50 სპორტდოსიე.
03:58 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო (LIVE).
07:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:30 მულტისპორტი.
12:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ვარშავა. პოლონეთი.
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა.
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
18:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
20:30 აფროსნობა.
20:35 მულტისპორტი.
20:40 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
21:40 ცხენოსნობა.
21:45 გოლფი. PGA-ს ტური.
22:45 გოლფი. ევროპის ტური.
23:30 აფროსნობა.
23:25 მულტისპორტი.
23:30 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
01:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. დუბლინი. ირლანდია.
02:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:30 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი (ისრაელი)-ვენტსპილსი (ლატვია).
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სტრასბური (საფრანგეთი)-ნანსი (საფრანგეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:45 ველოსპორტი. კატარის ტური. IV ეტაპი. (LIVE).
16:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-ხიმკი (რუსეთი).
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სტრასბური (საფრანგეთი)-ნანსი (საფრანგეთი).
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ალბა (გერმანია)-რეალი (ესპანეთი) (LIVE).
23:30 რესტლინგი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
01:45 სნოუბორდი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| პორტსმუთი-მიდლსბრო | 0:0 |
| შეფილდი-ფულჰემი | 2:0 |
| ვესტ ჰემი-ლივერპული | 1:0 |
| რედინგი-ვიგანი | 3:2 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნსლი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| ბირმინგემი-საუთენდი | 1:3 |
| კოლჩესტერი-პრესტონი | 1:0 |
| ქოვენთრი-ლუტონი | 1:0 |
| დერბი-ბარნლი | 1:0 |
| ჰალი-ლიდსი | 1:2 |
| ნორვიჩი-ვულვზი | 0:1 |
| სტოკი-იფსვიჩი | 0:0 |
| სანდერლენდი-კრ.პალასი | 0:0 |
| **II ლიგა** | |
| ბერი-ჰერეფორდი | 2:2 |
| მაკლსფილდი-უოლსოლი | 0:2 |
| მენსფილდი-ტორკი | 5:0 |
| ნოტსი-ბარნეტი | 1:1 |
| პიტერბრო-სუინდონი | 1:1 |
| რექსემი-სტოკპორტი | 0:1 |
| **LDV Vans Trophy** | |
| ქრიუ-დონკასტერი | 3:3 |
| შრიუსბერი-ბრისტოლი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| ბაიერნი-ბოხუმი | 0:0 |
| ბორუსია (მ)-ნიურნბერგი | 0:0 |
| შტუტგარტი-არმინია | 3:2 |
| ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუგსბურგი-პადერბორნი | 0:1 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| მონაკო-სოშო | 0:2 |
| მონპელიე-ვანი | 0:0 დ.დ.0:2 |
| ლიბურნი-სედანი | 1:2 |
| პსჟ-ვალანსი | 1:0 |
| **შოტლანდიის ლიგის თასი** | |
| კილმარნოკი-ფალკირკი | 3:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| ფენერბაჰჩე-გენჩლერი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ULEB-ის თასი** | |
| ჰაპოელი-ვენტსპილსი | 88:73 |
| ჰემოფარმი-უნიქსი | 73:90 |
| პაოკ-მონტეპასკი | 62:79 |
| სტრასბური-ნანსი | 89:86 |
| ცრვენა ზვეზდა-ხიმკი | 89:77 |
| სნაიდერო-ლეტუვოს რიტასი | 75:72 |
| გრან კანარია-ქელეზნიკი | 79:86 |
| **ევროპის თასი** | |
| აზოვმაში-მარუსი | 61:61 ო.ტ. 78:72 |
| შაულიაი-ლიეჟი | 87:82 |
| პანიონიოსი-ლოკომოტივი | 75:57 |
| რიგა-დინამო (მ-ო) | 68:63 |
| აელ-ესტუდიანტესი | 59:59 ო.ტ. 63:62 |
| დიჟონი-ვირტუსი | 78:94 |
| შარლერუა-ტურკ ტელეკომი | 73:77 |
| **ხელბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები** | |
| **1/4 ფინალი** | |
| გერმანია-ესპანეთი | 27:25 |
| პოლონეთი-რუსეთი | 28:27 |
| დანია-ისლანდია | 34:34 დ.დ. 42:41 |
| ხორვატია-საფრანგეთი | 18:21 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| ს. იულაევი-სიბირი | 4:1 |
| ლადა-ამური | 2:0 |
| ლოკომოტივი-კრილია | 3:1 |
| დინამო-ტრაქტორი | 2:0 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| სევერსტალი-აკ ბარსი | 4:3 |
| სკა-მეტალურგი (ნ) | 7:3 |
| მედ-ავანგარდი | 2:5 |
| ცსკა-ხიმიკი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| მანჰაიმი-დიუსელდორფი | 1:1 ო.ტ. 2:1 |
| ნიურნბერგი-ისერლონი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ნიტრა | 2:1 |
| მიკულაში-კოშიცე | 2:6 |
| პოპრადი-მარტინი | 2:3 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 6:1 |
| სლოვანი-ჟილინა | 3:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-კალპა | 1:3 |
| კერპეტი-იოკერიტი | 1:4 |
| ლუკო-სეი პა | 5:3 |
| პელიკანსი-ესეტი | 3:1 |
| ტპს-კიეკო | 4:0 |
| ჰიფკ-ტაპარა | 1:5 |
| იუვიასკიულა-ჰპკ | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე... ვეტკინი-სლავია | 0:0 პენ. 1:0 |
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 2:2 პენ. 3:2 |
| პლზენი-კლადნო | 3:4 |
| ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2:1 |
| კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2:2 პენ. 2:3 |
| სპარტა-ქლინი | 8:3 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ამბრი პიოტა | 3:7 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 7:4 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-ბრინასი | 2:1 |
| ფერიესტადი-იურგორდენი | 4:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| კოლშრაიბერი-სანგინეტი | 5:7, 3:6 |
| რასელი-სვიტინგი | 6:7, 2:6 |
| მალისე-ფალა | 6:4, 7:6 |
| კუნიცინი-პაველი | 1:6, 3:6 |
| პლეში-გაბაშვილი | 6:7, 7:6, 6:7 |
| **ATP. ვინია დელ მარი** | |
| პაშანსკი-პორტასი | 3:6, 3:6 |
| რამირეს იდალგო-ანდრეევი | 6:7, 1:6 |
| როიტმანი-გუსმანი | 4:6, 6:4, 6:3 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ვასკე-დანჩევიჩი | 3:6, 6:7 |
| ტ. იოჰანსონი-ტიპსარევიჩი | 6:4, 6:4 |
| სეპი-პეია | 6:1, 6:7, 4:6 |
| ბენეტო-ბრაჩიალი | 5:7, 6:7 |
| სტარაჩე-ცაკლი | 4:6, 7:6, 4:6 |
| კარლოვიჩი-ვანეკი | 6:3, 6:2 |
| იუჟნი-მაუ | 7:6, 6:3 |
| სანტორო-კანიასი | 5:7, 6:3, 6:2 |

ჩოგბურთი

## სამპრასი კორტზე ბრუნდება

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **პიტ სამპრასი** კორტზე დაბრუნებასა და 30 წელს გადაცილებული ვეტერანების ტურნირებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. "დიდი სლემის" 14 ტიტულის მფლობელის დებიუტი Outback Champions Series-ში მაისის დასაწყისში შედგება. პიტი ბოსტონის უნივერსიტეტის კორტებზე სცდის ძალებს.

*"ჩემთვის ეს თამაშის ხელახალი შეგრძნებისა და ძველ მეგობრებთან და მეტოქეებთან შეხვედრის საშუალება იქნება. გარდა ამისა, ტურნირების მოგების სურვილიც მაქვს. ჯერ კიდევ მიყვარს სპორტი. კვირაში სამ-ოთხჯერ ვვარჯიშობ, მაგრამ ამავდროულად, სულაც არ მენატრება პროფესიონალი ჩოგბურთელის ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრება"*, - განაცხადა პიტ სამპრასმა.

კალათბურთი

## ლებრონს დასვენება მოუწევს

არ გამართლდა **ლებრონ ჯეიმსის** ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ ფეხის თითის ტრავმა მას თამაშში ხელს არ შეუშლიდა. "ფინიქსთან" კვირას გამართული მატჩის შემდეგ, "კლივლენდის" ლიდერს ტრავმა გაუმიზეზდა და ამის გამო, ლებრონს რამდენიმე თამაშის გამოტოვება მოუწევს.

ეს ინფორმაცია კალათბურთელმა თავად მიაწოდა ჟურნალისტებს: *"თუ თითი არ მოვირჩინე, სრული დატვირთვით თამაშს ვერ შევძლებ. ზუსტად არ ვიცი, რამდენი მატჩის გამოტოვება მომიწევს"*.

## ლეიკერსს უოლტონი გამოაკლდა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მსუბუქმა ფორვარდმა **ლუკ უოლტონმა** მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

26 წლის კალათბურთელმა წლევანდელ რეგულარულში 43 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება - 11.7 ქულა, 4.9 მოხსნა და 4.2 შედეგიანი გადაცემა.

## სპრიუელს ყოფილი ცოლი უჩივის

NBA-ის ყოფილ ვარსკვლავ ლეთრელ სპრიუელის წინააღმდეგ 200-მილიონიანი სარჩელი შეიტანეს. "ყველა ვარსკვლავის მატჩის" ოთხგზის მონაწილეს სასამართლოში ყოფილმა მეუღლემ - **კენდას კებილმა** უჩივლა, რომელსაც სპრიუელისგან ოთხი შვილი ჰყავს.

კებილის განცხადებით, კალათბურთელმა დაარღვია ხელშეკრულება, რომელიც წყვილმა განქორწინების შემდეგ გააფორმა. ამ საბუთის თანახმად, სპრიუელი ვალდებული იყო ყოფილი მეუღლისთვის შვილების სარჩენად გარკვეული თანხა გადაეხადა.

ჯერჯერობით, ლეთრელ სპრიუელს კენდას კებილის საჩივართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## დროულად ითანამშრომლე პოლიციასთან!

"მაიამი ჰიტის" ცენტრალური თავდამსხმელი **შაკილ ო'ნილი** პოლიციას იმ მძღოლის დაკავებაში დაეხმარა, რომელიც კალათბურთელის "კადილაკს" დაეჯახა. ინციდენტი ორშაბათს მოხდა, როცა ო'ნილი ჩიკაგოდან მაიამიში ბრუნდებოდა.

შაკი "მაიამის" უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელ **ჯერომ კროუფორდთან** ერთად მგზავრობდა. მან თავისი მანქანა კროუფორდის სახლთან გააჩერა და ამ უკანასკნელს ბარგის გადატანაში მიეხმარა. სწორედ ამ დროს, უცხო ავტომობილი კალათბურთელის მანქანას დაეტაკა.

როგორც ო'ნილი აცხადებს, ის წესრიგის დამრღვევს წესების სრული დაცვით გამოეკიდა და დევნისას სიჩქარე არ გადაუჭარბებია, ხოლო, როცა უცნობი მძღოლი ბენზინგასამართ სადგურთან გაჩერდა, შაკმა პოლიცია გამოიძახა და დამნაშავეზე მიუთითა.

## მილერი ამერიკის ჩემპიონატს გამოტოვებს

"საკრამენტო კინგზის" ცენტრალური თავდამსხმელი **ბრედ მილერი** არ აპირებს აშშ-ის ნაკრებთან ერთად ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას. ეს ტურნირი 22 აგვისტოდან 22 სექტემბერამდე ლას ვეგასში გაიმართება და მასში, პარალელურად პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. მილერი აცხადებს, რომ ამ პერიოდში ოჯახთან უფრო მეტი დროის გატარება სურს და მისი უარიც ამით არის განპირობებული. ამასთან, კალათბურთელი სრული საწვრთნელი შეკრების გავლას აპირებს და იმასაც ამბობს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე აუცილებლად იასპარეზებს.

ბრედ მილერის არყოფნა იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ნაკრებში გზა გაეხსნება "ფინიქს სანსის" ფორვარდ-ცენტრ **ამარე სტაუდმაიერს**, რომელმაც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა.

## ოლიმპიაკოსს დრობნიაკი უნდა

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" სერბეთის "პარტიზანიდან" ცენტრალური თავდამსხმელის - **პრედრაგ დრობნიაკის** (32 წლის, 212 სმ) გადაბირებას ცდილობს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბერძნები ვეტერანი კალათბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდად 500 ათას დოლარს იხდიან. მიუხედავად ამისა, "პარტიზანის" ხელმძღვანელობა არ ჩქარობს დრობნიაკთან განშორებას. სავარაუდოდ, გარიგება იმ შემთხვევაში შედგება, თუ სერბული კლუბი ევროლიგის მეორე ეტაპის საგზურს ვერ მოიპოვებს.

ამ სეზონში, დრობნიაკი საშუალოდ მატჩში 16.4 ქულასა და 7.2 მოხსნას აგროვებს. ის მესამე ადგილზეა ევროლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშეების სიაში.

ოლიმპიზმი

## კანადაში ოლიმპიურ მონეტებს გამოუშვებენ

თებერვლის ბოლოს, კანადის მთავრობა ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მონეტების პირველ პარტიას ჩაუშვებს ხმარებაში. ვარაუდობენ, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილი სამი წლის განმავლობაში, სულ 350 მილიონ. მონეტას გამოჭედავენ: 25-ცენტიანების 15 ვარიანტსა და დოლარიანების - 2 ვარიანტს.

25-ცენტიან მონეტებზე გამოისახება ზამთრის სპორტის სახეობების გამოსახულებები, დოლარიან მონეტებზე კი, თამაშების ემბლემები.

გარდა ამისა, გამოუშვებენ საკოლექციო მონეტებსაც, რომლებზეც ვანკუვერის არენები იქნება გამოსახული. და კიდევ, კოლექციონერებს უნიკალური, კილოგრამიანი ოქროს მონეტების შეძენის საშუალება მიეცემათ.

ცურვა

ოლიმპიური ჩემპიონი

## ლუო სპორტიდან მიდის

ოლიმპიური ჩემპიონი, ჩინელი მოცურავე **სუეძუანი** იძულებულია, სპორტიდან წავიდეს. ამის მიზეზი კი გულის დაავადება, რომელიც შესაძლოა, აწ უკვე ყოფილი სპორტსმენისთვის ფატალურიც კი გახდეს. ლუომ, ვისაც ახლახანს შეუსრულდა 23 წელი, ათენის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე ბრასში მოიპოვა ოქროს მედალი, მანამდე კი, 2001 და 2003 წლებში, იმავე დისციპლინაში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა.

*"ახლაც ისევე კონკურენტუნარიანი ვარ, როგორც ყოველთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა არჩევანი არ დამრჩენია"*, - განაცხადა ლუომ, ვინც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ათენის ოლიმპიადის შემდეგ არასტაბილურად ასპარეზობდა.

*"მის გულს აღარ შეუძლია იმ დატვირთვების გაძლება, რომლებიც უმაღლესი დონის სპორტსმენებს აქვთ. უფრო მეტიც, თუ ის ამ დატვირთვებით ვარჯიშსა და ტურნირებზე გამოსვლას გააგრძელებს, პრობლემა მისი სიცოცხლისთვის შეიძლება საშიში გახდეს. და თუ სპორტიდან ახლავე წავა, მაშინ საშიშროებაც აღარ იარსებებს"*, - ამბობს ჩინელ მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჭან იადონი**.

აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში ლუოს მწვრთნელებმა ორთვიანი შვებულება მისცეს, რის მიზეზადაც მაშინ "ფიზიკური პრობლემები და სტრესი" დასახელდა. შემდეგ ის დაბრუნდა და აზიის თამაშების შესარჩევ ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა. მაგრამ დოჰაში ასპარეზობა კვლავ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ შეძლო. მაშინ ექიმებმა ამის მიზეზად გადაღლა და სისხლის მაღალი წნევა დაასახელეს.

ახლახანს ლუომ გულის ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც ჩინეთის ნაკრებმა ის მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში არ შეიყვანა. ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ხმა, რომ ლუო სპორტიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ მისმა მწვრთნელმა ეს ხმა უარჰყო. და მაინც, ამ ხმებს რეალური საფუძველი ჰქონია.

*"ამ ეტაპზე, ჩინეთის ნაკრებში არ გვყავს ლუოს დონის მოცურავე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პეკინის ოლიმპიურ აუზში ოქროს მედლების მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება"*, - ამბობს ჭან იადონი.




კრივი

რო□ოს წონა

## ჩემპიონთა ჯახი გაიჩარხა

როჭოს წონაში ორი პრესტიჟული გაერთიანების ჩემპიონთა შეხვედრა დაიგეგმა - 9 ივნისს ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ერთმანეთს შეხვდებიან WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ჩემპიონი, მექსიკელი **ანტონიო მარგარიტო** WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) პუერტორიკოელ ჩემპიონ **მიგელ კოტოს** დაუპირისპირდება.

ბრძოლა კი დაიგეგმა, მაგრამ კოტოს მანამ სხვასთან მოუწევს ბრძოლა - 3 მარტს თავისი ტიტულის დასაცავად, სან ხუანში (პუერტო რიკო) ის გერმანიის სახელით მოასპარეზე თურქ **ოქტაი ურკალს** შეხვდება. თუ კოტო მოიგებს, მაშინ მარგარიტოსთან შეხვედრაც სან ხუანშივე, ურკალთან ბრძოლის შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდება.

სხვათა შორის, მექსიკელი მოკრივე, ვინც "ტიხუანელი ტორნადოს" მეტსახელითაა ცნობილი, მარჯვენა მაჯის ტრავმის გამო ამჟამად ტიტულის დაცვის ვალდებულებისგან თავისუფალია. სანამ უქმობს, მანამ სხვისი ბრძოლების ცქერით შეიქცევს თავს - კოტოსა და ურკალის ბრძოლას დაესწრება.

ავტოსპორტი

დეიტონას 24-საათიანი რბოლა

## მონტოიას ახალი ტრიუმფი

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, კოლუმბიელმა **ხუან-პაბლო მონტოიამ** გასულ უიქ ენდზე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობა - "დეიტონას 24-საათიანი რბოლა" მოიგო.

"მაკლარენის" ექს-პილოტი Chip Ganassi Riley-Lexus-ის ეკიპაჟის წევრი იყო, სადაც მას პარტნიორობას **სკოტ პრიუეტი** და **სალვადორ დიურანი** უწევდნენ. სხვათა შორის, სწორედ **ჩიპ განასის** გუნდში გახდა 1999 წელს მონტოია კარტის სერიის ჩემპიონი და პირველივე ცდაზე მოიგო ლეგენდარული "ინდიანაპოლისი 500".

ასე რომ, მონტოია ავტოსპორტის ისტორიაში მეორე პილოტი გახდა, ვისაც ერთდროულად მოგებული აქვს "ინდი 500", "დეიტონას 24-საათიანი რბოლა" და ფორმულა 1-ის ეტაპი. პირველად ეს ლეგენდარულმა ამერიკელმა **მარიო ანდრეტიმ** შეძლო.




მონტოიამ დეიტონა ამ მანქანით მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკა


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: **საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**